ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს შესაბამისი პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი და დარიცხული პროცენტების ხარჯის განაწილების მეთოდს, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღწევად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს გაანგარიშებული სამომავლო ნაღდი ფულის გადახდებისა ან მიღების დისკონტირებას (სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით), ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მოძრაობის დისკონტირებას პროცენტის მომდევნო ფასების გადახედვის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს საკრედიტო მარჟას ინსტრუმენტში მითითებული არაფიქსირებული განაკვეთით ან სხვა ცვალებადი მაჩვენებლებისა, რომლებიც არაა გადაყვანილი საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიებისა ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი ვადის განმავლობაში. ამჟამინდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს კონტრაქტის მხარეთა შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახდელს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საკრედიტო რისკით გაუფასურებული შეძენილი ან წარმოშობილი აქტივებისთვის („POCI“) თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება საკრედიტო რისკის გათვალისწინებით, ანუ ის ითვლება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებისას და არა სახელშეკრულებო გადახდებიდან გამომდინარე.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფიქსირდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად ფიქსირდება სამართლიანი ღირებულებით პლიუს საოპერაციო ხარჯები. სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება გარიგების ფასით. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას ფიქსირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გაყიდვის ფასს შორის არსებობს სხვაობა, რაც შეიძლება დადასტურდეს სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით იმავე ინსტრუმენტში ან შეფასების ტექნიკით, რომლის საწყისი მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ხდება ECL რეზერვის აღიარება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით და ინვესტიციებისთვის დებიტორულ ინსტრუმენტებში, რომლებიც ფასდება FVOCI-თ, რაც იწვევს დაუყოვნებლივ ფინანსურ ზარალს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შეფასების შემდეგი კატეგორიებით: FVTPL, FVOCI და AC. დებიტორული ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს-მოდელზე, დაკავშირებული აქტივების პროტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოქმნის მიზნით - მიუხედევად იმისა, არის თუ არა ჯგუფის მიზანი: (i) აქტივებისგან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება (”ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით”) ან (ii)) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე იმ ფულადი ნაკადების შეგროვება, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების გაყიდვიდან (”ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით და გაყიდვა”), ან,თუ არც (i) და არც (ii) არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც "სხვა" ბიზნეს-მოდელის ნაწილი და იზომება FVTPL- ით.

ბიზნესის მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) მოქმედებების ყველა იმ შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე, რომლებსაც ჯგუფი ახორციელებს შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი პორტფელისთვის

დადგენილი მიზნის მისაღწევად. ჯგუფის მიერ ბიზნეს-მოდელის განსასაზღვრავად გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, დაკავშირებული აქტივებისთვის ფულადი სახსრების ნაკადების შეგროვების, რისკების შეფასების და მართვის, აქტივების ეფექტურობის შეფასების და მენეჯერების ანაზღაურების წარსულ გამოდილებას. ჯგუფის მიერ საკუთარი ფინანსური აქტივების ბიზნეს-მოდელების განსაზღვრისას გამოყენებული კრიტიკული განხილვები იხილეთ შენიშვნა 4- ში.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადის მახასიათებლები. თუ ბიზნეს-მოდელის აქტივების ფლობის მიზანი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებაა, ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობა და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს, წარმოადგენს თუ არა ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს („SPPI“). წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიანი ფინანსური აქტივები განიხილება მთლიანობაში, როდესაც დგინდება თუ რამდენად შეესაბამება მათი ფულადი სახსრები SPPI ფუნქციებს. ამ შეფასების განხორციელებისას, ჯგუფი ითვალისწინებს, შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ძირითად საკრედიტო შეთანხმებებს, ანუ პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა ძირითადი საკრედიტო რისკებისა და მოგების მარჟის გათვალისწინებას.

3. ზუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ სახელშეკრულებო პირობები ქმნის რისკის ან არასტაბილურობის საფრთხეს, რაც არ შეესაბამება თანხის ძირითადი სესხის შეთანხმებებს, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და იზომება FVTPL-ში. SPPI-ს შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი გადაფასება. ჯგუფის მიერ საკუთარი ფინანსური აქტივების SPPI შეფასების განხორციელებისას გამოყენებული კრიტიკული განხილვები იხილეთ შენიშვნა 4-ში.

ფინანსურიაქტივები- რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიცირება ხდება მხოლოდ პორტფელის მართვის მოდელის მთლიანად შეცვლის შემთხვევაში. რეკლასიფიკაციას აქვს სავარაუდო ეფექტი და ხორციელდება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც მოსდევს ბიზნეს-მოდელის ცვლილებას. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარებითი პერიოდის განმავლობაში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაციები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ECL საკრედიტო ზარალის ანაზღაურება ჯგუფს აქვს სამი ტიპის ფინანსური აქტივი, რომლებიც ექვემდებარება ECL მოდელს - სავაჭრო დებიტორული დავალიანება, გაცემული სესხები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ჯგუფი მიმართავს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი“ 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც იყენებს სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და გასული დღეების მიხედვით.

შენიშვნა 26 მოიცავს ინფორმაციას შემავალი მონაცემების, დაშვებების და შეფასების მეთოდების შესახებ, რომლებიც გამოყენებულია ECL შეფასებისას, მათ შორისაა განმარტება, თუ როგორ ურთავს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას ECL მოდელებს.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც ჯგუფია ამოწურავს აღდგენის ყველა პრაქტიკულ მცდელობას და ასკვნის, რომ არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების გაუქმების მოვლენას. ჯგუფს შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო საქმიანობას როდესაც ჯგუფი ცდილობს გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები, თუმცა, არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - ბალანსიდან ჩამოწერა. ჯგუფი ბალანსიდან ჩამოწერს ფინანსურ აქტივებს, როდესაც (ა) აქტივები იქნება გამოსყიდული ან აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებების ვადა სხვაგვარად ამოიწურება ან (ბ) ჯგუფი გადასცემს უფლებებს ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე ან დადებს საკვალიფიკაციო სატრანზიტო შეთანხმებას, ამავდროულად (i) აქტივების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უპირატესობის არსებითად გადაცემით ან (ii) საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უპირატესობის გადაცემისა და შენარჩუნების გარეშე, მაგრამ კონტროლის შენარჩუნების გარეშე.
კონტროლის შენარჩუნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარეს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა მიჰყიდოს აქტივი მთლიანად არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ზოგჯერ ჯგუფი ახორციელებს ფინანსური აქტივების სხელშეკრულებო პირობების გადახედვას ან სხვაგვარ მოდიფიცირებას. შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით, ჯგუფი აფასებს, არსებითია თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგალითად, მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული შემოსავალი), მნიშვნელოვანი ცვლილება საპროცენტო განაკვეთში, ცვლილება ვალუტის დენომინაციაში, ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის

გაზრდა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან ასოცირებულ კრედიტის რისკზე ან კრედიტის მნიშვნელოვნად გახანგრძლივება, როდესაც მსესხებელი არ განიცდის ფინანსურ სირთულეებს.

თუ შეცვლილი პირობები არსებითად განსხვავდებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი სახსრების მოძრაობის უფლება იწურება, ჯგუფი წყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და აღიარებს ახალ აქტივს მისი სამართლიანი ღირებულებით. ხელმეორე გადახედვის თარიღად ითვლება საწყისი აღიარების თარიღი გაუფასურების გაანგარიშების შემდგომი მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას (SICR). ჯგუფი ასევე აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ახალი სესხი ან სასესხო ინსტრუმენტი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) კრიტერიუმს. ნებისმიერი სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი საწყისი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, არსებითად მოდიფიცირებული აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაობა მიეკუთვნება მფლობელებთან გარიგებას კაპიტალთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადახედვა განპირობებული იქნა მეორე მხარის ფინანსური სირთულეებისა და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების შეუძლებლობის გამო, ჯგუფი ადარებს თავდაპირველ და შესწორებულ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან, რათა განსაზღვროს აქტივის რისკები და სარგებელი არსებითად განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან სახელშეკრულებო მოდიფიკაციის გამო. ხელშეკრულების მოდიფიკაცია. თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, შეცვლილი აქტივი არსებითად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისაგან და მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფი

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

ახდენს მთლიანი საბალანსო ღირებულების გადაანგარიშებას შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირების საშუალებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტის გათვალისწინებით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთით POCI ფინანსური აქტივებისთვის) და აღიარებს მოდიფიკაციით განპირობებულ სარგებელს ან ზარალს მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში AC- ს მიხედვით შეფასებული, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებისა FVTPL–ში: აღნიშნული კლასიფიკაცია გამოიყენება დერივატივებისთვის, ვაჭრობისთვის დაკავებულ ფინანსური ვალდებულებებისთვის (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიციები), შემსყიდველის მიერ ბიზნეს-კომბინაციაში აღიარებული პირობითი ანაზღაურებისთვის და სხვა ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ამგვარადაა დადგენილი თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სესხის ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - ბალანსიდან ჩამოწერა. ფინანსური ვალდებულებები ბალანსიდან ჩამოიწერება მათი ამოწურვისთანავე (ე.ი. როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმებულია ან ამოწურულია).

ჯგუფსა და თავდაპირველ კრედიტორებს შორის სასესხო ინსტრუმენტების გაცვლა არსებითად განსხვავებული პირობებით, აგრეთვე არსებული ფინანსური ვალდებულებების ვადებისა და პირობების არსებითი შეცვლა, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავდება იმ შემთხვევაში თუ ახალი პირობების შესაბამისად, ფულადი სახსრების ნაკადების ფასდაკლებული წარდგენილი ღირებულება, მათ შორის, ნებისმიერი ნეტო მოსაკრებელი ორიგინალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მიღებულ და ფასდაკლებულ ნებისმიერი გადასახადებზე, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ნარჩენი ფულადი სახსრების ნაკადების წარდგენილი ფასდაკლებული ღირებულებისგან. ამასთან, გათვალისწინებულია სხვა თვისებრივი ფაქტორები, მაგალითად ვალუტა, რომელშიც დენომინირებულია ინსტრუმენტი, საპროცენტო განაკვეთის ტიპში ცვლილებები, ინსტრუმენტზე მიმაგრებული ახალი კონვერტაციის თვისებები და საკრედიტო შეთანხმებებში ცვლილებები. თუ დებიტორული ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა ითვლება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია როგორც დაფარვის მოგების ან ზარალის ნაწილი. თუ გაცვლა ან მოდიფიკაცია არ არის აღრიცხული, როგორც დაფარვა, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადახდილი გადასახადი აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება შეცვლილი ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.
ვალდებულებების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება როგორც ცვლილება გამოთვლაში, კუმულატიური მიახლოების მეთოდით, მოგებასა და ზარალში აღიარებული ნებისმიერი მოგებითა ან ზარალით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებში სხვაობის ეკონომიკური შინაარსი მიეკუთვნება კაპიტალთან დაკავშირებულ გარიგებებს მფლობელებთან.

FVTLV-ში მითითებული ფინანსური ვალდებულებები ჯგუფს, FVTPL-ს მიხედვით, შეუძლია მიუთითოს გარკვეული ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას. ასეთ ვალდებულებებზე მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში, გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობისა, რომელიც განპირობებულია ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებით (განისაზღვრება როგორც ის ოდენობა, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს საბაზრო პირობების ცვლილებებს, რომლებიც ზრდის საბაზრო რისკს), რომელიც აღირიცხება OCI– ში და შემდგომში არ ხდება მისი რეკლასიფიცირება მოგებად ან ზარალად. აღნიშნული ხორციელდება თუ ასეთი პრეზენტაცია არ შექმნის ან არ გაზრდის საბუღალტრო შეუსაბამობას, რომელ

შემთხვევაშიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებთან დაკავშირებული მოგება და ზარალი ასევე წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთჩათვლას ექვემდებარება და წმინდა თანხა დაფიქსირდება მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს აღიარებული თანხების ჩათვლის იურიდიულად დაცული უფლება და არსებობს ურთიერთჩათვლის განხორციელების ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულების დაფარვის განზრახვა. ამგვარი ჩათვლის უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიული ძალა უნდა ჰქონდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობისას, (ii) მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს, მოთხოვნამე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს თავდაპირველი დაფარვის ვადით სამი თვე ან ნაკლები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით (AC), რადგან: (i) ისინი იმართება სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადების შეგროვებისთვის და ეს ფულადი სახსრების ნაკადები წარმოადგენს SPPI- ს, და (ii) ისინი არ არის მითითებული FVTPL–ში. მხოლოდ ისეთი კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციები, როგორიცაა რესტრუქტურიზაციის შესახებ კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, არ ახდენს გავლენას SPPI ტესტზე, თუ ისინი იმგვარად არაა შესული ხელშეკრულების პირობებში, რომ აღნიშნულმა ფუნქციამ იმოქმედოს კანონმდებლობაში შემდგომი ცვლილებების შემთხვევაშიც.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით (AC), ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3. ზუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება. სავაჭრო საკრედიტო დავალიანების დარიცხვა ხდება, როცა მეორე მხარე შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის მოვალეობებს და როცა ეს დავალიანება თავდაპირველად აღიარებულ იქნება სამართლიანი

სესხები და კრედიტები. სესხები და კრედიტები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, გაწეული საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საშემოსავლო გადასახადები. საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში ანგარიშგების პერიოდის დასასრულს ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელთა მიხედვითაც კომპანიებს (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვეო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ მოუწევთ მოგებაზე საშემოსავლო გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ აღნიშნული მოგება განაწილებულია ან ითვლება განაწილებულად დივიდენდის ფორმით. საშემოსავლო გადასახადის 15% გადახდა ხდება მთლიან ღირებულებაზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები გაერთიანებული უნდა იქნას 5% დაკავებული გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაყოფილი იქნას 0.85-ზე), ფიზიკური პირებისთვის და არა-რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდების გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადებისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მიღებულ შემოსავალზე დარიცხული დივიდენდები ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადის დარიცხვას მთლიან ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც გამოცხადებული ან დასაბეგრ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის წილი იმავე პერიოდის ჯამურ წმინდა მოგებასთან შედარებით, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაკისრებულ ფაქტიურ საშემოსავლო გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება საშემოსავლო გადასახადის ხარჯის სახით იმ პერიოდში, როცა გამოცხადდება დივიდენდები, განურჩევლად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი ექვემდებარება გადახდას გაწეულ ხარჯებსა და სხვა გადახდილ თანხებზე, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივებისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა საავანსო თანხა, გადახდილი კომპანიებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულია იმ იურისდიქციებში, რომლებსაც შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი აქვთ და სხვა გარკვეული ოპერაციები ამგვარ კომპანიებთან, ასევე ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხები დაუყოვნებლივ იბეგრება. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლისგანაც გაქვითულია საგადასახადო შეღავათები, რომლებიც მოთხოვნილია აქტივებზე ან იმ კომპანიებისთვის გადახდილი საავანსო თანხების სანაცვლოდ მიღებულ მომსახურებაზე, რომლებიც რეგისტრირებულია იმ

იურისდიქციებში, რომლებსაც შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი აქვთ ან ფიზიკური პირებისა ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხების დაბრუნება ფიქსირდება გადასახადებში, გარდა საშემოსავლო გადასახადისა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების ხელახალი შეფასება ხდება ხელმძღვანელობის მიერ ყოველი ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. ვალდებულებები ფიქსირდება საშემოსავლო გადასახდის პოზიციებისთვის, რომლებიც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომლებიც მეტი ალბათობით გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ პოზიციები ეჭვქვეშ უნდა ყოფილიყო დაყენებული საგადასახადო ორგანოების მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედებულია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების პერიოდის დასასრულს და ამგვარ საკითხებზე სასამართლოს ან ნებისმიერ სხვა ცნობილ გადაწყვეტილებას. პასუხისმგებლობა ჯარიმებზე, პროცენტსა და გადასახადებზე, გარდა საშემოსავლო გადასახადისა, აღიარებულია ანგარიშგების პერიოდის დასასრულს ვალდებულებების დასაფარად საჭირო დანახარჯების ხელმძღვანელობის საუკეთესო გაანგარიშებაზე დაყრდნობით. გაურკვეველი საშემოსავლო პოზიციების კორექტირებები ფიქსირდება საშემოსავლო გადასახადის ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. პროდუქციის რეალიზაციისას დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან, ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას მომხმარებლებისთვის საქონლისა ან მომსახურების მიწოდებისას. პროდუქციის რეალიზაციისას დამატებული ღირებულების გადასახადი, როგორც წესი, ანაზღაურებადია პროდუქციის რეალიზაციისას დამატებული ღირებულების მიმართ, დღგ ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს დაფარვის ნებას რთავენ ურთიერთჩათვლის საშუალებით. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებული და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ურთიერთჩათვლის საშუალებით. თუ გათვალისწინებულია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი ფიქსირდება მევალის მთლიანი თანხისთვის, დღგ ჩათვლით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები მითითებულია ღირებულებასა და რეალიზაციის წმინდა ღირებულებას შორის უმცირესი ოდენობით. ინვენტარიზაციის ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მნიშვნელობის საფუძველზე. მზა პროდუქციის ღირებულება მოიცავს შესყიდვის ხარჯებსა და შესყიდვის ფასს, საიმპორტო მოსაკრებელსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დამუშავების ხარჯებს და ნებისმიერ სხვა პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს,

3. ზუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო ფასდაკლებების, შეღავათებისა და მსგავსის გამოკლებით, რომელიც გაწეულია სასაქონლო-მატერიალური მარაგების მიტანისას მათ ამჟამინდელ ადგილსა და მდგომარეობაში.

ყოველი ანგარიშგების თარიღისას, ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისას, საბალანსო ღირებულება მცირდება მის რეალიზაციის წმინდა ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურებით გამოწვეული ზარალი დაუყოვნებლივ იქნება აღიარებული მოგებასა ან ზარალში.

წინსწრებით გადახდები. წინსწრებით გადახდები ხორციელდება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინსწრებით გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც არა-მიმდინარე, თუ წინსწრებით გადახდასთან დაკავშირებული საქონლისა ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ ან თუ წინსწრებით გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავად იქნება კლასიფიცირებული, როგორც არა-მიმდინარე, თავდაპირველი აღიარებისას. წინსწრებით გადახდები აქტივების შესაძენად გადაირიცხება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მიღების შემდეგ და არსებობს იმის ალბათობა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური პრივილეგიები მიენიჭება ჯგუფს. სხვა წინსწრებით გადახდების ჩამოწერა ხდება მოგებასა ან ზარალზე, როცა მიღებულია წინსწრებით გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ წინსწრებით გადახდებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, წინსწრებით გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოწერილია, ხოლო გაუფასურებით გამოწვეული შესაბამისი ზარალი აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კჯგუფის გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის პარტნიორების მიერ. ცვლილებები ჯგუფის გამოცხადებულ კაპიტალში შეტანილ იქნება მხოლოდ ჯგუფის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები ფიქსირდება დავალიანების სახით და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან ინ პერიოდში, როცა ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ანგარიშგების პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად უფლებამოსილების მინიჭებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი მითითებულია შემდგომ მოვლენათა შენიშვნაში (შენიშვნა30).

რეზერვები ვალდებულებებისა და დარიცხვებისთვის. ვალდებულებებისა და დარიცხვების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროის და ოდენობის არაფინანსური ხასიათის ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება, არსებობს ალბათობა იმისა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის საიმედო შეფასების განხორციელება. რეზერვები ფასდება ხარჯების მიმდინარე სიდიდით, რომელთა გაღებაც მოსალოდნელია, რომ საჭირო

გახდება ვალდებულების დასაფარად გადასახადის გადახდამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. რეზერვის ზრდა დროის განმავლობაში აღიარებულია, როგორც გასავალი ფინანსურ ხარჯებში.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი წარმოადგენს ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის დროს შემოდინებულ თანხას. შემოსავალი აღიარებულია გარიგების ფასის ოდენობით. გარიგების ფასი არის იმ ანაზღაურების ოდენობა, რომლის მიღების უფლებას ჯგუფი ვარაუდობს მომხმარებლისთვის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარეების სახელით შეგროვებული თანხების გამოკლებით.

შემოსავლის აღიარება ხდება ფასდაკლების, დაბრუნებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

საქონლის გაყიდვები. გაყიდვების აღიარება ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემის მომენტში, როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს ან გადამზიდავს, მომხმარებელს აქვს საქონლის სრულად განკარგვის უფლება, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. საქონელი ითვლება ადგილზე მიტანილად, როდესაც საქონელი ტრანსპორტირებულია კონკრეტულ ადგილზე ან მიწოდებულია გადამზიდავისთვის, შეფერხებისა და ზარალის რისკი გადაცემულია მომხმარებლისთვის, ან როდესაც მომხმარებელმა მიიღო საქონელი ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების შესახებ დებულებებმა ძალა დაკარგა, ან ჯგუფს აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

არ ითვლება რომ წარმოდგენილია დაფინანსების ელემენტი, ვინაიდან გაყიდვები ხორციელდება 30-დღიანი ვადის მქონე საკრედიტო პერიოდში, რაც შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას. დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება ტვირთის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, რადგან გადახდის ვადის დადგომას მხოლოდ დრო აშორებს.

მომსახურების გაყიდვა. ჯგუფი ახორციელებს მომსახურებას ფიქსირებული და ცვლადი ფასების ხელშეკრულებების საფუძველზე. მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდში, რომლის დროსაც ხდება მომსახურების გაწევა. ფიქსირებული ფასის ხელშეკრულებებისთვის შემოსავალი აღიარებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მიწოდებული ფაქტობრივი მომსახურების საფუძველზე, მთლიანი გასაწევი მომსახურების პროპორციულად, რადგან მომხმარებელი იღებს და იყენებს სარგებელს ერთდროულად. აღნიშნული განისაზღვრება მოსალოდნელ სამუშაო საათებთან შედარებით ფაქტიურად გახარჯული სამუშაო საათების საფუძველზე.

როდესაც კონტრაქტები მოიცავს მრავალჯერადი შესრულების ვალდებულებებს, გარიგების ფასი გამოიყოფა თითოეული ცალკეული

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

შესრულების ვალდებულებაზე, ცალკეული გაყიდვების ფასების საფუძველზე. იქ, სადაც ეს უშუალოდ არ შეინიშნება, ისინი ფასდება მოსალოდნელი ღირებულების და ფასს პლიუს მარჟის საფუძველზე.

თუკი გარემოებები შეიცვლება, შემოსავლების, ხარჯების ან შესრულების პროგრესის ხარისხი გადაიხედება დასრულებამდე. შემოსავლის ან ხარჯების ნებისმიერი გამოწვეული ზრდა ან შემცირება აისახება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გადახედვის საჭიროების წარმომქმნელი გარემოებები ცნობილი ხდება მენეჯმენტისთვის.

ფიქსირებული ფასის ხელშეკრულების შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ თანხას გადახდის გრაფიკის საფუძველზე. თუ ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურებები აღემატება გადახდას, ხდება სახელშეკრულებო აქტივის აღიარება. თუ გადახდები აღემატება გაწეულ მომსახურებას, ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება.

თუ ხელშეკრულებაში შედის საათობრივი გადასახადი, შემოსავალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლის ინვოისის სახით წარდგენის უფლებაც აქვს ჯგუფს. მომხმარებლებს ინვოისი ეგზავნებათ ყოველთვიურად, ხოლო ანაზღაურების გადახდა ხდება ინვოისის წარდგენის შემდეგ.

თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს ცვალებად ანაზღაურებას, შემოსავალი აღიარდება მხოლოდ იმ ხარისხით, რომლითაც სავარაუდოა, რომ არ მოხდება ამგვარი ანაზღაურების მნიშვნელოვანი უკუქცევა.

ანაზღაურებები თანამშრომელთათვის. ხელფასი, საქართველოს საპენსიო ფონდში შესატანი თანხები, წლიური შვებულებისა და ბიულეტენის თანხა, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, რომელშიც ხდება ჯგუფის შესაბამისი თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურების გაწევა. ჯგუფს არ აქვს იურიდიული ან ტრადიციული ვალდებულება პენსიის ან მსგავსი დახმარების გადახდაზე, გარდა კანონით დადგენილი შენატანების სქემის გადასახადებისა.

ფინანსური ანგარიშების შესწორება მათი გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ამ ფინანსურ ანგარიშებში გამოშვების შემდეგ საჭიროებს ჯგუფის ხელმძღვანელობის თანხმობას, რომელიც ანიჭებს უფლებასმოსილებას ამ ფინანსური ანგარიშების გამოშვებაზე.

4. კრიტიკული საბუღალტრო გაანგარიშებები და მსჯელობები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს გაანგარიშებებსა და ვარაუდებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. გაანგარიშებები და მოსაზრებები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, სამომავლო მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, რომლებიც მიჩნეულია გონივრულად მოცემულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე გამოთქვამს გარკვეულ მოსაზრებებს, გარდა იმისა, რაც მოიცავს გაანგარიშებებს, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და გაანგარიშება, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

ECL-ის (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის) შეფასება. ECL-ის შეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან გათვლას რომელიც მოიცავს განსაზღვრის მეთოდოლოგიას, მოდელებს და მონაცემთა შეყვანას. ECL-ის შეფასების მეთოდოლოგია გამჟღავნებულია შენიშვნა 26- ში. საკრედიტო ზარალის რეზერვზე ძირითად გავლენას ახდენენ შემდეგი კომპონენტები: დეფოლტის განსაზღვრა და SICR. ჯგუფი რეგულარულად იხილავს და ამოწმებს მედელებს და მათ შემავალ მონაცემებს, რათა შემცირდეს სხვაობები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და პრაქტიკაში არსებულ ფაქტიურ საკრედიტო ზარალს შორის. ჯგუფმა გამოიყენა დამტკიცებული საპროგნოზო ინფორმაცია ECL-ის შეფასებისთვის, პირველ რიგში, საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკული პროგნოზირების მოდელის შედეგი. ვინაიდან კომპანია საქონლის უმეტეს ნაწილს ექსპორტზე აგზავნის სხვადასხვა ქვეყნებში, საპროგნოზო შეფასებას არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ECL-ზე.

ბიზნეს-მოდელის შეფასება. ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ხელმძღვანელობამ, ბიზნეს-მოდელის შეფასებისას გამოიყენა მსჯელობა ფინანსური პორტფელების აგრეგირების დონის განსაზღვრისას. გაყიდვის გარიგებების შეფასებისას, ჯგუფმა გაითვალისწინა მათი ისტორიული სიხშირე, ვადები და ღირებულება, გაყიდვების მიზეზები და მოლოდინები სამომავლო გაყიდვებიდან. კრედიტუნარიანობის გაუარესების გამო პოტენციური ზარალის მინიმიზაციისკენ მიმართული გაყიდვების გარიგებები ითვლება ბიზნეს-მოდელის „აქტივების დაკავება ფულადი სახსრების მიღებისთვის“ შესაბამისად. სხვა გაყიდვები დაფარვის ვადამდე, რომლებიც არ არის დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვასთან, ასევე შეესაბამება ბიზნეს-მოდელს „აქტივების დაკავება ფულადი სახსრების მიღებისთვის“, იმ პირობით, რომ ისინი ისინი არ არის ხშირი ან უმნიშვნელო ღირებულებისაა როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლიობაში. ჯგუფი აფასებს გაყიდვების გარიგებების მნიშვნელოვნებას გაყიდვების ღირებულების შედარებით პორტფელის ღირებულებასთან, ამ უკანასკნელის საშუალო მოქმედების ვადის განმავლობაში ბიზნეს-მოდელის შეფასების გათვალისწინებით. ამასთან, ფინანსური აქტივების გაყიდვები, რომლებიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესული სცენარის განვითარების პირობებში, ან იმ ცალკეული მოვლენის საპასუხოდ, რაც ჯგუფის კონტროლის ფარგლებს სცილდება, არ მეორდება და არ შეიძლება მოსალოდნელი იყოს ჯგუფისთვის, ბიზნეს-მოდელის მიზნისთვის განიხილება როგორც შემთხვევითი და არ ახდენს გავლენას შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

4. კრიტიკული საბუღალტრო გაანგარიშებები და მსჯელობები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას

ბიზნეს-მოდელი „აქტივების დაკავება ფულადი სახსრების მიღებისთვის“ ნიშნავს, რომ აქტივები კავდება ფულადი ნაკადების მისაღებად, მაგრამ გაყიდვა ასევე განუყოფელი ნაწილია ბიზნეს-მოდელის მიზნის მისაღწევად, როგორიცაა ლიკვიდურობის საჭიროებების მართვა, გარკვეული შემოსავლიანობის მიღწევა ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევა იმ ვალდებულებების ხანგრძლივობაზე, რომლებიც აფინანსებს აღნიშნულ აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებული იქნა, როგორც დაკავებულები ფულადი სახსრების მისაღებად.

ძირითადი საწარმოო საშუალებებისა და მოწყობილობის ექსპლუატაციის ვადა. ძირითადი საწარმოო საშუალებებისა და მოწყობილობის ექსპლუატაციის ვადის გაანგარიშება განხილვის საგანს წარმოადგენს მსგავსი აქტივებით გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენების საშუალებით ხორციელდება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ ექსპლუატაციის ვადას აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ სავარაუდო პერიოდის შესაბამისად, რომელშიც მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანს ჯგუფს. გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება;

თუ სავარაუდო ექსპლუატაციის ვადები 10%-ით განსხვავდება ხელმძღვანელობის გაანგარიშებებისგან, ზემოქმედება ამორტიზაციაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, იქნება მისი გაზრდა/შემცირება 162,328 ლარით (2019: 141,55 ლარით).

5. განახლებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

COVID-19–თან დაკავშირებული ქირავნობის შეღავათები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 16-ის შესწორება, რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც 2020 წლის 1 ივნისს ან მას შემდეგ იწყება. შესწორება მოიჯარეობას ათავისუფლებს სურვილისამებრ გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, არის თუ არა COVID-19– თან დაკავშირებული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარეებს შეუძლიათ აირჩიონ ქირაზე შეღავათების აღრიცხვა ისევე, როგორც ეს არ იქნება იჯარის ცვლილებები. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ ქირაზე შეღავათებზე, რომლებიც წარმოიქმნება COVID-19 პანდემიის უშუალო შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: იჯარის გადახდის ცვლილება იწვევს იჯარის შესწორებულ ანაზღაურებას, რაც არსებითად იგივეა, ან ნაკლებია, იჯარის ანაზღაურებაზე ცვლილების წინ უშუალოდ; იჯარის გადახდის ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისამდე ან ადრე გადახდაზე; და არ ხდება არსებითი ცვლილება იჯარის სხვა ვადებსა და პირობებში.

2020 წელს ჯგუფს არ ქონდა COVID-19–ით დაკავშირებული ქირა, რის გამოც ცვლილებების გამოყენებამ არ იქონია გავლენა როგორც საიჯარო ვალდებულებაზე, ასევე სარგებლობის უფლებით აქტივზე.

შემდეგი შესწორებული სტანდარტები ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არ აქვს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფზე:

- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოში (გამოქვეყნებულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- ბიზნესის განმარტება - ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3 (გამოქვეყნებულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შესყიდვებისათვის წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- მატერიალურობის განმარტება - ცვლილებები IAS 1-სა და IAS 8-ში (გამოქვეყნებულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ).
- საპროცენტო განაკვეთის საორიენტაციო რეფორმა - ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9, IAS 39 და ფინანსური ანგარიშგებიის საერთაშორისო სტანდარტი 7 (გამოქვეყნებულია 2019 წლის 26 სექტემბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ

6 სიახლეები ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში

გამოშვებულ იქნება გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მოგვიანებით და რომელიც ჯგუფს ადრე არ მიუღია.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის პარტნიორს და მასთან დაკავშირებულ ან ერთობლივი საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოიცა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შედის სსსბ-ს მიერ განსაზღვრული თარიღით ან მოგვიანებით დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).ეს შესწორებები მიმართულია ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობების აღმოფხვრისკენ, ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვისას ან კოტრიბუციისას. შესწორების მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ სრული მოგების ან ზარალის აღიარება ხდება, როდესაც ოპერაციაში ჩართულია ბიზნესი. ნაწილობრივი ზარალი ან მოგება აღიარებულია, როცა ოპერაცია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, როდესაც მათი მფლობელი შვილობილი კომპანიაა. ჯგუფი მიმდინარე პერიოდში აფასებს შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ აგარიშგებებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17, "სადაზღვევო კონტრაქტები" (გამოშვებული 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია პერიოდებისთვის, რომლებიც 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ იწყება). ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17 ანაცვლებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს 4, რომელმაც კომპანიებს მისცა ნებართვა განახორციელონ ბუღალტრული აღრიცხვა სადაზღვევო კონტრაქტებისთვის არსებული პრაქტიკის გამოყენებით. ამის შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17 წარმოადგენს ერთიან პრინციპზე დაფუძნებულ სტანდარტს ყველა ტიპის სადაზღვევო
კონტრაქტების აღრიცხვისთვის, გადაზღვევის კონტრაქტების ჩათვლით, რომლებიც მზღვეველს აქვს. სტანდარტი ითვალისწინებს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების აღიარებასა და შეფასებას: (i) სამომავლო ფულადი საშუალებების (შესრულების ფულადი საშუალებების) რისკებზე კორექტირებული ამჟამინდელი ღირებულებით, რომელიც მოიცავს მთელ ხელმისაწვდომ ინფორმაციას შესრულების ფულადი საშუალებების შესახებ უტყუარ საბაზრო ინფორმაციასთან შესაბამისობაში; პლუს (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან მინუს (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს მიუღებელ მოგებას კონტრაქტების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფიდან მათ მიერ სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფის პერიოდის განმავლობაში და როცა ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან გახდება ზარალის გამომწვევი, ორგანიზაცია დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურაში შეტანილი შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). შესწორებული კონცეპტუალური სტრუქტურა მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებებს; გაუმჯობესებულ განსაზღვრებებს და სახელმძღვანელო მითითებებს - კერძოდ, ვალდებულების განსაზღვრას; და განმარტებებს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა მართვის, სიფრთხილის და შეფასების განუსაზღვრელობის როლი ფინანსურ ანგარიშგებაში

ბიზნესის განსაზღვრება - ფასს 3-ის შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). შესწორებები განიხილავს ბიზნესის განსაზღვრებას. ბიზნესში უნდა ფიგურირებდეს წარმოების ხარჯები და არსებითი პროცესი, ხოლო ორივემ ერთად შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი შედეგის მიღწევაში. ახალი სახელმძღვანელო მითითებები უზრუნველყოფს საფუძველს იმისათვის, რომ განისაზღვროს თუ როდის აქვს ადგილი საწარმოო ხარჯებსა და არსებით პროცესს, მათ შორის ახლად ჩამოყალიბებული კომპანიებისთვის, რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ შედეგისთვის. იმ შემთხვევაში თუ ჯერ არ მიღწეულა შედეგი, ორგანიზებული სამუშაო ძალა უნდა იყოს წარმოდგენილი ბიზნესად კლასიფიკაციის პირობად. ტერმინი „შედეგი“ შეზღუდულად არის განსაზღვრული, რათა ყურადღება გამახვილდეს მომხმარებლისთვის მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებებზე, რომლებიც ქმნიან საინვესტიციო და სხვა შემოსავალს, და ეს გამორიცხავს შემოსავლებს ქვედა ხარჯების და სხვა ეკონომიკური სარგებელის სახით. ასევე, აღარ წარმოადგენს აუცილებლობას იმის შეფასება, შეუძლიათ თუ არა ბაზრის მონაწილეებს ნაკლული ელემენტების ჩანაცვლება ან საქმიანობების შეძენილი სახეობების და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს „ტესტი კონცენტრირებაზე“. შეძენილი აქტივები ვერ წარმოადგენენ ბიზნესს თუ შეძენილი მთლიანი აქტივების პრაქტიკულად ყველა სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). შესწორებები პერსპექტიულია და ჯგუფი გამოიყენებს მათ და შეაფასებს მათ გავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

მატერიალურობის განსაზღვრება - ბასს 1-ის და ბასს 8-ს შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). შესწორებები განმარტავს მატერიალურობას და მისი გამოყენების საშუალებებს, განსაზღვრების სახელმძღვანელო მითითებებში შეტანით, რომელიც ფასს-ის სხვა ნაწილებში აქამდე ყველგან ფიგურირებდა. ამასთან, განსაზღვრების თანმხლები განმარტებები გაუმჯობესდა. საბოლოოდ, ჩასწორებები უზრუნველყოფენ მატერიალურობის განსაზღვრების შესაბამისობას ყველა ფასს სტანდარტთან. ინფორმაცია მნიშვნელოვანია, თუ მისი გამოტოვება, არასწორი გადმოცემა ან ბუნდოვანება სავარაუდოდ დასაბუთებულად მოახდენს გავლენას გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებენ ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების ძირითადი მომხმარებლები იმ ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ. ჯგუფი ამჟამად აფასებს

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ
შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

. სიახლეებიბუღალტრულიაღრიცხვისსფეროში(გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკების რეფორმა - ფასს 9-ს, ბასს 39-ის, ფასს 7-ის შესწორებები (გამოშვებულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). შესწორებების განხორციელება განპირობებული იქნა ბენჩმარკის საპროცენტო განაკვეთების შეცვლით, როგორიცაა LIBOR და სხვა ბანკთაშორისი შეთავაზებული საპროცენტო განაკვეთები ("IBORs"). შესწორებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებას ჰეჯირების ურთიერთობებზე, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR რეფორმა. ფულადი სახსრების მოძრაობის ჰეჯირების აღრიცხვა, როგორც ფასს 9-ის, ასევე ბასს 39-ის თანახმად, მოითხოვს, რომ მომავალი ჰეჯირებული
ფულადი ნაკადები იყოს „მაღალი ალბათობით სავარაუდო“. როდესაც ეს ფულადი სახსრები დამოკიდებულია IBOR-ზე, შესწორებებით გათვალისწინებული შეღავათი მოითხოვს სუბიექტისგან ვარაუდს, რომ საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ემყარება ჰეჯირებული ფულადი ნაკადები, არ იცვლება რეფორმის შედეგად. ბასს 39 და ფასს 9 საჭიროებს პერსპექტიული შეფასების შეფასებას ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი სახსრების ნაკადები IBOR და IBOR ჩანაცვლების კურსის თანახმად, ამჟამად ექვივალენტურია, რაც მინიმუმამდე ამცირებს არაეფექტურობას, შესაძლოა ეს აღარ მოხდეს, რადგან რეფორმის თარიღი მიახლოვდება. ცვლილებების თანახმად, ერთეულმა შეიძლება გაითვალისწინოს, რომ IBOR-ის რეფორმა არ შეცვლის საპროცენტო განაკვეთის ნიშნულს, რომელსაც ემყარება ჰეჯირებული საგნის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები. მაშინ, როდესაც მიმდინარე პერიოდში მოსალოდნელია, რომ ფულადი სახსრების ნაკადები IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების კურსის მიხედვით, მთლიანობაში ექვივალენტური იქნება, რაც მინიმუმამდე ამცირებს არაეფექტურობას, შესაძლოა აღნიშნულს ადგილი აღარ ჰქონდეს, რადგან ახლოვდება რეფორმის თარიღი. შესწორებების თანახმად, საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ IBOR-ის რეფორმა არ შეცვლის საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკს, რომელსაც ემყარება ჰეჯირებული საგნის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები. IBOR–ის რეფორმამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს ჰეჯირების ბასს 39–ით გათვალისწინებული რეტროსპექტიული ტესტის მიერ მოთხოვნილი 80–125%–იანი დიაპაზონის ფარგლებს გარეთ მოხვედრა. შესაბამისად, ბასს 39–ში შევიდა შესწორებები, რეტროსპექტიული ეფექტურობის ტესტისთვის გამონაკლისის უზრუნველსაყოფად, რომლის მიხედვით, ჰეჯირება არ წყდება IBOR–თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდში, მხოლოდ იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა ამ დიაპაზონს სცილდება. ამასთან, ჰეჯირების აღრიცხვის სხვა მოთხოვნები, მათ შორის სავარაუდო შეფასებისაც, მაინც უნდა დაკმაყოფილდეს. ზოგიერთ ჰეჯირებაში, ჰეჯირების ობიექტი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR-ის რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ნახსენები ხელშეკრულებაში. იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას ჰეჯირების აღრიცხვა, ფასს 9 და ბასს 39 მოითხოვს, რომ განსაზღვრული რისკის კომპონენტი იყოს ცალკე იდენტიფიცირებადი და საიმედოდ გაზომვადი. შესწორებების თანახმად, რისკის კომპონენტი ცალკე იდენტიფიცირებადი უნდა იყოს მხოლოდ თავდაპირველი ჰეჯირებისას და არა მუდმივად. მაკროჰეჯირების კონტექსტში, როდესაც საწარმო ხშირად ახდენს ჰეჯირების ურთიერთობის გადატვირთვას, გამოთავისუფლება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ჰეჯირების ობიექტი თავდაპირველად განისაზღვრება ამ ჰეჯირების ურთიერთობაში. ჰეჯირების ნებისმიერი არაეფექტურობა კვლავ აღირიცხება მოგებასა და ზარალში, ბასს 39–ისა და ფასს 9–ის თანახმად. ცვლილებები ადგენს პირობას იმისა თუ როდის უნდა დასრულდეს გამოთავისუფლება, რაც მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის უკვე აღარ არსებული რეფორმიდან გამომდინარე გაურკვევლობას. შესწორებები მოითხოვს საწარმოსგან, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს დამატებითი ინფორმაცია ინვესტორებისთვის მათი ჰეჯირების ურთიერთობების შესახებ, რომლებზეც უშუალო გავლენას ახდენს აღნიშნული გაურკვევლობები, მათ შორის, ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური სიდიდე, რომლისთვისაც მოქმედებს ლგოტები, ნებისმიერი მნიშვნელოვანი დაშვებები ან მსჯელობები ლგოტების გამოყენებისას, და ინფორმაციის ხარისხობრივი გამჟღავნებები იმის შესახებ თუ როგორ გავლენას ახდენს IBOR-ის რეფორმა საწარმოზე და როგორ ხელმძღვანელობს გადასვლის პროცესს. ჯგუფი მიმდინარე პერიოდში აფასებს შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედა გრძელვადიანვალდებულებებად- ბასს1-ის შესწორებები (გამოშვებულია2020 წლის23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის მიწურულს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არის გრძელვადიანი, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებითი უფლება აქვს გადადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. სახელმძღვანელო მითითებები აღარ საჭიროებს ასეთი უფლების უპირობობას. მენეჯმენტის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, გამოიყენებენ თუ არა შემდგომში ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების
უფლება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ საწარმო საანგარიშო პერიოდის ბოლოს შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს. ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, თუ პირობა დაირღვა საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ან მანამდე, მაშინაც კი, თუ ამ პირობაზე უარის მიღებულია გამსესხებლისგან საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ

როგორც გრძელვადიანი, თუ სესხის შეთანხმება დაირღვა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას სესხისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს საკუთარ კაპიტალში კონვერტაციით. "ანგარიშსწორება" განისაზღვრება, როგორც ვალდებულების დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებს. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთათვისაც კონვერტაციის ვარიანტი კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც ნაერთი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტი. ჯგუფი მიმდინარე პერიოდში აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სიახლეებიბუღალტრულიაღრიცხვისსფეროში(გაგრძელება)

შემოსავლები დაგეგმილ გამოყენებამდე, დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება, მითითებაკონცეპტუალურჩარჩოზე- ბასს 16-ის, ბასს37-ისდაფასს3-ისვიწრომასშტაბისშესწორებები,და2018-2020 ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები - ფასს 1-ის, ფასს 9-ს, ფასს 19-ის და ბასს 41-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის პოზიციის ღირებულებიდან იმ პოზიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გამოქვითვას, რომლებიც დამზადდა, როდესაც საწარმო ამზადებდა აქტივს დაგეგმილი გამოყენებისთვის. ამგვარი პოზიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების ღირებულებასთან ერთად, უკვე აღიარებულია მოგებასა ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული პოზიციების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს ტესტირებადი აქტივის ცვეთას, რადგან ის არ არის მზად დაგეგმილი გამოყენებისთვის.

ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 16 ასევე განმარტავს, რომ ორგანიზაცია ,,ამოწმებს, სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როცა ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ მწარმოებლურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არაა მნიშვნელოვანი ამ შეფასებისთვის. აქედან გამომდინარე, აქტივს შეიძლება უნარი ჰქონდეს იფუნქციონიოროს იმ დანიშნულებით, რაც ხელმძღვანელობამ განსაზღვრა და ცვეთის გათვალისწინებით, სანამ ის მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ მოსალოდნელი საოპერაციო მაჩვენებლების დონეს.

ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 37 განმარტავს ,,კონტრაქტის შესრულების ხარჯებს“. ცვლილება განმარტავს, რომ კონტრაქტის შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს კონტრაქტის შესრულების დამატებით ხარჯებს და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც უშუალოდ შესრულებასთანაა დაკავშირებული. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი კონტრაქტის ცალკე პირობის ჩამოყალიბებამდე, ორგანიზაცია აღიარებს ნებისმიერ საამორტიზაციო ზარალს, რომელიც დადგება კონტრაქტის შესრულებისას გამოყენებულ აქტივებთან მიმართებაში და არა ამ კონტრაქტისთვის განკუთვნილ აქტივებთან მიმართებაში.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3 შეცვლილ იქნა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების მისათითებლად, იმის განსაზღვრისთვის, თუ რა წარმოადგენს აქტივს ან პასივს კომპანიათა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3-ში მითითებული იყო 2011 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. გარდა ამისა, ახალი გამონაკლისი იქნა დამატებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 3 დავალიანებასა და პირობით დავალიანებასთან დაკავშირებით. გამონაკლისი ითვალისწინებს, რომ ზოგიერთი ტიპის დავალიანებისა და პირობითი დავალიანებისთვის, ორგანიზაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 3-ს იყენებს, უნდა მიუთითოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 37 ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის 21-ე ინტერპრეტაცია, ნაცვლად 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, ორგანიზაციას შეეძლო ეღიარებინდა ზოგიერთი დავალიანება კომპანიათა შერწყმისას, რომელსაც ის არ აღიარებდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 37 შესაბამისად. აქედან გამომდინარე, უშუალოდ შემენის შემდეგ, ორგანიზაციას მოუწევდა ამგვარი დავალიანების აღიარების გაუქმება და სარგებლის აღიარება, რომელიც არ ასახავდა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე განმარტებული იყო, რომ შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 37, შეძენის თარიღში.

ცვლილება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 9 ითვალისწინებს, თუ რა საკომისიო უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური დავალიანების აღიარების გაუქმებისთვის. ხარჯები ან საკომისიო შეიძლება გადახდილ იქნას მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. ცვლილების თანახმად, მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან საკომისიო არ იქნება შეტანილი 10% ტესტში.

საილუსტრაციო მაგალითი 13, რომელიც თანდართულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე 16 შეცვლილ იქნა საიჯარო ქონების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით მეიჯარისგან გადახდილი თანხების ილუსტრირების ამოსაღებად. ცვლილების მიზანია საიჯარო შეღავათების აღრიცხვასთან დაკავშირებით შესაძლო გაურკვევლობის მოცილება.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია ფინანსური

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს მიიღებს უფრო გვიან, ვიდრე მისი დამფუძნებელი. შვილობილ კომპანიას შეუძლია თავისი აქტივებისა და პასივების შეფასება მათი საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეტანილი იქნებოდა მისი დამფუძნებლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, დამფუძნებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადაცვლის თარიღის მიხედვით, თუ კონსოლიდირების პროცედურები არ იყო კორექტირებული და კომპანიათა შერწყმის მიზნით, რომელშიც დამფუძნებელმა შეიძინა შვილობილი კომპანია. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1 შეცლილ იქნა, რათა საშუალება მიეცა ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც გამოიყენეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის ეს გამონაკლისი, რომ ასევე შეეფასებინათ ჯამური კურსთაშორისი სხვაობები დამფუძნებლის მიერ დაფიქსირებული თანხების გამოყენებით, დამფუძნებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადაცვლის თარიღის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის ცვლილება ზემოაღნიშნულ გამონაკლისს ავრცელებს ჯამური კურსთაშორის სხვაობებზე, სტანდარტების ახალი მიმღებებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს ცვლილება ასევე ვრცელდება ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც გამოიყენეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის იგივე გამონაკლისი.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა, რომ ორგანიზაციებმა არ გაითვალისწინონ გადასახადებით დაბეგვრისთვის ფულადი ნაკადები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 41 შესაბამისად სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას. ეს ცვლილება მიზნად ისახავს შესაბამისობაში მოყვანას მოთხოვნასთან სტანდარტში, ყველა გადასახადის გადახდის შემდეგ ფულადი ნაკადების დისკონტირების თაობაზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6. სიახლეებიბუღალტრულიაღრიცხვისსფეროში(გაგრძელება)

Covid-19-თან დაკავშირებული შეღავათები ქირის გადახდისას - ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების სართაშორისო სტანდარტში 16 (გამოქვეყნებულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები მოიჯარეებს (და არა მეიჯარეებს) ანიჭებდა შეღავათს იმის შეფასებისგან არჩევითი გათავისუფლების ფორმით, COVID-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათები წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეებს შეუძლიათ ქირასთან დაკავშირებული შეღავათები ახსნან იგივენაირად, როგორც ამას გააკეთებდნენ, თუ ისინი არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაციები. ბევრ შემთხვევაში, ეს გამოიწვევს შეღავათის ახსნას, როგორც ცვალებად საიჯარო გადასახადს. პრაქტიკული საშუალება ვრცელდება მხოლოდ ქირის შეღავათებზე, რომლებიც COVID-19 პანდემიის პირდაპირი შედეგია და მხოლოდ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს საიჯარო გადასახადის გადასინჯვას, რაც არსებითად იგივეა, ან უფრო ნაკლებია, ვიდრე საიჯარო გადასახადი უშუალოდ ცვლილებამდე; საიჯარო გადასახადების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადასახადებზე, რომელთა გადახდის თარიღია 2021 წლის 30 ივნისი ან უფრო ადრე; და იჯარის სხვა პირობებში არსებითი ცვლილება არაა შეტანილი. თუ მოიჯარე გადაწყვეტს იჯარის მიმართ პრაქტიკული საშუალების გამოყენებას, ის მას თანმიმდევრულად გამოიყენებს მსგავსი მახასიათებლების მქონე ყველა საიჯარო კონტრაქტის მიმართ და მსგავს გარემოებებში. ცვლილება გამოყენებულ უნდა იქნას უკანა რიცხვით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 8 შესაბამისად, მაგრამ მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდის ციფრების ხელახალი მითითება ან მონაცემების წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 8-ის
28(ფ) პუნქტის შესაბამისად. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის ცვლილებები და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 4-ის ცვლილება (გამოქვეყნებულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის გამარტივებას, სტანდარტისა და გადასვლის ზოგი მოთხოვნის გამარტივებას. ცვლილებები ეხება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის რვა სფეროს და ისინი მიზნად არ ისახავს სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების გათვალისწინებით) გადავადებულია ორი წლის ვადით წლიური ანგარიშგების პერიოდებამდე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ; ხოლო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 4-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების ფიქსირებული ვადის ამოწურვის თარიღი ასევე გადაწეულია წლიური ანგარიშგების პერიოდებამდე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ;
- *და ზღვევის მოზიდვასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* ორგანიზაციამ უნდა გამოყოს დაზღვევის მოზიდვის ხარჯები კონტრაქტების მოსალოდნელ გაგრძელებასთან დაკავშირებით და ეს ხარჯები უნდა აღიაროს აქტივად მანამ, სანამ ორგანიზაცია აღიარებს კონტრაქტის გაგრძელებას. ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ აქტივის ანაზღაურებადობა ყოველ ანგარიშგების თარიღს და აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- *საინვესტიციო მომსახურებასთან დაკავშირებული საკონტრაქტო მომსახურების მარჟა:* უნდა განისაზღვროს დაფარვის ერთეულები, სადაზღვევო დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების ბენეფიტების რაოდენობისა და მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის ცვალებადი საკომისიოს მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის, ,,ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლის მომსახურებით“, ზოგადი მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილ უნდა იქნას ფულადი ნაკადების მოძრაობის სახით, სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში,

7 ნ ა შ თ ე ბ ი დ ა ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ულ

იმდენად, რამდენადაც ორგანიზაცია ასრულებს
ამგვარ საქმიანობას სადაზღვევო პოლისის მფლობელისთვის სადაზღვევო დაფარვიდან მიღებული ბენეფიტების გასაძლიერებლად.

- *არსებული გადაზღვევის კონტრაქტები – ზარალის ანაზღაურება:* როდესაც ორგანიზაცია აღიარებს ზარალს ძირითადი დამამძიმებელი სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან ჯგუფში დამამძიმებელი კონტრაქტების დამატებისას, ორგანიზაციამ უნდა დააკორექტიროს არსებული გადაზღვევის კონტრაქტების დაკავშირებული ჯგუფის საკონტრაქტო მომსახურების მარჟა და აღიაროს ნამატი არსებულ გადაზღვევის კონტრაქტებზე. არსებული გადაზღვევის კონტრაქტიდან ანაზღაურებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო კონტრაქტებზე აღიარებული ზარალის გამრავლებით ძირითადი სადაზღვევო
  კონტრაქტებთან დაკავშირებული პრეტენზიების პროცენტულ მაჩვენებელზე, რომლის ანაზღაურებასაც გეგმავს ორგანიზაცია არსებული გადაზღვევის კონტრაქტიდან. ეს მოთხოვნა გავრცელდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებული გადაზღვევის კონტრაქტი აღიარებულ იქნება იმ დრომდე ან იმავე დროს, როცა აღიარებულ იქნება ზარალი ძირითად სადაზღვევო კონტრაქტებზე.
- *სხვა ცვლილებები:* სხვა ცვლილებები მოიცავს გამონაკლისებს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსი) კონტრაქტებისა და ზოგი
  სასესხო კონტრაქტისთვის; სადაზღვევო კონტრაქტის აქტივებისა და პასივების წარმოადგენას პორტფოლიოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჯგუფების ნაცვლად; რისკების შერბილების ვარიანტის გამოყენებადობას ფინანსური რისკების შერბილებისას არსებული გადაზღვევის კონტრაქტებისა და არადერივაციული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, სამართლიანი ღირებულებით, მოგების ან ზარალის საშუალებით; ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის არჩევას წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში გაკეთებული გაანგარიშებების შესაცვლელად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის გამოყენებისას.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. სიახლეებიბუღალტრულიაღრიცხვისსფეროში(გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის ორიენტირების (IBOR) რეფორმა – მე-2 ფაზის ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 9, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 39, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 7, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 4 და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 16 (გამოქვეყნებულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2021 წლის იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). მე-2 ფაზის ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობს რეფორმების განხორციელებიდან, მათ შორის, ერთი ორიენტირის ჩანაცვლებას ალტერნატიული ორიენტირით. ცვლილებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების დასაბუთება IBOR რეფორმის შედეგად საკონტრაქტო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში;

  ინსტრუმენტებისათვის, რომლებზედაც ამორტიზირებული ღირებულების გაზომვა ვრცელდება, შესწორებები ითხოვენ ერთეულებს, როგორც პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, შეაფასონ ცვლილების განსაზღვრა IBOR– ის რეფორმის შედეგად მიღებული საკონტრაქტო ფულადი ნაკადები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით ფასს 9 – ის B5.4.5 პუნქტში მითითებების გამოყენებით, რის შედეგადაც, უშუალო მოგება ან ზარალი არ არის აღიარებული. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა ეხება მხოლოდ ასეთ ცვლილებას და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია IBOR რეფორმის უშუალო შედეგად, ხოლო ახალი საფუძველი ეკონომიკურად ექვივალენტურია წინა ბაზის. მზღვეველები, რომლებიც იყენებენ ფასს 9 -ის დროებით გათავისუფლებას, ასევე ვალდებულნი არიან გამოიყენონ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16 ასევე შეიცვალა, რომ მოიჯარეებმა მოითხოვონ მსგავსი პრაქტიკული მიზანშეწონილობა იჯარის ცვლილებების აღრიცხვისას, რაც ცვლის IBOR– ის რეფორმის შედეგად მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს.
- დასრულების თარიღი პირველ ფაზაში შეღავათებისთვის, შეჯირების ურთიერთობებში კონტრაქტით გაუთვალისწინებელი რისკის კომპონენტებისთვის; მე -2 ფაზის შესწორება მოითხოვს, რომ ერთეულმა პერსპექტიულად შეწყვიტოს 1-ლი ფაზის შეღავათების გამოყენება არაკონტრაქტულად განსაზღვრული რისკის კომპონენტზე უფრო ადრე, როდესაც ცვლილებები განხორციელდება არაკონტრაქტურად განსაზღვრულ რისკის კომპონენტში, ან როდესაც შეჯირების ურთიერთობა შეწყვეტილია. რისკის კომპონენტების 1 ფაზის შესწორებებში დასრულების თარიღი არ იყო მითითებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისას: მე -2 ფაზის ცვლილებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შვებებს ბასს 39 -ისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასსი) 9 -ის სპეციფიკური ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან IBOR რეფორმით პირდაპირ დაზარალებულ ურთიერთობებზე.

IFOR– ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7 დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება: შესწორებები მოითხოვს გამჟღავნებას: (i) როგორ ახორციელებს ერთეული ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე გადასვლას, მის პროგრესს და გარდამავალ რისკებს; (ii) რაოდენობრივი ინფორმაცია დერივატივებისა და არაწარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ არ არის გადასული, დაყოფილია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის მიხედვით; და (iii) რისკის მართვის სტრატეგიაში ნებისმიერი ცვლილების აღწერა IBOR რეფორმის შედეგად.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები IAS (ბასს) 1 -ში და ფასს -ის პრაქტიკაში განცხადება 2: ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამჟღავნება (გამოქვეყნებულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 1 შეიცვალა იმის მოთხოვნით, რომ კომპანიებმა გაამჟღავნონ თავიანთი მატერიალური აღრიცხვის პოლიტიკის ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა. შესწორებამ უზრუნველყო ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მატერიალური ინფორმაციის განსაზღვრა. შესწორებამ ასევე განმარტა, რომ საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მოსალოდნელია, თუ ამის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ ექნებათ საშუალება გაიგონ სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში. შესწორებამ მოიტანა სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც სავარაუდოდ განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ერთეულის ფინანსური ანგარიშგებისთვის. გარდა ამისა, ბასს 1 – ის შესწორება განმარტავს, რომ არამატერიალური აღრიცხვის პოლიტიკის ინფორმაცია არ უნდა იყოს გამჟღავნებული. თუმცა, თუ ის გამჟღავნებულია, ის არ უნდა ფარავდეს საბუღალტრო პოლიტიკის მატერიალურ ინფორმაციას. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს -ის პრაქტიკის პრაქტიკა 2, „არსებითი განაჩენების გამოტანა“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოს მითითებები, თუ როგორ გამოიყენოს მნიშვნელოვანი კონცეფცია საბუღალტრო პოლიტიკის გამჟღავნებისას. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 8 -ში: ბუღალტრული აღრიცხვის განსაზღვრა (გაცემული 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 8 -ის შესწორება განმარტავს, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის ცვლილებებისაგან. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Covid-19– თან დაკავშირებული გაქირავების შეღავათები-ცვლილებები IFRS 16 – ში (გაცემული 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდგომ). 2020 წლის მაისში გამოქვეყნდა ფასს 16-ის შესწორება, რომელიც მოიცავდა არჩევით პრაქტიკულ მიზანშეწონილობას მოიაზრეთა მიერ იმის შეფასებაში, იყო თუ არა COVID-19– თან დაკავშირებული ქირაზე დათმობა, რამაც გამოიწვია იჯარის ანაზღაურების შემცირება 2021 წლის 30 ივნისამდე ან მანამდე, იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა ცვლილებამ გააგრძელა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თარიღი 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომელიც წარმოიქმნება ერთი გარიგების შედეგად - ცვლილებები ბასს 12 -ში (გამოქვეყნებულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 12 -ის ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა აღირიცხოს გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, როგორიცაა იჯარა და ვალდებულებებიდან გამოსვლის ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, ერთეულები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. ადრე არსებობდა გარკვეული გაურკვევლობა იმის შესახებ, გამოიყენებოდა თუ არა გათავისუფლება

6. სიახლეებიბუღალტრულიაღრიცხვისსფეროში(გაგრძელება)

ისეთ გარიგებებზე, როგორიცაა იჯარა და ვალდებულებების გაუქმება - გარიგებები, რომლებისთვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ასევე ვალდებულება. ცვლილებები განმარტავს, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება და რომ ერთეულებს მოეთხოვებათ აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. შესწორებები მოითხოვს კომპანიებს აღიარონ გადავადებული გადასახადი იმ გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას იწვევს თანაბარი ოდენობით დასაბეგრებელ და გამოქვითულ დროებით განსხვავებებს. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ სხვაგვარად არ არის აღწერილი ზემოთ, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები სავარაუდოდ არ იმოქმედებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ მხარეები იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს შეუძლია აკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია განახორციელოს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. ყოველი შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან დავალიანების ნაშთები შემდეგია:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	უშუალო დამფუძნებელი ჯგუფი	საბოლოო აქციონერი	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერი	საერთო კონტროლქვეშ არსებული ორგანიზაციები	ძირითადი ხელმძღვანელი პერსონალი
2020 წლის 31 დეკემბერს					
სავაჭრო დებიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეებისგან	-	-	-	30,821	-
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული გრძელვადიანი სესხები	-	-	-	10,000	-
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული მოკლევადიანი სესხები	-	-	-	403,097	-

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები					
დაკავშირებულ მხარეებთან	-	980	1,000	-	13,872
მოკლევადიანი სესხები და კრედიტები	-	2,316,362	-	-	

2019 წლის 31 დეკემბერს

სავაჭრო დებიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეებისგან	-	-	-	2,025	-
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული გრძელვადიანი სესხები	-	-	-	10,000	-
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული მოკლევადიანი სესხები	-	-	-	262,527	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები დაკავშირებულ მხარეებთან	-	980	1,000	24,677	4,920
მოკლევადიანი სესხები და კრედიტები	-	672,336	-	-	-

ოპერაციები, შემოსავლების და ხარჯების პოზიციები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	უშუალო დამფუძნებელი ჯგუფი	საბოლოო აქციონერი	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერი	საერთო კონტროლქვეშ არსებული ორგანიზაციები	ძირითადი მმართველობის პერსონალი
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის					
შემოსავალი პროცენტების სახით	-	-		28,324	
პროცენტების ხარჯი	-	(92,323)	-	-	
საქონლის გაყიდვები	-	-	-	39,806	
საქონლის შესყიდვები	-	-	-	(476,732)	
ქირის ხარჯი	-	-			(52,500)
ანაზღაურება	-	-	(15,000)	-	(220,674)
სხვა არაოპერაციული ხარჯები	-	-	-	-	(2,941)
ზარალი უცხოური ვალუტის გაცვლიდან	-	(481,077)	-	(116,081)	(202)
სხვა	-	(950)	-	-	(2,977)
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის					
შემოსავალი პროცენტების სახით	-	-	-	22,991	
პროცენტების ხარჯი	-	(79,034)	-	-	-
ანაზღაურება	-	(22,264)	-	-	(144,654)
სხვა არაოპერაციული ხარჯი	-	(1,221)	-	-	1,729
ზარალი უცხოური ვალუტის გაცვლიდან	-	(123,387)	-	35,390	-
სხვა	-	-	-	-	59,312

მთავარი ხელმძღვანელი პერსონალის ანაზღაურება. მთავარ ხელმძღვანელ პერსონალში იგულისხმება მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი. მთავარი ხელმძღვანელობისთვის სრული განაკვეთით სამსახურისთვის გადახდილი ანაზღაურება დაფუძნებულია საბაზისო ხელფასზე, ბონუსსა და სხვა შეღავათებზე. სრული ანაზღაურება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შეადგენდა 220,674ლარს(2019:144,654 ლარი).

8 ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები

მოძრაობები ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის ("PP & E") და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებაში შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	მიწადა შენობები	ავტომობილები	მოწყობილობები და აპარატურა	საოფისედასხვა აღჭურვილობა	CIP*	სულ ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ არამატერიალური აქტივები	სულ ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები
ღირებულება	4,235,580	4,260,531	8,927,516	1,994,540	10,307,198	29,725,365	170,320	55,502	225,822	29,951,187
დაგროვილი ცვეთა / ამორტიზაცია	(646,841)	(1,247,073)	(3,974,372)	(988,211)	-	(6,856,497)	(105,157)	(2,854)	(108,011)	(6,964,508)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის	**3,588,739**	**3,013,458**	**4,953,144**	**1,006,329**	**10,307,198**	**22,868,868**	**65,165**	**52,648**	**117,811**	**22,986,680**
დამატებები	681,663	1,250,069	118,388	42,481	2,521,138	4,613,739	-	-	-	4,613,739
რეალიზაციები	(31,000)	(77,693)	(51,773)	-	-	(160,466)	-	-	-	(160,466)
გადარიცხვები	380,027	91,631	1,944,174	269,300	(2,687,867)	(2,735)	-	2,735	2,735	-
კაპიტალიზებული სესხის ანაბის ხარჯები	-	-	-	-	464,139	464,139	-	-	-	464,139
ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯი	(126,676)	(470,754)	(611,355)	(195,273)	-	(1,404,058)	(3,943)	(7,550)	(11,493)	(1,415,551)
რეალიზაციისას აღმოხვრილი ცვეთა	8,151	-	74,151	-	-	82,302	-	-	-	82,302
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**4,500,904**	**3,806,712**	**6,427,683**	**1,122,837**	**10,604,608**	**26,461,788**	**61,220**	**47,833**	**109,053**	**26,570,843**
ღირებულება	5,266,270	5,524,539	10,938,305	2,306,321	10,604,608	34,640,043	170,320	58,237	228,557	34,868,600
დაგროვილი ცვეთა / ამორტიზაცია	(765,366)	(1,717,827)	(4,511,576)	(1,183,484)	-	(8,178,253)	(109,100)	(10,404)	(119,504)	(8,297,757)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**4,500,904**	**3,806,712**	**6,426,729**	**1,122,837**	**10,604,608**	**26,461,790**	**61,220**	**47,833**	**109,053**	**26,570,843**
დამატებები	201,421	824,039	38,099	102,915	1,633,951	2,800,425	-	-	-	2,800,425
რეალიზაციები	(380,572)	(538,640)	(173,547)	(10,045)	(142,474)	(1,245,278)	-	-	-	(1,245,278)
გადარიცხვები	467,573	18,281	9,733,295	29,215	(10,248,364)	-	-	-	-	-
ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯი	(133,844)	(456,274)	(1,318,220)	(234,368)	-	(2,142,706)	(4,230)	(7,853)	(12,083)	(2,154,789)
რეალიზაციისას აღმოხვრილი ცვეთა	23,097	206,888	90,679	5,955	-	326,619	-	-	-	326,619
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**4,678,579**	**3,861,006**	**14,797,035**	**1,016,509**	**1,847,721**	**26,200,850**	**56,990**	**39,980**	**96,970**	**26,297,820**
ღირებულება	5,554,690	5,828,219	20,536,152	2,428,406	1,847,721	36,195,190	170,320	58,237	228,557	36,423,747
დაგროვილი ცვეთა / ამორტიზაცია	(876,113)	(1,967,213)	(5,739,117)	(1,411,897)	-	(9,994,340)	(113,330)	(18,257)	(131,587)	(10,125,927)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31	**4,678,579**	**3,861,006**	**14,797,035**	**1,016,509**	**1,847,721**	**26,200,850**	**56,990**	**39,980**	**96,970**	**26,297,820**

(*) CIP - მშენებარე ობიექტები.

8 ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის რეალიზაციით გამოწვეული ზრალი 269 ათასი ლარის ოდენობით (2019 წლის ზარალი: 147) შევიდა სხვა ოპერაციულ ხარჯებში. დატვირთული აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 25-ში.

9 საინვესტიციო ქონება

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	2020	2019
	838,838	
საბალანსო ღირებულება 1 იანვრისთვის		-
დამატებები	-	847,923
ცვეთა	(14,012)	(9,085)
განკარგვა	(824,826)	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით		838,838

კომპანიამ გაყიდა 2019 წლის განმავლობაში შეძენილი საინვესტიციო ქონება, რომელიც მოიცავს მიწას და შენობებს. საინვესტიციო ქონების სამომავლო გამოყენება არ განისაზღვრა 2019 წელს, შესაბამისად, ისინი ჩაითვალა კაპიტალის გადიდებაში. საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება 285 ათასი ლარი იყო.

10 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	**31 დეკემბერი, 2020**	**31 დეკემბერი, 2019**
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	12,034,095	16,773,620
გაუფასურებით გამოწვეული ზარალისგან თავისუფალი რეზერვი	(2,764,148)	(2,611,078)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, ნეტო	**9,269,947**	**14,162,542**
წინასწარი გადახდები	2,104,971	5,271,039
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	11,374,918	**19,433,581**

კომპანია იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შესაფასებლად, რომელიც იყენებს სასარგებლო მომსახურების ვადის დროს მოსალოდნელი დანაკარგების რეზერვს ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შესაფასებლად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები შეფასდა ინდივიდუალურ საფუძველზე.

ანალიზი ვაჭრობისა და სხვა დებიტორული დავალიანებების საკრედიტო ხარისხის მიხედვით შემდეგნაირია:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები		
- მიმდინარე	1,366,439	2,642,047
- 60 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	1,532,185	1,228,022
- 60-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებით	2,165,865	2,244,714
- 120-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებით	2,061,073	4,981,117
- 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	4,908,533	5,677,720
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (მთლიანი საბალანსო ღირებულება)	**12,034,095**	**16,773,620**
საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(2,764,148)	(2,611,078)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით (საბალანსო ღირებულება)	**9,269,947**	**14,162,542**

10 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები(გაგრძელება)

მოძრაობები სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში შემდეგნაირად გამოიყურება:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	2020	2019
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრისთვის , 2019	**2,611,078**	**2,326,897**
გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში	**153,070**	125,144
ჩამოწერები	-	-
სხვა მოძრაობები	-	159,037
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრისთვის , 2020	**2,764,148**	**2,611,078**

მოძრაობა წინასწარ გადახდებში შემდეგნაირია:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	მთლიანი საბალანსო ღირებულება
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის	**3,712,924**
დამატებები	29,060,693
წინასწარი გადახდების გაუფასურება	(98,001)
დაკავშირებული ტვირთის ან მომსახურების მიღებაზე ჩამოწერილი წინასწარი გადახდები	(24,623,763)
სასესხო შეტყობინებებით დაბრუნებული წინასწარი გადახდები	(2,569,904)
სხვა მოძრაობები	(210,910)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**5,271,039**
დამატებები	19,308,628
აღდგენა ჩამოწერილი წინასწარი გადახდების	7,923
დაკავშირებული ტვირთის ან მომსახურების მიღებაზე ჩამოწერილი წინასწარი გადახდები	(18,641,124)
სასესხო შეტყობინებებით დაბრუნებული წინასწარი გადახდები	(3,835,159)
სხვა მოძრაობები	(6,336)

საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**2,104,971**

11 გაცემული სესხები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	**31 დეკემბერი 2020**	**31 დეკემბერი 2019**
კორპორატიული სესხები	2,995,945	2,954,445
სესხები ფიზიკური პირებისთვის	90,461	61,389
მინუს: სესხის გაუფასურების რეზერვი	(2,596,541)	(2,667,895)
სესხების საბალანსო თანხა ამორტიზებული ღირებულებით	**489,865**	**347,939**

მოძრაობები სესხის გაუფასურების რეზერვში შემდეგნაირად გამოიყურება:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	**2020**	**2019**
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრისთვის	2,667,895	2,395,681
აღდგენა/გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში	(71,354)	272,214
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრისთვის	**2,596,541**	**2,667,895**

შემდეგი ცხრილი მოიცავს ანალიზს საკრედიტო რისკის გავლენის შესახებ იმ სესხებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით და რომელთათვისაც აღიარებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ქვემოთ მოყვანილი სესხების საბალანსო ღირებულება ასახავს ჯგუფის მაქსიმალურ დაქვემდებარებულობას საკრედიტო რისკებზე, აღნიშნულ სესხებთან მიმართებაში. ამორტიზაციის ღირებულებით ბალანსზე აყვანილი სესხების საკრედიტო ხარისხი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	**31დეკემბერი,2020**
გაცემული სესხები	
- მიმდინარე	454,035
- 60-დან 120 დღემდე ვადაგადაცილება	-
- 120-დან 360 დღემდე ვადაგადაცილება	-
- 360 დღეზე მეტით ვადაგადაცილება	(2,632,541)
სულ გაცემული სესხები (მთლიანი საბალანსო ოდენობა)	**3,086,406**
საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(2,596,541)
სულ გაცემული სესხები (საბალანსო ოდენობა)	**489,865**

ამორტიზაციის ღირებულებით ბალანსზე აყვანილი სესხების საკრედიტო ხარისხი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	**31 დეკემბერი 2019**
გაცემული სესხები	
- მიმდინარე	350,262
- 60-დან 120 დღემდე ვადაგადაცილება	-
- 120-დან 360 დღემდე ვადაგადაცილება	-

- 360 დღეზე მეტით ვადაგადაცილება	2,665,572
სულ გაცემული სესხები (მთლიანი საბალასო ოდენობა)	**3,015,834**
საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(2,667,895)
სულ გაცემული სესხები (საბალანსო ოდენობა)	**347,939**

12 მატერიალურ–საწარმოო მარაგები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მზა პროდუქცია	10,305,146	15,575,171
ნედლეული და სახარჯი მასალა	13,729,608	12,421,851
სათადარიგო ნაწილები და სხვა მატერიალურ-საწარმოო მარაგები	1,580,252	4,405,732
ტრანზიტული საქონელი	47,366	766,429
სულ მატერიალურ-საწარმოო მარაგები	**25,662,372**	**33,169,183**

13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სალაროს ნაღდი ფული	68,957	33,080
საბანკო ანგარიშების სალდო, რომლის გადახდა მოთხოვნისთანავე ხდება	4,832,431	287,808
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**4,901,388**	**320,888**

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ბალანსების საკრედიტო ხარისხი შეიძლება შეჯამდეს ფიტჩის რეიტინგით შემდეგნაირად:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
არც ვადაგასული არც გაუფასურებული		
- BB+ შეფასებული	-	-
- BB- შეფასებული	4,832,431	286,404
- შეუფასებელი	-	1,404
სულ საბანკო ანგარიშების სალდო, რომლის გადახდა მოთხოვნისთანავე ხდება	**4,832,431**	**287,808**

14 საწესდებო კაპიტალი

2008 წლის 2 მაისით დათარიღებული კომპანიის წესდების თანახმად, საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული იყო 200 ლარით.

მშობელ კომპანიასა და ბატონ კოსტა ჯიჩას („ინვესტორი“) 2019 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მშობელმა კომპანიამ ინვესტორს მიჰყიდა საკუთარი წილის 5%. 2019 წლის 27 ნოემბერს ინვესტორმა კომპანიაში განახორციელა 11,587,680 (3,900,000 აშშ დოლარი) ლარის ოდენობის ინვესტიცია. აქციონერთა გადაწყვეტილებით, ინვესტივია ჩაითვალა კომპანიის სააქციონერო კაპიტალის ზრდად. მშობელ კომპანიასა და ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ამ

უკანასკნელს უზრუნველყოფს გაყიდვის ოფციით, რათა მოითხოვოს აქციების დაბრუნება მშობელი კომპანიისგან და მოითხოვოს ამ ინვესტიციების დაბრუნება აქციათა გადაცემიდან 2 წლის შემდეგ. ინვესტორის მიერ ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში, კომპანიის აქციონერებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება კომპანიის კაპიტალის შემცირების შესახებ.

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ შეამცირა თავისი საწესდებო კაპიტალი 180 ათასი აშშ დოლარით (575 ათასი ლარით). შემცირებული კაპიტალი დაუბრუნდა ბატონ ჰორსტ კოსტა ჯიჩას. კომპანიის აქციებზე გავლენას არ ახდენს კაპიტალის ცვლილებები. საწესდებო კაპიტალის შემდგომი ცვლილებებისთვის იხილეთ შენიშვნა 30.

2020 წლის განმავლობაში კომპანიას არ დაუდეკლარირებია ან სრულად არ დაუფარავს დივიდენდები (2019 წ: 23,348 ლარი)

15 სესხები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ვადიანი სესხები	17,527,370	21,176,697
სულ სესხები	**17,527,370**	**21,176,697**

აშშ დოლარში დომინირებული ჯგუფიდ სესხები ლარში შეადგენს 17,527,370 (2019: GEL 13,952,198) ლარს, ევროში დომინირებული სესხები - 0 ლარს (2019: 7,224,499).

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას და არ მოუწერია ხელი ჰეჯირების შესახებ ხელშეკრულებისთვის უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ვალდებულებების ან საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკების შესახებ. სესხების საბალანსო თანხები და სამართლიანი ღირებულებები შემდეგია:

თანხები მოცემულია ქართულ	საბალანსოთანხები	სამართლიანიღირებულებები

ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ვადიანი სესხები	17,527,370	21,176,697	17,527,370	21,176,697
სულ სესხები	**17,527,370**	**21,176,697**	**17,527,370**	**21,176,697**

ბალანსი შედგება შემდეგი სესხებისგან:

2,200,000 აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი სს „საქართველოს ბანკიდან“ გაცემული 2020 წლის 23 დეკემბერს, წლიური პროცენტით 6M LIBOR + 7.2% (მაგრამ არანაკლებ 7%-ისა) და დაფარვის თარიღით 2021 წლის 23 დეკემბერი.

4,500,000 აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი სს „საქართველოს ბანკიდან“ გაცემული 2020 წლის 25 აგვისტოს, წლიური პროცენტით 6M LIBOR +7.2% (მაგრამ არანაკლებ 7.5%) და დაფარვის თარიღით 2021 წლის 25 მაისი, რომელიც სრულად დაფარულია დაფარვის ვადაში.

2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ბანკის მიერ გახსნილი საკრედიტო ხაზი 2,500,000 აშშ დოლარის ოდენობით, წლიური პროცენტით 6M LIBOR + 5.5% (მაგრამ არაუმცირეს 7.5%-სა) და დაფარვის თარიღით 2022 წლის 31 დეკემბერი.

სამივე სესხი სს საქართველოს ბანკში აღებულია ძველი სესხების რეფინანსირებითვის, რომლებიც განკუთვნილი იყო სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად. სესხის აღების მიზნით უძრავი ქონება იპოთეკით იქნა დატვირთული სს „საქართველოს ბანკიდან“ (შენიშვნა 25).

შმაგი ქემერტელიძისგან (საბოლოო აქციონერი) 300,000 აშშ დოლარის სესხი იქნა აღებული 2020 წლის 25 აგვისტოს 10% პროცენტით და 2021 წლის 25 თებერვალს ვადით. შმაგი ქემერტელიძისგან 112,000 აშშ დოლარის სესხი იქნა აღებული 2020 წლის 31 აგვისტოს, 7% პროცენტით და 31 აგვისტოს ვადით. 2021. ორივე სესხი გაგრძელდა 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

შმაგი ქემერტელიძისგან 120,000 აშშ დოლარის სესხი იქნა მიღებული 2020 წლის 28 მაისს, 7% პროცენტით და 2022 წლის 12 თებერვალს.

2018 წლის 21 აგვისტოს კომპანიამ აიღო სესხი უშუალო აქციონერისგან 350 000 აშშ დოლარის ოდენობით, და სახელშეკრულებო საპროცენტო წლიური 10%-ანი განაკვეთით, რომლის დაფარვის თარიღი იყო 2019 წლის 12 თებერვალი. 2019 წლის 21 მარტს სესხის დაფარვის ვადა გაგრძლედა 2020 წლის 21მარტამდე.

ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შედარება.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილში მოცემულია ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების ანალიზი და და ფინანსურ საქმიანობიდან გამომდინარე ჯგუფის ვალდებულებებში მოძრაობები ყოველი წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების პოზიციები შეტანილია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფინანსირების რანგში:

		ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები
		სესხები
თანხებიმოცემულიაქართულლარში	*31 დეკემბერი, 2020*	*31 დეკემბერი, 2019*
ფინანსურსაქმიანობასთანდაკავშირებულივალდებულებები 2019წლის1იანვრისთვის	**21,176,697**	**8,927,715**
ფულადი ნაკადები		
დამატებები წლის განმავლობაში	43,241,645	72,552,978
ძირითადი თანხის გადახდები	(50,816,803)	(61,922,804)
პროცენტების გადახდები	(1,314,846)	(1,556,630)

უნაღდო ცვლილებები		
პროცენტის დარიცხვა	1,450,445	1,635,692
სავალუტო კორექტირება	3,790,236	1,393,913
სხვა	-	145,833
ფინანსურსაქმიანობასთანდაკავშირებული ვალდებულებები2020 წლის31დეკემბრისთვის	**17,527,370**	**21,167,697**

16 სხვა ფინანსური ვალდებულებები

2017 წლის 5 ოქტომბერს კომპანიამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას დამკვეთთან ფეროსილიკომანგანუმის გაყიდვის შესახებ. ბალანსმა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 1,697,764 ლარი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შესაბამისად დამკვეთისგან მიღებულ ავანსს. კლიენტმა წამოიწყო საარბიტრაჟო წარმოება და სარჩელი შეიტანა 2018 წლის 8 დეკემბერს, რომელშიც მოითხოვა თანხის სრულად დაბრუნება და სხვა თანხების ანაზღაურება. კომპანიამ აღიარა 883,437 ლარის რეზერვი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის ამ სხვა ხარჯებთან დაკავშირებით.
2018 წლის 8 დეკემბერს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე საარბიტრაჟო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება 2020 წლის 20 იანვარს მიიღო. შედეგად, კომპანიამ წააგო სარჩელი და დაეკისრა სადავო თანხის და დაკისრებული ხარჯების სრულად გადახდა.

17 სავაჭრო და სხვა დავალიანებები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	**31დეკემბერი2020**	**31 დეკემბერი 2019**
სავაჭროდავალიანებები	8,313,700	12,108,248

სულ ფინანსური დავალიანებები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებისფარგლებში	**8,313,700**	**12,108,248**
სახელშეკრულებო ვალდებულებები	8,359,454	5,428,945
თანამშრომელთა შეღავათების დარიცხული ხარჯები	432,999	396,964
სულსავაჭროდასხვადავალიანებები	**17,106,153**	**17,934,157**

ავანსები ჩვეულებრივ მიიღება ფეროშენადნობების გაყიდვის შემდეგ რამდენიმე კლიენტისგან, რომლებიც ახორციელებენ რეგულარულ გადახდებს ავანსების მეშვეობით.

18 შემოსავალი

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის დაშლა:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	2020	2019
მზა პროდუქცია	58,096,916	49,754,460
სხვა მატერიალურ-საწარმოო მარაგები	2,546,489	1,661,993
ნედლეული	544,312	7,734,859
გაწეული მომსახურებები	169,968	85,174
სულ შემოსავალი	**61,357,685**	**59,236,486**

ჯგუფი შემოსავალს იღებს საქონლის და მომსახურებების გადაცემის შემდეგ დროის კონკრეტულ მომენტში.

შემოსავლების გეოგრაფიული განაწილება შემდეგია:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	2020	2018
ევროკავშირი	33,505,276	1,158,410
დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა	16,819,463	17,416,766
საქართველო	6,331,000	17,765,362
აზია	4,701,946	22,895,948
სულ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი	**61,357,685**	**59,236,486**

19 გაყიდვების ღირებულება

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	2020	2019
გამოყენებული ნედლეული და სახარჯი მასალა	19,811,139	30,948,637
ენერგიისა და კომუნალური მომსახურების ხარჯები	18,424,233	16,423,465
თანამშრომელთა ხელფასებისა და დანამატების ხარჯები	3,781,298	3,169,106
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	1,274,014	642,627
სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები	356,565	162,511
შეძენილი მზა პროდუქცია გადაყიდვისთვის	-	3,145,093
ტრანსპორტირების ხარჯები	-	912,553
ცვლილებები მზა პროდუქციის მატერიალურ-საწარმოო მარაგებში	9,962,596	(9,595,414)
სულ გაყიდვების ღირებულება	**53,609,845**	**45,808,578**

20 სხვა საოპერაციოშემოსავალი

2020 წელს კომპანიამ გაყიდა თავისი საინვესტიციო ქონება (მიწა და შენობები) 285 ათასი ლარის მოგებით.

2019 წელს კომპანიის ერთ -ერთმა მომხმარებელმა დაარღვია 2019 წლის 20 ივნისის კონტრაქტის პირობები მზა საქონლის ნაწილის ყიდვაზე უარის თქმის გამო. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას უნდა გაეყიდა მომხმარებელზე მზა საქონელი ჯამში 6,360,000 აშშ დოლარის ოდენობით, თუმცა მისი მხოლოდ ნაწილი გაიყიდა. მომხმარებლის მიერ გადახდილი ჯარიმა აღიარებულია სხვა საოპერაციო შემოსავლებში 500,000 აშშ დოლარის ოდენობით (1,466,800 ლარი).

21 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	2020	2019
თანამშრომელთა ხელფასები და დანამატები	2,371,105	1,983,601
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	478,038	139,108
გადასახადები გარდა საშემოსავლოსი	306,806	445,666
პროფესიული მომსახურებები	293,870	713,929
საწვავის ხარჯები	249,279	381,912
სადაზღვევო ხარჯები	241,846	184,040
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	232,020	191,642
მივლინების ხარჯები	113,253	405,277
ოპერაციული იჯარის ხარჯები	71,787	100,392
საბანკო მომსახურების ხარჯები	44,488	163,317
საკომუნიკაციო ხარჯები	37,061	47,550
კომუნალური მომსახურების ხარჯები	21,871	131,245
წარმომადგენლობითი ხარჯები	18,187	103,909
საქველმოქმედო ხარჯები	17,212	21,057
ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებული (მოგება)/ზარალი	-	(40,360)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	189,601	155,144
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**4,686,426**	**5,127,429**

(*)პროფესიული მომსახურების გასამრჯელო მოიცავს 175,636 ლარს (2019: 196,763ლარი) - გასამრჯელო გადახდილ იქნა აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებებისთვის, რომლებიც გასწია აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ, როგორც ამას განსაზღვრავს საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ.

22 დისტრიბუციის ხარჯები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	2020	2019
საწვავის ხარჯები	1,105,224	1,253,955
თანამშრომელთა ხელფასები და დანამატები	904,730	839,296
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	882,722	795,355
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	473,243	70,312
დისტრიბუციის ხარჯები	469,900	389,163
ცვეთის ხარჯები	373,058	385,551
სულ დისტრიბუციის ხარჯები	**4,208,877**	**3,733,632**

23 სხვა საოპერაციო ხარჯები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	2020	2019
საჩუქრები და ქველმოქმედება	307,178	373,503
სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების ზარალის რეზერვი	153,070	125,144
ზარალი PP&E– ს ჩამოწერისას	15,075	147
საინვესტიციო ქონების ცვეთა	14,012	9,085
გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის რეზერვი / (აღდგენა)	(71,354)	272,214
წინასწარ გადახდის ჩამოწერა/აღდგენა	(7,923)	98,001
სხვა	595,823	252,433

სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**1,005,881**	**1,130,527**

24 ფინანსური ხარჯები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	**2020**	**2019**
საპროცენტო ხარჯი	1,450,565	1,498,881
ზარალი უცხოური ვალუტის გაცვლიდან, წმინდა	2,296,788	1,210,489
სულ ფინანსური ხარჯები	**3,747,353**	**2,709,370**

25 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც არცთუ იშვიათად გაუგებარია, წინააღმდეგობრივია და განსხვავებული საგადასახადო ორგანოების მიერ განსხვავებულად განიმარტება. გადასახადები ექვემდებარება განხილვას და გამოძიებას რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება გადამხდელს დააკისრონ მძიმე საურავები, ჯარიმები და საპროცენტო განაკვეთები.

საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესმოწმებისთვის შემდგომი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ ვითარებაში აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს კიდეც. ამგვარმა გარემოებებმა შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ სათანადოდ წარადგინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და აღნიშნულმა შესაძლოა მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს თუ ოფიციალური ორგანო წარმატებით დაიცავს საკუთარ თვალსაზრისს.

დაპირებული და შეზღუდული აქტივები. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიწის ნაკვეთები 101,447 ლარის ღირებულებით (2019 წლის 31 დეკემბერი: 101,447 ლარი) იპოთეკით არის დატვირთული „საქართველოს ბანკიდან“ აღებული სესხების უზრუნველსაყოფად (შენიშვნა5).

26 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის ფარგლებში რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და სამართლებრივი რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა ფასის რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ლიმიტების დადგენა, რაც განაპირობებს რისკების ზემოქმედების აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მოთავსებას. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებას, რათა მოხდეს ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

საკრედიტორისკო. ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც იმის საფრთხეს წარმოადგენს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე, ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე, გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის.

საკრედიტო რისკის წარმოშობა გამომდინარეობს ჯგუფის მიერ საქონლის საკრედიტო პირობებით გაყიდვიდან და სახელშეკრულებო მხარეებთან განხორციელებული სხვა გარიგებებიდან, რომლებსაც მივყავართ ფინანსური აქტივების წარმოშობამდე. საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა ჯგუფზე აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში, რომელიც შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უდიდესს რისკს კომპანიის საქმიანობაში; შესაბამისად, ხელმძღვანელობა ფრთხილად მართავს საკრედიტო რისკის გავლენას კომპანიაზე.

შეზღუდვები. კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურირებას, კონტრაგენტებთან ან კონტრაგენტების ჯგუფებთან დაკავშირებით დაშვებული რისკის თანხის ლიმიტების დადგენით. საკრედიტო რისკის დონის ლიმიტი რეგულარულად მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ. ამგვარი რისკები კონტროლდება ავტომატურად განახლებად ბაზაზე და ექვემდებარება წლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

საკრედიტო ლიმიტის ანალიზი კეთდება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ. საკრედიტო რისკის გავლენის კონტროლის მიზნით მზადდება რეგულარული ანგარიშები სტრუქტურულ ანალიზზე დაყრდნობით, რომლებიც ორიენტირებულია მომხმარებლის ბიზნესზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე. ინფორმაცია ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედების შესახებ, გაუარესებული კრედიტუნარიანობის მქონე მომხმარებლებთან, მიეწოდება კომპანიის ხელმძღვანელობას და განიხილება ამ უკანასკნელის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაგენტების საქმიანობის შედეგებს და თვალყურს ადევნებს ვადაგასულ ბალანსებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს სამომავლო ფულადი დეფიციტების მიმდინარე ღირებულების სავარაუდოდ შეწონილ შეფასებას (იგივეა, რაც საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი მაჩვენებელი, დეფოლტის შესაბამისი რისკებით, რომლებიც წარმოქმნება დროის მოცემულ პერიოდში და გამოიყენება როგორც წონები). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ეფუძნება ჯგუფის მიერ გამოყენებულ სამ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობას (“PD”), დეფოლტს ზარალის გათვალისწინებით (“LGD”) და ფასდაკლების განაკვეთს.

PD წარმოადგენს დეფოლტის დადგომის ალბათობის შეფასებას დროის განსაზღვრულ პერიოდში. LGD არის დეფოლტისას წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის განსხვავებას, რომლების მიღებასაც მესხებელი ელის, მათ შორის ნებისმიერი უზრუნველყოფიდან. მოსალოდნელი დანაკარგები დისკონტირდება წარმოდგენილ ღირებულებამდე, საანგარიშო პერიოდის ბოლომდე. ფასდაკლების განაკვეთი წარმოადგენს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს (“EIR”) ფინანსური ინსტრუმენტისთვის ან მისი მიახლოებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოდელირდება ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა ტოლია ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილი ვადისა დავალიანებების ინსტრუმენტების დაფარვამდე, რომლებიც კორექტირებულია მოსალოდნელი წინასწარი გადახდებისთვის, ამგვარის არსებობის შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სასარგებლო მომსახურების ვადის მოდელირებას, ანუ ზარალის, რომელიც წარმოიქმნება დეფოლტის ყველა შესაძლო მოვლენის შედეგად, ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ინსტრუმენტზე დეფოლტის მოვლენისას და რომელსაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საანგარიშო პერიოდის შემდეგი 12 თვის განმავლობაში ან ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილი ვადის განმავლობაში, თუ ის 1 წელზე ნაკლებია.
მოცემული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებები წარმოადგენს შეფასებებს დროის კონკრეტულ მომენტში და არა შეფასებებს ციკლური პერიოდის განმავლობაში, რომლებიც, როგორც წესი, გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის. შეფასებები ითვალისწინებს საპროგნოზო ინფორმაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების სავარაუდოდ შეწონილ შემოუშავებას, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე.
PD-ს შეფასების მიზნით, კომპანია განსაზღვრავს დეფოლტს, როგორც სიტუაციას, როდესაც გავლენა შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმთაგან ერთ-ერთს ან რამდენიმეს:

- მსესხებელმა 365 დღეზე მეტი დროით დააგვიანა სახელშეკრულებო გადახდები;

- მსესხებელი პასუხობს ქვემოთ მოცემულ გადახდისუუნარობის კრიტერიუმებს;
- მსესხებელი გარდაიცვალა;
- მსესხებელი გადახდისუუნაროა;
- მსესხებელი არღვევს ფინანსურ შეთახმებას(შეთანხმებებს);
- ჩნდება ვარაუდი, რომ მსესხებელი გაკოტრდება;და

ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, ჯგუფმა სრულიად შეუსაბამა დეფოლტის განსაზღვრება კრედიტგაუფასურებული აქტივების განსაზღვრებას. ზემოთ მოყვანილი დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება ჯგუფის ფინანსური აქტივების ყველა ტიპისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის ჯგუფი მიმართავს ინდივიდუალური შეფასების მიდგომას. ჯგუფი შეფასებას ახორციელებს ინდივიდუალურ საფუძველზე ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე, სხვადასხვა შესაძლო შედეგებისთვის, საკრედიტო ზარალის შეფასებების შეწონვით, ყოველი შედეგის დადგომის ვარაუდით. ჯგუფი განსაზღვრავს მინიმუმ ორ შესაძლო შედეგს ყოველი შეფასებული სესხისთვის, რომელთაგან ერთი იწვევს საკრედიტო ზარალს მაშინაც კი, როდესაც ამგვარი სცენარის განვითარების ალბათობა ძალიან დაბალია. ინდივიდუალური შეფასება უპირველეს ყოვლისა ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის საექსპერტო გადაწყვეტილებას. საექსპერტო გადაწყვეტილება რეგულარულად მოწმდება, რათა შემცირდეს განსხვავება გამოთვლებსა და რეალურ ზარალს შორის.

საკრედიტო რისკის პარამეტრების გამოთვლის ძირითადი პრინციპები. სასარგებლო მომსახურების ვადის PD-ები წარმოადგენს დეფოლტის წარმოქმნის გამოთვლილ ალბათობას ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილი ვადის განმავლობაში და შეადგენს 12-თვიანი PD-ების ჯამს ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. PD-ს გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს დეფოლტის ისტორიულ მონაცემებს.

LGD ასახავს ჯგუფისთვის ზარალის მოსალოდნელ ხარისხს დეფოლტის შემთხვევაში. LGD დამოკიდებულია კონტრაგენტის ტიპზე, პრეტენზიის ტიპზე და პრიორიტეტულობაზე, აგრეთვე უზრუნველყოფის და სხვა საკრედიტო მხარდაჭერის ხელმისაწვდომობაზე. 12-თვიანი სასარგებლო მომსახურების ვადის LGD-ები განისაზღვრება იმ ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც გავლენას ახდენს მოსალოდნელ აღდგენებზე დეფოლტის მოვლენის შემდეგ. LGD-ს შეფასებისადმი მიდგომა შესაძლებელია დაიყოს სამ შესაძლო მიდგომად:

- LGD-ს შეფასება უზრუნველყოფის სპეციფიურ მახასიათებლებზე დაყრდნობით;
- ინდივიდუალურად განსაზღვრული LGD სხვადასხვა ფაქტორებზე და სცენარებზე დაყრდნობით.

კომპანია LGD-ს ითვლის ისეთი უზრუნველყოფის სპეციფიურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, როგორიცაა პროგნოზირებადი უზრუნველყოფის ღირებულება, ისტორიული ფასდაკლებები გაყიდვებზე და სხვა ფაქტორები უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებთან მიმართებით, ფულადი სახსრები და ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები. LGD გამოითვლება კოლექტიურ საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ბოლო ხელმისაწვდომი აღდგენის სტატისტიკას კორპორატიული სესხის პორტფელის ნაშთისთვის და უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი საცალო პროდუქტებისთვის.

ECL მოდელებში ჩართული საპროგნოზო ინფორმაცია. ECL-ების შეფასება მოიცავს მხარდაჭერილ საპროგნოზო ინფორმაციას. კომპანიამ განსაზღვრა ზოგიერთი ძირითადი ეკონომიკური ცვლადი, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო რისკისა და ECL- ების განვითარებებთან. ეკონომიკური ცვლადების პროგნოზებს („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) წლიურად წარადგენს ჯგუფის ხელმძღვანელობა და უზრუნველყოფს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მოსალოდნელი მაკროეკონომიკური განვითარების საუკეთესო შეფასებას. ხუთი წლის შემდეგ გამოყენებული იქნება საშუალო რევერსიის მიდგომა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური ცვლადები დახასიათდებიან გრძელვადიანი საშუალო განაკვეთისკენ (მაგალითად უმუშევრობა) ან გრძელვადიანი საშუალო ზრდის განაკვეთისკენ (მაგალითად მშპ) დაბრუნების მიდრეკილებით. შესაბამისი ეკონომიკური ცვლადების გავლენა PD-სა და LGD-ზე განისაზღვრა სტატისტიკური რეგრესიული ანალიზის მეშვეობით რათა განსაზღვრულიყო გავლენა, რომელსაც აღნიშნული ცვლადების ცვლილებები ისტორიულად ახდენდა დეფოლტის განაკვეთებზე და LGD-ს და EAD-ს კომპონენტებზე.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. ჯგუფის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე აქტივების კლასის მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო თანხებში ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	**31 დეკემბერი 2020**	**31 დეკემბერი 2019**
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები		
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	12,034,095	16,773,620
გაცემული სესხები		
- გაცემული სესხები	489,865	3,015,834
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		
- მოთხოვნის შემთხვევაში გადასახდელი საბანკო ნაშთები	4,832,431	287,808
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე	**17,356,391**	**20,077,262**

27 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის ხელმძღვანელობა ახორციელებს გადავადებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ანალიზს და ამოწმებს გადავადებულ ნაშთებს. შესაბამისად, ხელმძღვანელობა მიიჩნევს წარადგინოს გადავადების და სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ, როგორც ეს მოცემულია შენიშვნა 10- 11-ში.

საბაზრო რისკი. ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) საპროცენტო აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) აქციებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ბაზარზე საერთო და სპეციფიური მოძრაობების გავლენას. ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს იმ რისკის ღირებულების შესახებ, რომელიც შეიძლება დაშვებული იქნეს და რომლის მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება. თუმცა ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალის წარმოშობას სხვა მიზეზით, ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა, რომელიც მოყვანილია ქვემოთ, ეფუძნება ერთი ფაქტორის ცვლილებას სხვა ფაქტორების მუდმივობის პირობებში. პრაქტიკაში ეს ნაკლებად შესაძლებელია და ცვლილებები ზოგიერთ ფაქტორებში შესაძლებელია დაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს ჯგუფის დაქვემდებარებას უცხოური ვალუტის კურსის რისკზე საანგარიშო

პერიოდის დასასრულისთვის:

	2020წლის31დეკემბრისთვის			2019წლის31დეკემბრისთვის		
თანხები მოცემულია ქართულ ლარში	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	3,664,369	6,031,116	(2,366,747)	5,240,730	5,867,293	(626,563)
ა.შ.შ. დოლარი	10,776,341	19,678,980	(8,902,639)	9,095,587	22,660,470	(13,564,883)
ევრო	220,490	252,230	(31,740)	495,051	7,338,384	(6,843,333)
ჯამი	**16,661,200**	**25,962,326**	**(11,301,126)**	**14,831,368**	**35,866,147**	**(21,034,779)**

ზემოთ მოყვანილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევა, რომ ინვესტიციები კაპიტალში და არაფულადი აქტივები არ იწვევს რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს მოგების, ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებული სავალუტო კურსის გონივრულ შესაძლო ცვლილებების მიმართ, რომელიც ეხება ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას, ამასთან, ყველა სხვა ცვლადი ინარჩუნებს მუდმივობას:

	2020წლის31დეკემბრისთვის		2019წლის31დეკემბრისთვის	
თანხები მოცემულია ქართულ ლარში	გავლენა მოგებასაან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებასაან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე

აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(890,264)	(890,264)	(1,356,488)	(1,356,488)
აშშ დოლარის კურსის ვარდნა 10%-ით	890,264	890,264	1,356,488	1,356,488
ევროს გამყარება 10%-ით	(3,174)	(3,174)	(684,333)	(684,333)
ევროს კურსის ვარდნა 10%-ით	3,174	3,174	684,333	684,333

რისკი გათვლილია მხოლოდ ჯგუფის ფუქციონალური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაშთებისთვის

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის არსებული დონეების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების ნაკადებზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს ჯგუფის დაქვემდებარებას საპროცენტო განაკვეთის რისკზე. ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები საბალანსო ღირებულებით, რომლებიც კატეგორიზირებულია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ადრეული გადათვლის ან ვალდებულების შესრულების ვადების მიხედვით, რომელიც უფრო ადრე დადგება.

26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	**მოთხოვნა და 3 თვეზე ნაკლები**	**3-დან 6 თვემდე**	**6-დან 12 თვემდე**	**1 წელზე მეტი**	**უპროცენტო**	**სულ**
31 დეკემბერი 2020						
სულ ფინანსური აქტივები	4,954,897	-	-	(2,000,921)	10,377,375	12,541,911
სულ ფინანსური ვალდებულებები	(5,946,212)	(6,058,738)	(2,247,221)	(3,396,455)	(8,313,700)	(25,962,326)
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის დეფიციტი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**991,315**	**(6,058,738)**	**(2,247,221)**	**(3,029,056)**	**1,025,204**	**(11,301,126)**
31 დეკემბერი 2019						
სულ ფინანსური აქტივები	374,793	-	-	260,953	14,195,622	14,831,368
სულ ფინანსური ვალდებულებები	(4,085,601)	(5,241,319)	(3,171,915)	(5,233,553)	(12,133,758)	(35,866,146)
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის დეფიციტი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**(3,710,808)**	**(5,241,319)**	**(9,171,915)**	**(4,972,600)**	**2,061,864**	**(21,034,778)**

ჯგუფს არ აქვს საპროცენტო განაკვეთების რისკების მართვისთვის საჭირო ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები, რადგან ხელმძღვანელობა ამ რისკს კომპანიის საქმიანობისთვის უმნიშვნელოდ მიიჩნევს.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელსაც საწარმო შეიძლება დაექვემდებაროს ფინანსურ ვალდებულებების შესრულებისას. ჯგუფი ექვემდებარება ყოველდღიურ მოთხოვნებს მის ხელთ არსებული ფულადი რესურსებთან მიმართებით. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აკონტროლებს მომავალ პროგნოზებს ჯგუფის ფულადი ნაკადების შესახებ.

ჯგუფი ცდილობს, შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად სესხებისგან შედგება. ჯგუფი ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელებში, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნებზე. ჯგუფის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან (შენიშვნა 13). ხელმძღვანელობის შეფასებით, ფულადი სახსრების ლიკვიდურობის პორტფელის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს ნაღდი ფულით დღის განმავლობაში, რათა გათვალისწინებულ იქნას ლიკვიდურობის ნებისმიერი გაუთვალისწინებელი მოთხოვნები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულების დაფარვის ვადების მიხედვით. ვალდებულებების ცხრილში მოცემული თანხები წარმოადგენს სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში შეტანილი თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშო პერიოდის დასასრულს მოქმედი სავალუტო კურსით.

ფინანსური ვალდებულებების შესრულების ვადების ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირად გამოიყურება:

	მოთხოვნა და 2	**2-დან 6**	**6-დან 12**	**1 წელზე მეტი**	**სულ**

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	თვეზე ნაკლები	თვემდე	თვემდე		
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები (შენიშვნა 17)	8,313,700	-	-	-	8,313,700
სხვა ფინანსური ვალდებულებები (შენიშვნა 16)	121,256	-	-	-	121,256
სესხები (შენიშვნა 15)	6,066,465	6,225,305	2,422,024	3,219,795	17,933,589
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხის და პროცენტების გადახდები	**14,501,421**	**6,225,305**	**2,422,024**	**3,219,795**	**26,368,545**

26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების შესრულების ვადების ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირად გამოიყურება:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	მოთხოვნადა2 თვეზენაკლები	2-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები	12,108,248	-	-	-	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები (შენიშვნა 17)	1,697,764	-	12,108,248		
სხვა ფინანსური ვალდებულებები (შენიშვნა 16)	-	-	1,697,764		

რეზერვები (შენიშვნა 16, შენიშვნა	17)	883,437	-	-	-	883,437
სესხები (შენიშვნა 15)		1,849,117	5,539,164	9,534,410	5,635,204	22,557,895
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხის და პროცენტების გადახდები		**16,538,566**	**5,539,164**	**9,534,410**	**5,635,204**	**37,247,344**

27 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის ამოცანას წარმოადგენს მის მიერ აქციონერებისთვის თანხების დაბრუნების, სხვა დაინტერესებული პირებისთვის სარგებლის უზრუნველყოფის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნების შესაძლებლობის დაცვა, რათა შემცირდეს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა და რეგულირებისთვის ჯგუფს შეუძლია დივიდენდების რაოდენობის დარეგულირება, რომელსაც ის აქციონერებს უხდის, აქციონერებისთვის კაპიტალის დაბრუნება, ახალი აქციების გამოშვება ან აქტივების გაყიდვა დავალიანების შესამცირებლად. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის განკარგულებაში არსებული კაპიტალია: 36,575,363 ლარი (2019: 42,651,975ლარი).

28 სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება

სამართლიანი ღირებულების გაზომვები სამართლიანი ღირებულების იერარქიაში გაანალიზებულია დონის მიხედვით შემდეგნაირად: (i) პირველი დონე წარმოადგენს გაზომვებს კოტირებული ფასებით (დაუკორექტირებელი), მოქმედი იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (ii) მეორე დონის გაზომვები წარმოადგენს შეფასების მეთოდებს ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემით, რომლებიც მოქმედებს აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ (ანუ, როგორც ფასები) ან ირიბად (ანუ ფასებისგან წარმოქმნილი), და (iii) მესამე დონის გაზომვები წარმოადგენს შეფასებებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზრის არსებულ მონაცემებს (ანუ არასაბაზრო მონაცემები). ხელმძღვანელობის მიდგომა ეფუძნება ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციას, სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამართლიანი ღირებულების გაზომვისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მოითხოვს მნიშვნელოვან კორექტირებებს, ამგვარი გაზომვა წარმოადგენს მესამე დონის გაზომვას. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელოვნება მთლიანობაში ფასდება სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან მიმართებაში.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ იზომება სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ რომელთათვისაც სამართლიანი ღირებულება დასახელებულია.

სამართლიანი ღირებულება გაანალიზებული დონის მიხედვით აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულებების იერარქიაში, რომლებიც არ იზომება სამართლიანი ღირებულებით, შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი, 2020			
თანხები მოცემულია ქართულ ლარში	**დონე 1**	**დონე 2**	**დონე 3**	**საბალანსო ღირებულება**
ფინანსური აქტივები				
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,832,431	-	-	4,832,431
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	-	-	9,269,947	9,269,947
- გაცემული სესხები	-	-	489,865	489,865
არაფინანსური აქტივები				
- საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
-მიწა და შენობები	-	-	4,678,579	4,678,579
სულ აქტივები	**4,832,431**	-	**14,438,391**	**19,270,822**
ვალდებულებები			8,313,700	8,313,700
- სავაჭრო გადასახდელები	-	-		
- სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	17,527,370	17,527,370
სულ ვალდებულებები	-	-	**25,841,070**	**25,841,070**

8 სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2019			
თანხები მოცემულია ქართულ ლარში	**დონე 1**	**დონე 2**	**დონე 3**	**საბალანსო ღირებულება**

ფინანსური აქტივები				
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	630,968	-	-	630,968
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	-	-	8,887,123	8,887,123
- გაცემული სესხები	-	-	605,421	605,421
არაფინანსური აქტივები				
- მიწა და შენობები	-	-	3,588,740	3,588,740
-საინვესტიციო ქონება			3,588,740	838,838
სულ აქტივები	**630,968**	**-**	**13,081,284**	**13,712,252**
ვალდებულებები				
- სავაჭრო გადასახდელები	-	-	21,317,943	21,317,943
- სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,579,836	1,579,836
- სესხები	-	-	8,927,715	8,927,715
სულ ვალდებულებები	**-**	**-**	**31,825,494**	**31,825,494**

* საინვესტიციო ქონებისთვის არ განხორციელებულა დამოუკიდებელი შეფასება.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე და მესამე დონეების სამართლიანი ღირებულებები გამოთვლილია დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცურავი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე, შეფასდა მათი საბალანსე ღირებულების ტოლი ღირებულებით. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება გამოთვლილია სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია ანალოგიური საკრედიტო რისკების და დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულების დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სახით.

ბალანსზე ამორტიზებული ღირებულებით აყვანილი ფინანსური აქტივები. მცურავი განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, როგორც წესი, მათ საბალანსო ღირებულებას წარმოადგენს. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტებისთვის გამოთვლილი სამართლიანი ღირებულება ეფუძნება სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია ანალოგიური საკრედიტო რისკების და დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულების დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სახით. დისკონტის განაკვეთი გამოიყენება სახელშეკრულებო მხარის საკრედიტო რისკის მიხედვით.

ბალანსზე ამორტიზებული ღირებულებით აყვანილი ვალდებულებები. გამოთვლილი სამართლიანი ღირებულება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტებისთვის სახელშეკრულებო ვალდებულების დაფარვის დადგენილი ვადებით, რომელთათვისაც კოტირებული საბაზრო ფასი არ არის ხელმისაწვდომი, გამოანგარიშდა სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია ანალოგიური საკრედიტო რისკების და დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულების დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სახით. სავაჭრო გადასახდელების და სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებით განსაზღვრავს სამართლიან ღირებულებებს მათი სახელშეკრულებო ვალდებულების დაფარვის მოკლევადიანი პერიოდის მიხედვით.

29 ფინანსური ინსტრუმენტების პრეზენტაცია შეფასების კატეგორიით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგ კატეგორიებში: (ა) ფინანსური აქტივები FVTPL-ით, (ბ) ვალის ინსტრუმენტები FVOCI-ით,(გ) კაპიტალის ინსტრუმენტები FVOCI-ით და (დ) ფინანსური აქტივები ამორტიზაციის ღირებულებით. ფინანსური აქტივები FVTPL-ით ორი ქვეკატეგორიით ხასიათდება: (i) აქტივები, რომლებიც სავალდებულო წესით ფასდება FVTPL-ით და (ii) აქტივები, რომელთა დანიშნულება თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ პერიოდში განისაზღვრება. ამასთან, ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანებები ქმნის ცალკე კატეგორიას. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ბალანსზე აყვანილი იქნა ამორტიზებული ღირებულებით.

30 მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

სესხები. 2021 წლის 21 მარტს კომპანიამ ნედლეულის შესყიდვის მიზნით მიიღო საქართველოს ბანკისგან აკრედიტივი 5,588,308 აშშ დოლარი

შპს ჭიათურმანგანუმ ჯორჯია

მმართველობითი ანგარიშგება

შპს ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას საქმიანობის მიმოხილვა

თბილისი

2020

1. საქმიანობის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის აღწერა

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“ დაარსდა 2008 წელს. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სხვადასხვა სახის ფეროშენადნობების წარმოება. 2009 წლიდან კომპანია აქტიურად ჩაერთო წარმოების პროცესში და ყოველწლიურად ხასიათდება მზარდი ეფექტით, როგორც წარმოების, ისე ბაზრის ათვისების და ბაზარზე საკუთარი სეგმენტის დაკავების კუთხით.

შპს „ჭიათურამანაგნუმ ჯორჯია“ აწარმოებს შემდეგი სახის პროდუქციას:

1. ფეროსილიკომანგანუმი - FeSiMn

2. ფერომანგანუმი - FeMn

3. ფეროსილიციუმი - FeSi

გარდა საქმიანობის ძირითადი მიმართულებისა, კომპანია ასევე ახორციელებს ფეროსილიკომანგანუმის საწარმოებლად საჭირო ძირითადი ნედლეულის - მანგანუმის კონცენტრატის და აგლომერატის წარმოებას.

კომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე განსაკუთრებული მოთხოვნაა, მსოფლიოს მასშტაბით, რაც შეეხება ქვეყნის შიდა ბაზარს, იგი ძალიან მცირეა, თუმცა კომპანიას აქაც დაკავებული აქვს გარკვეული ადგილი.

წარმოებული პროდუქციის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ევროკავშირის ქვეყნები, აშშ. გარდა აღნიშნული ქვეყნებისა, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“ წარმატებით ახორციელებს წარმოებული ფეროშენადნობების ექსპორტს მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, ესენია: ესტონეთი, ბელორუსია, თურქეთი, ერაყი, იაპონია, და სხვა.

პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის შეძენას კომპანია ახორციელებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ესენია: ბრაზილია, აფრიკის კონტინენტის ქვეყნები, უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი, თურქეთი, ჩინეთი.

2. განვითარების გეგმა და სტრატეგია

კომპანია დაარსების დღიდან ვითარდებოდა და ეტაპობრივად ხდებოდა წარმოების სიმძლავრეების ზრდა, წარმოებისთვის საჭირო ახალი მანქანა-დანადგარების დამატების და ახალი ქარხნების მშენებლობის და/ან შეძენის საშუალებით.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმა და მისი განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მეთოდები, წარმოების ზრდის კუთხით უცვლელია. ისევე როგორც ისტორიულად, მომავალშიც განსაზღვრულია ეტაპობრივად სიმძლავრეების ზრდა, დამატებითი მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების მოზიდვის გარეშე, კომპანიის საქმიანობის შედეგად მიღებული ფინანსური სახსრების გამოყენებით.

საქართველოში ფეროშენადნობების საწარმოებლად საჭირო ნედლეულის დეფიციტის გამო, იგეგმება ნედლეულის წარმოების განვითარებაც და ამ მიზნით ახალი საწარმოების მშენებლობა, ასევე არსებული საწარმოების მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მათი გადაიარაღება თანამედროვე დანადგარებით.

2019 წელს დასრულდა მშენებლობა და ექსპლოატაციაში შევიდა ახალი თანამედროვე აგლომერაციის ქარხანა.

ნედლეულის წარმოების განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი აქვს აგლომერაციის ქარხანას, რადგან აღნიშნული ქარხნის მეშვეობით ხდება საქართველოში არსებული მანგანუმის მადნის წარმოების ნარჩენების გადამუშავება და მისგან ფეროშენადნობების საწარმოებლად საჭირო ნედლეულის მიღება. აგლომერაციის ქარხანა, მანგანუმის კონცენტრატის გამამდიდრებელ ქარხნებთან ერთად, საშუალებას იძლევა გარკვეულწილად გადაიჭრას საქართველოში არსებული ნედლეულის დეფიციტის პრობლემა. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ანალოგიური ტიპის წარმოება ამიერკავკასიის მასშტაბით არ არსებობს.

ისტორიულად კომპანია ვითარდებოდა განვითარების გეგმის შესაბამისად მცირეოდენი გადახრებით. წარმოების შედეგებიც თითქმის თანხვედრაშია დაგეგმილ მონაცემებთან.

ცხრილი № 1.

წარმოების მონაცემები

წელი	პროდუქცია	ზომის ერთეული	წარმოების გეგმა	ფაქტიური წარმოება
2011	ფეროსილიკომანგანუმი	ტონა	15,000.00	15,557.70
2012	ფეროსილიკომანგანუმი	ტონა	20,000.00	19,612.50
2013	ფეროსილიკომანგანუმი	ტონა	20,000.00	20,907.80
2013	ფერომანგანუმი	ტონა	1,000.00	784.80
2014	ფეროსილიკომანგანუმი	ტონა	12,000.00	11,710.70
2014	ფეროსილიციუმი	ტონა	2,000.00	1,957.50
2014	ფერომანგანუმი	ტონა	700.00	733.80
2015	ფეროსილიკომანგანუმი	ტონა	11,000.00	10,625.80
2015	ფეროსილიციუმი	ტონა	2,000.00	1,767.50
2015	ფერომანგანუმი	ტონა	1,500.00	1,327.80
2016	ფეროსილიკომანგანუმი	ტონა	23,000.00	24,322.50
2017	ფეროსილიკომანგანუმი	ტონა	20,000.00	19,837.50
2018	ფეროსილიციუმი	ტონა	500.00	523.75
2018	ფეროსილიკომანგანუმი	ტონა	17,000.00	16,225.59
2019	ფერომანგანუმი	ტონა	150.00	137.83
2019	ფეროსილიციუმი	ტონა	500.00	432.30
2019	ფეროსილიკომანგანუმი	ტონა	22,000.00	22,499.40
2020	ფერომანგანუმი	ტონა	100,00	120,22
2020	ფეროსილიკომანგანუმი	ტონა	18000,00	17757,20

3. არსებული საწარმოების მიმოხილვა

შპს „ჭიათურამანგანუმ ჯორჯიას“ გააჩნია ძირითადი პროდუქციის წარმოების ორი ქვედანაყოფი, ძირითადი პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის - მანგანუმის კონცენტრატის წარმოების ქვედანაყოფი, რომელიც მოიცავს 3 გამამდიდრებელ მინი ქარხანას და აგლომერაციის ქარხანას, სადაც ხდება როგორც იმპორტირებული, ასევე საკუთარ გამამდიდრებელ ქარხნებში წარმოებული ნედლეულისგან აგლომერატის წარმოება.

ფეროშენადნობების საწარმოებია:

1. ნახშირღელეს ფეროშენადნობთა ქარხანა.
2. ორხევის ფეროშენადნობთა ქარხანა

ნახშირღელეს ფეროშენადნობთა ქარხანა - გაიხსნა 2008 წელს, თავდაპირველად აშენდა და 2009 წელს ექსპლოატაციაში შევიდა 5 მეგავატი სიმძლავრის #1 ელექტრორკალური ღუმელი. 2011 წელს ქარხანაში დამონტაჟდა და ექსპლოატაციაში შევიდა 8 მეგავატი სიმძლავრის #2 ელექტრორკალური ღუმელი, 2012 წელს ექსპლოატაციაში შევიდა კიდევ ერთი 8 მეგავატი სიმძლავრის #3 ელექტრორკალური ღუმელი, 2013 წელს აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა მექანიკური საამქრო, ხოლო 2014 წელს საჩამოსხმო საამქრო. აღნიშნულ საამქროებში ხორციელდება სხვადასხვა მეტალის დნობის და მექანიკური დამუშავების შედეგად ქარხნის ექსპლოატაციისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების წარმოება.

2015 წელს ქარხანაში დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების აირგამწმენდი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების პროცესში ღუმელებიდან გამოყოფილი აირების 99.8%-ით გაწმენდას. 2017 წელს აშენდა და 2018 წლის დასაწყისში ექსპლოატაციაში შევიდა დამატებით კიდევ ერთი 8 მეგავატი სიმძლავრის #4 ელექტრორკალური ღუმელი. 2020 წლის მდგომარეობით, ქარხნის წლიური წარმადობის სიმძლავრე შეადგენს 39,000 ტონას.

ორხევის ფეროშენადნობთა ქარხანა - კომპანიამ შეიძინა 2015 წელს. განხორციელდა ქარხანაში არსებული ღუმელის მოდიფიკაცია, თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეების გათვალისწინებით, ასევე განხორციელდა ქარხანაში არსებული დანადგარების სრული კაპიტალური რემონტი და მოდიფიკაცია. ქარხანაში არსებულ აირგამწმენდ მოწყობილობას, ეფექტურობის გაზრდის მიზნით დაემატა დამატებითი სექციები და შეიცვალა არსებული ფილტრები სრულად. ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, 2016 წლის ივნისის თვეში ქარხანა შევიდა ექსპლოატაციაში. ქარხანაში დამონტაჟებულია ერთი 6 მეგავატი სიმძლავრის ელექტრორკალური ღუმელი. 2020 წლის მდგომარეობით, არსებული სიმძლავრის გათვალიწინებით, ქარხნის წლიური წარმადობაა 7,200 ტონა.

მანგანუმის კონცენტრატის წარმოება - 2009 წელს ექსპლოატაციაში შევიდა მანგანუმის კონცენტრატის საწარმოებელი #1 ქარხანა, რომელიც მდებარეობს ქალაქ ჭიათურაში. 2010 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ანალოგიური ტიპის კიდევ ერთი ქარხანა #2. 2013 წელს ჭიათურის რაიონ სოფ. წირქვალში აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა უახლესი ტექნოლიგიური დანადგარებით აღჭურვილი მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ქარხანა #3. გამამდიდრებელი ქარხნების სიმძლავრე, ნედლეულის ტიპისა და ხარისხის მიხედვით შეადგენს 36 000 – 100 000 ტონას წელიწადში.

აგლომერატის წარმოება - 2018 წელს დაიწყო და 2019 წლის სექტემბრის თვიდან სატესტო ექსპლოატაციაში შევიდა ახალი თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი აგლომერაციის ქარხანა. აგლომერაციის ქარხანაში მანგანუმის წვრილფრაქციული მადნისგან ხდება აგლომერატის წარმოება, რომელიც გამოიყენება ფეროშენადნობების ქარხნებში. ქარხნის წარმადობა შეადგენს 240,000 ტონას წელიწადში.

ცხრილი № 2.

ღუმელების მონაცემები

წარმოების ქვედანაყოფი	ღუმელი	პროდუქცია	ზომის ერთეული	სიმძლავრე წლის საშუალო წარმადობა. რაოდენობა
ნახშირღელე	ღუმელი №1	FeSiMn,FeSi,FeMn.	ტონა	6,000
ნახშირღელე	ღუმელი №2	FeSiMn,FeSi,FeMn.	ტონა	11,000
ნახშირღელე	ღუმელი №3	FeSiMn,FeSi,FeMn.	ტონა	11,000
ნახშირღელე	ღუმელი №4	FeSiMn,FeSi,FeMn.	ტონა	11,000
ორხევი	ღუმელი №1	FeSiMn,FeSi,FeMn.	ტონა	7,200
ჯამი				46,200

კომპანიაში 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით დასაქმებული იყო 512 ადამიანი, დასაქმებულების 95% წარმოადგენს ადგილობრივ კადრებს. კომპანიის დაარსების დღიდან დასაქმებულების რაოდენობა, წარმოების სიმძლავრეების ზრდასთან ერთად თანმიმდევრულად იზრდებოდა. წლების მიხედვით კომპანიაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა შემდეგია:

ცხრილი № 3

წელი	დასაქმებულების რაოდენობა
2008	45
2009	117
2010	386
2011	518

2012	526
2013	419
2014	396
2015	370
2016	398
2017	467
2018	515
2019	524
2020	512

4. მომავლის გეგმები:

სამომავლო განვითარების მიზნით, კომპანია გეგმავს ფეროშენადნობების საწარმოებლად საჭირო ნედლეულის წარმოების განვითარებას. ამ მიზნით იგეგმება მანგანუმის კონცენტრატის წარმოების განვითარება, კერძოდ, ქალაქ ჭიათურაში კიდევ ერთი ახალი გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობა, რომელის მეშვეობითაც, ნედლეულის ხარისხის გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება დამატებით 10,000 - დან 30, 000-მდე ტონა მანგანუმის კონცენტრატის წარმოება.

კომპანიის საკუთრებაში არსებული ფეროშენადნობთა ქარხნების უნივერსალურობის გათვალისწინებით, კომპანიას შესაძლებლობა აქვს აწარმოოს სხვადასხვა სახის ფეროშენადნობები: ფეროსილიკომანგანუმი, ფერომანგანუმი, ფეროსილიციუმი. სამომავლოდ რომელიმე პროდუქტზე ორიენტირების კუთხით, კომპანია შეინარჩუნებს არსებულ პოლიტიკას და პროდუქტზე ორიენტირება მომავალშიც მოხდება ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით.

5. კლიენტებთან ურთიერთობების გაუმჯობესების გზები:

კლიენტებთან ურთიერთობის გაუმჯობესების და ახალ პოტენციურ კლიენტებთან ურთიერთობების დამყარების მიზნით, კომპანია აქტიურად ჩართულია და მონაწილეობს საქართველოსა თუ მსოფლიოს სხვადსხვა ქვეყანაში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციებში, სადაც წარმოდგენილია დარგში არსებული მსოფლიოს თითქმის ყველა კომპანიის წარმომადგენლები. ამ მიმართულებით კომპანია აპირებს გააგრძელოს აქტიური ჩართულობა და ყოველთვის იყოს წარმოდგენილი ასეთ კონფერენციებზე, ხოლო მსგავსი ღონისძიების საქართველოში გამართვის შემთხვევაში გაუწიოს ფინანსური დახმარება ორგანიზატორებს კონფერენციის ორგანიზებაში. აქტიური ჩართულობა და დარგში არსებულ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნედლეულის მწარმოებლებთან თუ პროდუქციის

მომხმარებლებთან მჭიდრო ურთიერთობა საფუძველია არა მხოლოდ შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ არამედ ზოგადად საქართველოს, როგორც ფეროშენადნობების მწარმოებელი ქვეყნის ცნობადობის ამაღლების და პოპულარიზაციისთვის.

6. ხარისხის კონტროლი:

წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლის მიზნით, შექმნილია სპეციალური ქიმიური ლაბორატორია. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნის გათვალისწინებით. ლაბორატორიას საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ ISO 17025:2010-ის სტანდარტის შესაბამისად, მინიჭებული აქვს აკრედიტაცია და აკრედიტაციის ორგანოს მიერ ხორციელდება ასევე პერიოდული კონტროლი (აკრედიტაციის მოწმობა GAC-TL-0120). პროდუქციის წარმოების პროცესში, ყოველდღიურად - დღეში რამდენჯერმე ხდება წარმოებაში ჩაშვებული ნედლეულის და მიღებული პროდუქციის ხარისხის ლაბორატორიული ანალიზი, რისი მეშვეობითაც მინიმუმამდეა დაყვანილი პროდუქციის ხარისხის მცირე გადახრის რისკიც. ხარისხის კონტროლის მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, კომპანიას მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებული აქვს სტაბილური და ხარისხიანი პროდუქციის მწარმოებლის რეპუტაცია.

7. სასაქონლო ნიშნები და პატენტები:

2009 წლიდან, მსოფლიო ბაზარზე ხარისხიანი და სტაბილური პროდუქციის მიმწოდებლის რეპუტაციის ჩამოყალიბების შედეგად, ფეროშენადნობების მწარმოებელთა და ფეროშენადნობი პროდუქციის მომხმარებელთა დარგში, კომპანია მსოფლიოს მასშტაბით მაღალი ცნობადობით სარგებლობს. კომპანიის სახელის და სავაჭრო ნიშნის არასანქცირებული გამოყენების თავიდან არიდების მიზნით, კომპანიას საქპატენტში რეგისტრირებული აქვს სავაჭრო ნიშანი შესაბამისი ტექსტობრივი და ვიზუალური გამოსახულების სახით.

რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნის ვიზუალური გამოსახულება:

CHIATURMANGANUM GEORGIA
Georgian Ferroalloys

8. გარემოზე ზრუნვა

კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხების მოწესრიგებას. კომპანიის საქმინაობის სპეციფიკის მიხედვით, კომპანია კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგს. კომპანიის საკუთრებაში არსებული საწარმოების ექსპლოატაციაში გაშვება ხდება მხოლოდ შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიშის მომზადების და სათანადო წესით შეთანხმების შემდეგ. გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, ფეროშენადნობ საწარმოებში დამონტაჟებულია უახლესი სტანდარტების აირგამწმენდი მოწყობილობები და ევროპული წარმოების ფილტრები. აირგამწმენდი მოწყობილობების მუშაობა მთლიანად ავტომატიზებულია და რაიმე ხარვეზის არსებობის შემთხვევაში ავტომატურად ხდება ქარხნის გათიშვა. უახლესი ტიპის მოწყობილობების გამოყენება საშუალებას იძლევა თითქმის 100%-ით გამოირიცხოს გაუთვალისწინებელი შემთხვევების შედეგად გარემოზე მავნე ზემოქმედება.

9. დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზრუნვა

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული ქარხნებში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაო, წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოადგენს მომატებული საფრთხის შემცველ სამუშაოს. ამის გათვალისწინებით, კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხო პირობების დაცვას. ქარხნებში ყველა პოზიციაზე დასაქმებული პირებისთვის შემუშავებულია შესაბამისი შრომის ინსტრუქციები. ქარხანაში სამუშაოს დაწყებამდე ყველა პირი გადის სპეციალურ სწავლებას და მხოლოდ ამის შემდეგ დაიშვება სამუშაო ადგილზე. გარდა ამისა, დადგენილი პერიოდულობით ხდება თანამშრომელთა გადამზადება შრომის უსაფრთხოების საკითხებში.


ყოველი სამუშაო დღის დაწყების წინ დასაქმებულები გადიან სპეციალურ ინსტრუქტაჟს შრომის უსაფრთხოებაში. საწარმოების შენობებში განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა. კრიზისულ სიტუაციების მართვაზე შესაბამისი უფლებამოსილებები გადანაწილებული აქვთ სამსახურების და/ან შესაბამისი ჯგუფის ხელმძღვანელებს. ამასთან კომპანიაში შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვის მონიტორინგის და კონტროლის მიზნით გამოყოფილია სპეციალური საკადრო ერთეულები.

10. კომპანიის სტრუქტურა:

კომპანიის მართვის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისგან. სტრუქტურული ქვედანაყოფი ექვემდებარება კომპანიის დირექტორს ან შესაბამისი მიმართულების კურატორ დირექტორის მოადგილეს.

ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ყალიბდება შესაბამისი პროცედურული დოკუმენტაცია, რომლითაც განისაზღვრება ქვედანაყოფის და მასში შემავალი პირების უფლება-მოვალეობები და მათი საქმიანობის ინსტრუქცია.

კომპანიის სტრუქტურა გამოიყურება შემდეგი სახით:



კომპანიის პარტნიორთა კრების უფლებამოსილება და უფლებების განხორციელების წესების მიმოხილვა:

კომპანიის 95% წილის მფლობელს წარმოადგენს საერთაშორისო კომპანია greenfield financial corporation, ხოლო 5% წილის მფლობელს ფიზიკური პირი - ჰორსტ კოსტა იჰია.

პარტნიორების უფლებამოსილება განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელიც წარმოადგენს საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტს.

11. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ცხრილი № 4

გაყიდვების მონაცემები

წელი	პროდუქცია	რეალიზაცია ლარი	თვითღირებულება ლარი	მარჟა % პროდუქციის რეალიზაციიდან
2013	ფეროსილიკომანგანუმი, ფერომანგანუმი.	36,257,975.60	21,642,973.00	40.31%
2014	ფეროსილიკომანგანუმი, ფეროსილიციუმი,ფერომანგანუმი	37,518,190.50	22,596,621.80	39.77%
2015	ფეროსილიციუმი	6,974,671.54	4,542,145.30	34.88%
2015	ფერომანგანუმი	3,971,655.05	2,256,060.50	43.20%
2015	ფეროსილიკომანგანუმი	18606078.55	12,033,165.70	35.33%
2016	ფეროსილიკომანგანუმი	36,970,739.00	30,150,334.44	18.45%
2016	ფეროსილიციუმი	2,061,784.00	1,778,620.00	13.73%
2017	ფეროსილიკომანგანუმი	60,508,399.00	35,604,687.27	41.16 %
2018	ფეროსილიკომანგანუმი	46,403,793.00	32,088,952.84	30.85%
2019	ფეროსილიციუმი	1,277,729.32	846,333.00	33.76%
2019	ფეროსილიკომანგანუმი	51,169,078.70	38,547,234.00	24.67%
2020	ფერომანგანუმი	65,555.77	55,195.80	15.80%
2020	ფეროსილიკომანგანუმი	57,326,367.50	51,989,156.28	9.31%

ცხრილი № 5

გაყიდვების მონაცემები

წელი	პროდუქცია	რეალიზაცია, რაოდენობა ტ.	რეალიზაცია თანხა ლარი	წლის საშუალო ფასი /ტონაზე
2013	ფეროსილიკომანგანუმი	17,435.50	36,257,975.60	2,079.55
2014	ფეროსილიკომანგანუმი	16,485.40	37,518,190.50	2,275.84
2015	ფეროსილიკომანგანუმი	7,843.55	18,606,078.55	2,372.15
2015	ფეროსილიციუმი	2,235.40	6,974,671.54	3120.10
2015	ფერომანგანუმი	1,180.87	3,971,655.50	3363.33
2016	ფეროსილიკომანგანუმი	21,011.00	36,970,739.00	1,759.59
2016	ფეროსილიციუმი	842.00	2,061,784.00	2,448.67
2017	ფეროსილიკომანგანუმი	22,201.82	60,508,399.00	2,725.38
2018	ფეროსილიკომანგანუმი	15,203.20	46,403,793.00	3,052.24
2019	ფეროსილიციუმი	503.00	1,277,729.32	2,540.21
2019	ფეროსილიკომანგანუმი	17,362.00	51,169,078.70	2,947.19
2020	ფერომანგანუმი	21.50	65,555.77	3,049.11
2020	ფეროსილიკომანგანუმი	19,219.40	57,326,367.50	2,982.74

12. ძირითადი რისკები და მისი პრევენციის გზები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლო რისკებს წარმოადგენს:

- პროდუქციაზე და/ან ნედლეულზე ფასების ცვლილება;
- ბაზარზე მოთხოვნის შემცირება;
- მსოფლიო პანდემიის პირობებში, გარკვეულ ქვეყნებში შეზღუდვების შემოღების შემთხვევაში ნედლეულის მიწოდების შეფერხება.
- ლარის კურსის ცვლილებები;
- ფინანსური რისკები.

კომპანიის წინაშე არსებული რისკების პრევენციის მიზნით, კომპანიაში მიმდინარეობს აღნიშნული რისკების მუდმივი მონიტორინგი, რათა მყისიერად მოხდეს რისკების თავიდან არიდების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მსოფლიო ბაზარზე ფასების ცვალებადობით შესაძლო ზიანის თავიდან არიდების მიზნით, ნედლეულის შესაბამისი პარტიის შეძენისას, კომპანიის მენეჯმენტი პარალელურად მუშაობს ნედლეულით მისაღები პროდუქციის გაყიდვის კონტრაქტების გაფორმებაზე მინიმუმ იმ ოდენობით, რაც გადაფარავს ნედლეულის შესაბამისი პარტიის და მისი გადამუშავების ღირებულებას. აღნიშნული მიდგომის შედეგად, მინიმალიზებულია, პროდუქციაზე ფასების მნიშვნელოვანი შემცირების პირობებშიც ზარალის მიღება.

რაც შეხება ბაზარის გაჯერების და ბაზარზე მოთხოვნის შემცირების რისკს, კომპანია აღნიშნულს უმკლავდება საკუთარი ქარხნების უნივერსალურობის შედეგად. კომპანიას მარაგში მუდმივად აქვს სხვადასხვა სახის და ხარისხის პროდუქცია, რათა მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში დააკმაყოფილოს მომხმარებელი. ამავდროულად ბაზარზე ამა თუ იმ სახის პროდუქციაზე მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში კომპანია მოკლე დროში ახორციელებს წარმოების გადართვას სხვა სახის პროდუქციაზე. შესაბამისად ბაზრის მუდმივი მონიტორინგით და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროდუქციის წარმოებით მინიმალიზებულია ეს რისკიც.

2021 წელს მსოფლიოში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის და მსოფლიო პანდემიის გამო არსებული და შესაძლო შეზღუდვების პირობებში, შესაძლებელია მოხდეს ნედლეულის მომწოდებელი რომელიმე ქვეყნის პორტების მუშაობის შეფერხება და რეალურად გართულდეს წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის დროულად მიღება.

აღნიშნული რისკის პრევენციის მიზნით კომპანიამ 2021 წელს განაახლა და გააფართოვა საკუთარი ნედლეულის წარმოების მიმართულება. აღნიშნული ღონესძიებების შედეგად, იმპორტირებული ნედლეულის არქონის შემთხვევაში, მანგანუმის მადნის საკუთარი ნედლეულის მარაგების გადამუშავებით შესაძლებელია მთლიანად აღმოიფხვრას ან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ნედლეულის შესაძლო დეფიციტის რისკი.

ლარის კურსის ცვალებადობა არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე, რადგან პროდუქციის თითქმის 100% გადის ექსპორტზე და შესაბამისად კომპანიას შემოსავალი უცხოურ ვალუტაში აქვს, ამასთან პროდუქციის თვითღირებულების დაახლოებით 60%-ს იმპორტირებული ნედლეული შეადგენს. აქედან გამომდინარე კომპანიის ფინანსური მაჩვენებლებზე დიდ გავლენას ლარის კურსი არ ახდენს. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ისტორიულად ძირითადად უარყოფითი ზრდით ხასიათდება. ამდენად შემოსავლის უცხოურ ვალუტაში არსებობის პირობებში, ეროვნული ვალუტის კურსის უარყოფითი ცვლილება, კომპანიისთვის მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს არ გამოიწვევს.

სამუშაოს სპეციფიკური ხასიათის გამო, ფულადი სახსრების შემოდინება კომპანიისთვის ფინანსური რისკების თვალსაზრისით ძალიან მგრძნობიარე საკითხია. ფულადი სახსრების არასაკმარისი შემოდინების გამო მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა შესაძლოა პრობლემური გახდეს. ზემოაღნიშნული რისკის დაზღვევის მიზნით, კომპანიამ შეიმუშავა საკმაოდ ფრთხილი პოლიტიკა, კერძოდ: მნიშვნელოვანი კაპიტალური ხარჯების დაგეგმვა ხორციელდება მხოლოდ კომპანიის საკუთრებაში არსებული საკუთარი თავისუფალი სახსრების მობილიზაციის ხარჯზე და შესაბამისად, ზემოაღნიშნული რისკი, კაპიტალური ხარჯების თვალსაზრისით არ არსებობს. რაც შეეხება სამუშაო აქტივების დაფინანსების წყაროს, ამ მხრივ კომპანია ყოველთვის განიხილავდა საკუთარი სახსრების გარკვეულ ნაწილს. კომპანია ნედლეულს დიდ მარაგს ყიდულობს ძირითადად საბანკო პროდუქტების გამოყენებით. ამ მიზნით მან წინასწარ მოაწერა ხელი ბანკებთან საერთო საკრედიტო

ხელშეკრულებას, რაც აღემატება ნედლეულის საჭირო რეზერვების მაქსიმალურ დაფინანსებას. სამუშაო ნედლეულის შესყიდვისთვის საჭირო საკრედიტო პროდუქტის გარდა, კომპანიამ ასევე გააქტიურა საკრედიტო ხაზი რამდენიმე მილიონი აშშ დოლარის ოდენობით გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, რომლითაც ხდება მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა, სახსრების მოსალოდნელი შეფერხების შემთხვევაში. ფულადი სახსრების შემოდინების კონტროლს ახორციელებს კომპანიის ფინანსური სამსახური და დაგეგმილი ფულადი სახსრების შემოდინების თუნდაც მცირე გადახრის შემთხვევაში, კომპანიის ფინანსური დირექტორის მოთხოვნით დაუყოვნებლივ ინიშნება დირექტორატის რიგგარეშე სხდომა. ფულადი სახსრების კონტროლის მიზნით და მოსალოდნელი ხარჯების დაფარვისთვის საჭირო დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირების მიზნით, კომპანიაში პერიოდულად (თვეში ერთხელ) დირექტორატის გაფართოებული შეხვედრები იმართება, რომლის დროსაც დეტალურად არის გაანალიზებული მომდევნო პერიოდში საჭირო თანხები, კომპანიის გაყიდვების პოლიტიკა იდენტიფიცირდება სახსრების საჭიროების შესაბამისად. აგრეთვე ხორცილდება ფულადი სახსრების შემოდინების შესრულების გეგმის მონიტორინგი და გარკვეული კორექტირებები საჭიროების შემთხვევაში.

ისტორიული მონაცემების საფუძველზე, კომპანიის პოლიტიკა ეფექტურია ფინანსური რისკების თავიდან აცილების თვალსაზრისით. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია სწრაფად განვითარდა დამატებითი მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაზრდის გარეშე, დაგეგმილია იგივე პოლიტიკის გაგრძელება მომავალში.

12 ოქტომბერი 2021

_____

დირექტორი:

მამია ბერიძე

pwc

ჭიათურმანგანუმ ჯორჯია ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2020 წლის 31 დეკემბერი

pwc

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2
ინდივიდუალური ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 3
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება 4
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 5
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6
კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 8

შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებებისთვის

1 შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია" და მისი ოპერაციები 9
2 ჯგუფის საოპერაციო გარემო 9
3 მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა 10
4 კრიტიკული საბუღალტრო გაანგარიშებები და მსჯელობები ბუღალტრულიაღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას 21
5 განახლებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 22
6 სიახლეები ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში 27
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 29
8 ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები 30
9 საინვესტიციო ქონება 31
10 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები 32
11 გაცემული სესხები 32
12 მატერიალურ–საწარმოო მარაგები 34
13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 34
14 საწესდებო კაპიტალი 34
15 სესხები 34
16 სხვა ფინანსური ვალდებულებები 35
17 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები 35
18 შემოსავალი 36
19 გაყიდვების ღირებულება 38
20 სხვა საოპერაციო შემოსავალი 38
21 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 38
22 დისტრიბუციის ხარჯები 39
23 სხვა საოპერაციო ხარჯები 39
24 ფინანსური ხარჯი 39
25 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები 39
26 ფინანსური რისკის მართვა 40
27 კაპიტალის მართვა 41
28 სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება 43
29 ფინანსური ინსტრუმენტების პრეზენტაცია გაზომვის კატეგორიით 44
30 მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ 45
47

pwc

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას" მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენი დასკვნა

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები("ფინანსური ანგარიშგებები") სამართლიანად ასახავს, ყველა არსებული მიმართებით, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას" ("კომპანია") და მისი ფილიალების (ერთობლივად - "ჯგუფი") კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მაჩვენებლებსა და მისი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების მოძრაობას მითითებულ თარიღს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

რისი აუდიტი ჩავატარეთ

ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის ან სხვა ჯამური შემოსავლის კონსოლიდირებული და ნდივიდუალური ანგარიშგებები მითითებულ თარიღს დასრულებული წლისთვის;
- კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებები მითითებულ თარიღს დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებები მითითებულ თარიღს დასრულებული წლისთვის; და
- შენიშვნები კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკებს და სხვა განმარტებებს.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო
თბილისი, ალექსიძის ქ. 12, ბიზნეს ცენტრი კინგ დევიდი, სართ. 7
ტელ:995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

pwc

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი მოვალეობები დამატებით აღწერილია ჩვენი ანგარიშის ნაწილში "აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის". მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მონაცემები საკმარისი და სათანადოა ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ ჯგუფისა და კომპანიისგან პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს კოდექსის (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) თანახმად. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური მოვალეობები აღნიშნული კოდის შესაბამისად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებსა და ჩვენი აუდიტორის დასკვნას მათ შესახებ).

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი მოვალეობაა ხელმძღვანელობის ანგარიშის წაკითხვა და იმის განხილვა, ხელმძღვანელობის ანგარიში არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან არის თუ არა სხვაგვარად არსებითად არასწორად წარმოდგენილი. თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიშში არსებითი ცდომილებაა, ვალდებულნი ვართ ვაცნობოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს შესატყობინებელი.

გარდა ამისა, "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით ჩვენ მოგვეთხოვება აზრის გამოთქმა იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და იმის განხილვა, შეიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, როცა მომზადდა კონსოლიდირებული და ინსივისუალური ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან;
- ხელმძღვანელობის ანგარიში შეიცავს ინფორმაციას, რომელიც პასუხობს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფის მოთხოვნებს.

pwc

ხელმძღვანელობისა და მართვაზე პასუხისმგებელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებისა და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადების უზრუნველსაყოფად, რომლებიც არ შეიცავს არსებით არასარწმუნო მონაცემებს არაკეთილსინდისიერი ქმედებების ან შეცდომების შედეგად

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ჯგუფისა და კომპანიის უნარი - განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, საჭიროებისამებრ მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებით და მოქმედი საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელმძღვანელობა გეგმავს ჯგუფის ან კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას ან არ გააჩნია სხვა რეალისტური ალტერნატივა, გარდა აღნიშნულისა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია გონივრული გარანტიის მიღება იმის თაობაზე, რომ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში არ შეიცავს არსებით არასარწმუნო მონაცემებს, იქნება ეს არაკეთილსინდისიერი ქმედებების თუ შეცდომების შედეგად, და აუდიტორული დასკვნის გაცემა, რომელიც ჩვენს დასკვნას შეიცავს. გონივრული გარანტია წარმოადგენს მაღალი დონის გარანტიას, მაგრამ არაა იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით არასარწმუნო მონაცემებს, თუ ისინი არსებობს. არსებითი არასარწმუნო მონაცემები შეიძლება გამომდინარეობდეს არაკეთილსინდისიერი ქმედებიდან ან შეცდომიდან და ითვლება არსებითად, თუ ცალ-ცალკე ან მთლიანობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ პროფესიული მსჯელობა და პროფესიულ სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- განვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების არსებითი არასარწმუნო მონაცემების რისკებს არაკეთილსინდისიერი ქმედებების ან შეცდომების შედეგად, შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. არაკეთილსინდისიერი ქმედებების შედეგად არსებითი არასარწმუნო მონაცემების ვერგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომიდან გამომდინარე არასარწმუნო მონაცემების ვერგამოვლენის რისკი, რადგანაც არაკეთილსინდისიერი ქმედება შეიძლება მოიცავდეს შეთქმულებას, სიყალბეს, განზრახ უმოქმედობას, არასარწმუნო მონაცემების წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.

pwc

- მოვიპოვებთ და ვიკვლევთ აუდიტთან დაკავშირებულ შიდა კონტროლს აუდიტის პროცედურების შემუშავებისთვის, რომლებიც სათანადოა მოცემულ გარემოებებში, მაგრამ არა ჯგუფისა და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოთქმის მიზნით.

- ვაფასებთ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურების მიზანშეწონილობასა და ბუღალტრული გაანგარიშებების გონივრულობას და ხელმძღვანელობის მიერ აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემულ ინფორმაციას.

- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობაზე და მიღებული აუდიტორულიმტკიცებულებების საფუძველზე, იმის თაობაზე, არსებობს თუ არა არსებითი გაურკვევლობა მოვლენებთან ან მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს ჯგუფისა და კომპანიის უნართან დაკავშირებით, განაგრძოს საქმიანობა მოქმედი საწარმოს სახით. თუ ჩვენ დავასკვნით,რომ არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება უნდა მივაპყროთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ შესაბამის ინფორმაციას ან თუ ამგვარი ინფორმაცია უზუსტოა, ცვლილება შევიტანოთ ჩვენს დასკვნაში. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორული დასკვნის მომზადების თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, სამომავლო მოვლენებმა ან მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ჯგუფმა ან კომპანიამ შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების საერთო მონაცემების წარმოდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, გამჟღავნებული ინფორმაციის ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები ძირითად ოპერაციებსა და მოვლენებს იმგვარად, რომ მიღწეულ იქნას მონაცემების სამართლიანი წარმოდგენა.

- მოვიპოვებთ საკმარის შესაბამის აუდიტორულ მონაცემებს ჯგუფში შემავალი ორგანიზაციების ფინანსურ ინფორმაციასთან ან ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ მოსაზრების გამოსათქმელად. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობაზე და შესრულებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

ჩვენ კომუნიკაციას ვახორციელებთ მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბებსა და ვადებზე და აუდიტის მნიშვნელოვან შედეგებზე, შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის ჩათვლით, რომელსაც ჩვენი აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

შპს „ერნსტანდიანგი საქართველოს" სახელით (რეგ.# SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (რეგ.#SARAS-A-562091)

2021 წლის 12 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

სხვა ინფორმაცია
მმართველობითი ანგარიშგება - კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

ჭიათურმანგანუმ ჯორჯიაჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები	8	26,297,820	26,570,843
საინვესტიციო ქონება		-	838,838
ინვესტიციები ფილიალში	9	100,000	100,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		26,397,820	27,509,681
მიმდინარე აქტივები			
მატერიალურ-საწარმოო მარაგები	12	25,653,076	33,114,787
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	10	11,374,918	19,433,581
გაცემული სესხები	11	489,865	347,939
წინასწარ გადახდილი გადასახადები		2,602,167	3,661,251
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	4,900,542	320,465
სულ მიმდინარე აქტივები		45,020,568	56,878,023
სულ აქტივები		71,418,388	84,387,704
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		15,026,996	15,602,780
გაუნაწილებელი მოგება	14	20,317,144	26,241,860
სულ კაპიტალი		35,344,140	41,844,640
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	15	3,291,139	5,233,552
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,291,139	5,233,552
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	15	14,236,231	15,943,145
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	17	18,425,620	18,785,166
სხვა ფინანსური ვალდებულებები	16	121,258	1,697,764
რეზერვები სასამართლო სარჩელებისთვის	16	-	883,437
სულ მიმდინარე ვალდებულებები		32,783,109	37,309,512
სულ ვალდებულებები		36,074,246	42,543,064
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		71,418,388	84,387,704

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 12 ოქტომბერს:

მოადგილე აღმასრულებელი ხელმძღვანელი მამია ბერიძე

ჰიათურმანგანუმ ჯორჯიაჯგუფი
მოგებისაწზარალისდასხვასრულიშემოსავლისინდივიდუალურიანგარიშგება

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	შენიშვნა	2020	2019
		61,357,685	59,236,486
შემოსავალი	18		
გაყიდვების ღირებულება	19	(54,033,813)	(46,015,391)
საერთო მოგება		7,323,872	13,221,095
სხვა საოპერაციო შემოსავალი	20	436,749	1,846,931
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(4,734,463)	(5,171,995)
დისტრიბუციის ხარჯები	22	(4,208,876)	(3,733,632)
რეზერვები სასამართლო სარჩელებისთვის		-	(883,437)
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(957,766)	(1,085,928)
საოპერაციო (ზარალი) / მოგება		(2,140,484)	4,193,034
ფინანსური შემოსავალი		30,886	15,753
ფინანსური ხარჯი	24	(3,747,353)	(2,709,370)
(ზარალი) / მოგება საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე		(5,856,951)	1,499,417
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		(67,765)	(39,460)
(ზარალი) / წლის მოგება		(5,924,716)	1,459,957
სხვა სრული წლიური შემოსავალი		-	-
სულ სრული (ზარალი) / წლიური შემოსავალი		(5,924,716)	1,459,957

ჭიათურმანგანუმ ჯორჯიაჯგუფი
ინდივიდუალურიანგარიშგებისკაპიტალშიცვლილებებისშესახებ

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,015,100	24,805,251	28,820,351
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 14)	11,587,680	-	11,587,680
სულ სრული წლიური შემოსავალი	-	1,459,957	1,459,957
დეკლარირებული დივიდენდები (შენიშვნა 14)	-	(23,348)	(23,348)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,602,780	26,241,860	41,844,640
საწესდებო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 14)	(575,784)	-	(575,784)
სულ სრული წლიური ზარალი	-	5,924,716	5,924,716
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,026,996	20,317,144	35,344,140

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(5,856,951)	1,499,417
(მოგება)/ზარალი სამემოსავლო გადასახადის გადახდამდე			
კორექტირებები:			
ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის ცვეთა და გაუფასურება	8	2,142,706	1,404,058
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია და გაუფასურება	8	12,083	11,493
საინვესტიციო ქონების ცვეთა		14,012	9,085-
ზარალი მოგების გარეშე ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის ჩამოწერიდან	8	15,075	147
მოგება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	9	(285,016)	-
წმინდა გაუფასურება სავაჭრო და სხვა დავალიანებების	10	153,070	125,144
წმინდა გაუფასურება გაცემული სესხების	11	(71,354)	272,214
წმინდა (აღდგენა)/გაუფასურება წინასწარი გადახდების	10	(7,923)	98,001
რეზერვები სასამართლო სარჩელებისთვის	16	-	883,437
შემოსავალი პროცენტების სახით	11	(30,886)	(15,753)
პროცენტების გადახდის ხარჯები	15	1,450,565	1,498,881
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებიდან		2,501,293	1,170,129
სხვა არაფულადი მოძრაობა		-	159,037
ფულადი ნაკადები ოპერაციული საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებების განხორციელებამდე		**36,674**	**7,115,290**
სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებები		6,582,030	(4,898,070)
წინასწარ გადახდილ გადასახადები		1,126,849	(1,369,253)
წინასწარი გადახდები		3,168,636	(1,390,127)
სხვა ფინანსური ვალდებულებები		(1,576,508)	-
ინვენტარი		7,461,710	(10,425,675)
სავაჭრო და სხვა გადასახდელები		(6,080,652)	(2,268,070)
რეზერვები		(883,437)	
მიღებული ავანსები		5,168,273	5,168,273
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		14,964,901	(15,182,929)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		(67,765)	(39,460)
გადახდილი პროცენტი		(1,314,846)	(1,275,916)
წმინდა ფულადი სახსრები დახარჯული ოპერაციულ საქმიანობაში / მიღებული ოპერაციული საქმიანობიდან		13,620,964	(9,383,015)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,800,425)	(12,298,188)
ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის შეძენა		918,659	54,465
შემოსავალი ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის გაყიდვიდან		-	847,923)
საინვესტიციო ქონების შეძენა		1,109,842	-
შემოსავალი საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		(76,500)	(10,000)
გაცემული სესხები		11,306	31,000
შემოსავალი გაცემული სესხებიდან		(837,118)	(13,070,646)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები			
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		43,241,645	52,090,898
შემოსავალი სესხებიდან		(50,816,803)	(41,460,724)
სესხების დაფარვა		-	(23,348)
კომპანიის პარტნიორთათვის გადახდილი დივიდენდები		(575,784)	-
კაპიტალის განაწილება აქციონერთა შორის, დივიდენდების გარდა	14	-	11,587,680
აქციონერთა შენატანი კაპიტალში, გარდა აქციების გამოშვება	14	(8,150,942)	22,194,506
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული /ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები			
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(52,827)	(46,112)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	320,465	625,732
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასასრულს	13	4,900,542	320, 465

ჭიათურმანგანუმ ჯორჯიაჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები	8	26,297,820	26,570,843
საინვესტიციო ქონება	9	-	838,838
სულ გრძელვადიანი აქტივები		26,297,820	27,409,681
მიმდინარე აქტივები			
მატრიალურ-საწარმოო მარაგები	12	25,662,372	33,169,183
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	10	11,374,918	19,433,581
გაცემული სესხები	11	489,865	347,939
წინასწარ გადახდილი გადასახადები		2,603,779	3,662,757
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	4,901,388	320,889
სულ მიმდინარე აქტივები		45,032,322	56,934,349
სულ აქტივები		71,330,142	84,344,030
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	15,026,996	15,602,780
გაუნაწილებელი მოგება		21,548,367	27,049,195
სულ კაპიტალი		36,575,363	42,651,975
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	15	3,291,139	5,233,552
სხვა ფინანსური ვალდებულებები	16	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,291,139	**5,233,552**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	15	14,236,231	15,943,145
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	17	17,106,152	17,934,157
სხვა ფინანსური ვალდებულებები	16	121,256	1,697,764
რეზერვები		-	883,437
სულ მიმდინარე ვალდებულებები		31,463,640	**36,458,503**
სულ ვალდებულებები		34,754,779	41,692,055
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		71,330,142	84,344,030

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 12 ოქტომბერს:

მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი მამია ბერიძე

ჭიათურმანგანუმ ჯორჯიაჯგუფი
მოგებისანზარალისდასხვასრულიშემოსავლისკონსოლიდირებულიანგარიშგება

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	18	61,357,685	59,236,486
გაყიდვების ღირებულება	19	(54,609,845)	(45,808,578)
საერთო მოგება		7,747,840	13,427,908
სხვა საოპერაციო შემოსავალი	20	436,749	1,846,931
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(4,686,426)	(5,127,429)
დისტრიბუციის ხარჯები	22	(4,208,877)	(3,733,632)
რეზერვები სასამართლო სარჩელებისთვის	16	-	(883,437)
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(1,005,881)	(1,130,527)
საოპერაციო (დანაკარგები)/მოგება		(1,716,595)	4,399,814
ფინანსური შემოსავალი		30,886	15,753
ფინანსური ხარჯები	24	(3,747,353)	(2,709,370)
(დანაკარგები)/მოგება საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე		(5,433,063)	1,706,197
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		(67,765)	(39,460)
(დანაკარგი)/წლის მოგება		(5,500,828)	1,666,737
სხვა სრული წლიური შემოსავალი		-	-
სულ სრული წლიური (დანაკარგი)/შემოსავალი		(5,500,828)	1,666,737

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
	4,015,100	**25,405,806**	**29,420,906**
ბალანსი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით			
	11,587,680	-	11,587,680
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 14)	-	1,666,737	1,666,737
სულ სრული წლიური შემოსავალი	-	(23,348)	(23,348)
დეკლარირებული დივიდენდები (შენიშვნა 14)			
	15,602,780	**27,049,195**	**42,651,975**
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	(575,784)	-	(575,784)
საწესდებო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 14)	-	(5,500,826)	(5,500,828)
სულ სრული წლიური დანაკარგი	-		
	15,026,996	**21,548,367**	**36,575,363**
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
(დანაკარგი)/ მოგება საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე		(5,433,063)	1,706,197
კორექტირებები:			
ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის ცვეთა და გაუფასურება	8	2,142706	1,404,058
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია და გაუფასურება	8	12,083	11,493
საინვესტიციო ქონების ცვეთა		14,012	9,085
ზარალი მოგების გარეშე ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის ჩამოწერიდან	8	15,07	147
მოგება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		5	
წმინდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება	9	(285,016)	-
წმინდა გაცემული სესხების გაუფასურება	10	153,070	125,144
წმინდა (აღდგენა) / წინასწარი გადახდების გაუფასურება	11	(71,354)	272,214
რეზერვები სასამართლო სარჩელებისთვის	10	(7,923)	98,001
შემოსავალი პროცენტების სახით	16	-	883,437
პროცენტების გადახდის ხარჯები	11	(30,886)	(15,753)
წმინდა ზარალი/(მოგება) უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებიდან	15	1,450,565	1,498,881
სხვა არაფულადი მოძრაობა		2,501,294	1,170,129
		-	159,037
ფულადი ნაკადები ოპერაციული საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებების განხორციელებამდე		460,563	7,322,070
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები		6,582,030	(4,898,070)
წინასწარ გადახდილ გადასახადები		1,126,849	(1,369,253)
წინასწარ გადახდები		3,168,636	(1,390,127)
სხვა ფინანსური ვალდებულებები		(1,576,508)	-
ინვენტარი		7,506,811	(10,403,675)
სავაჭრო და სხვა გადასახდელები		(6,549,219)	(2,500,163)
რეზერვები		(883,437)	-
მიღებული ავანსები		5,168,273	5,168,273
		14,543,435	(15,393,015)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(67,765)	(39,460)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		(1,314,846)	(1,275,915)
გადახდილი პროცენტი		13,621,387	(9,386,320)
წმინდა ფულადი სახსრები დახარჯული ოპერაციულ საქმიანობაში / მიღებული ოპერაციული საქმიანობიდან		(2,800,425)	(12,298,188)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის შეძენა		918,659	54,465
შემოსავალი ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის გაყიდვიდან		-	(847,923)
საინვესტიციო ქონების შეძენა		1,109,842	-
შემოსავალი საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		(76,500)	(10,000)
გაცემული სესხები		11,306	31,000
შემოსავალი გაცემული სესხებიდან		(837,118)	(13,070,646)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		43,241,645	52,090,898
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი სესხებიდან		(50,816,803)	(41,460,724)
სესხების დაფარვა		-	(23,348)
კომპანიის პარტნიორებისთვის გადახდილი დივიდენდები	14	(575,784)	-
კაპიტალის განაწილება აქციონერთა შორის, დივიდენდების გარდა	14	-	11,587,680
აქციონერთა შენატანი კაპიტალში, გარდა აქციების გამოშვება		(8,150,942)	22,194,506
წმინდა ფულადი სახსრები (დახარჯული) / მიღებული ფინანსური საქმიანობიდან		(52,827)	(47,620)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		320,888	630,968
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	4,901,388	320,888
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასასრულს	13		

1 შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია" და მისი ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგებები") მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის" შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიასა" („კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიებისთვის („ჯგუფი").

კომპანია დაფუძნდა 2008 წლის 8 მაისს და მისი ადგილსამყოფელია საქართველო. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც ჩამოყალიბებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია ფოთის საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო ნომრით: 215147874.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის აქციონერებს წარმოადგენდნენ წილის 95%-ის მფლობელი Greenfield Financial Corp ("მშობელი კომპანია"), რეგისტრირებული სეიშელის რესპუბლიკაში და წილის 5%-ის მფლობელი ბატონი ორსტ კოსტა ჯიჩა. იმავე პერიოდის განმავლობაში მშობელი კომპანიის საბოლოო მფლობელი იყო ფიზიკური პირი - შმაგი ქემერტელიძე (100%).

კომპანია წარმოადგენს ორი შვილობილი კომპანიის - შპს „ყვირილა 2007" და შპს „საქართველოს ფეროშენადნობები" - ერთპიროვნულ მფლობელს. შპს „საქართველოს ფეროშენადნობები" არის არაფუნქციორებადი კომპანია. შპს „ყვირილა 2007" ფლობს აგლოკონცენტრატს, რომელსაც ჰყიდის კომპანიაზე.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფი ჩართულია სხვადასხვა ტიპის მანგანუმის ფეროშენადნობების (ფერომანგანუმი, ფეროსილიკომანგანუმი და ფეროსილიციუმი) წარმოებასა და რეალიზაციაში, რომელიც უმეტესწილად იწარმოება იმპორტირებული მანგანუმის მადნის გამოყენებით.

2008 წლის აგვისტოში ჯგუფმა ააშენა პირველი ქარხანა - ნახშირღელეს ფეროშენადნობთა ქარხანა. მოგვიანებით, ჯგუფმა დაამატა ღუმელები და მიაღწია წლიურ საწარმოო სიმძლავრეს 35,000-39,000 ტონას. 2015 წლის ჯგუფმა შეიძინა ფეროშენადნობთა ქარხანა ორხევში, 7,200 ტონა მაქსიმალური საწარმოოსიმძლავრით.

ჯგუფი ასევე ექსპლუატაციას უწევს მექანიკური საამქროსა და საჩამოსხმო საამქროს ორი საინდუქციო ღუმელით, ლითონის ინსტრუმენტების წარმოებისთვის, რომლებიც ძირითადად მანგანუმის შენადნობების წარმოებისთვის გამოიყენება.

მანგანუმის ფეროშენადნობების უმეტესი ნაწილი ექსპორტზე გადის საქართველოდან, ძირითადად ევროკავშირში, დსთ-ში, თურქეთსა და ირანში.

ჯგუფი 88 926 კვ/მ მიწის ნაკვეთს ფლობს ჭიათურის მახლობლად, მასალების მარაგებით ("აგლოკონცენტრატი"), რომელიც შეიცავს მანგანუმს და რომელიც გადამუშავების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას მანგანუმის ფეროშენადნობების წარმოებისთვის.

2019 წელს კომპანიამ ნაწილობრივ დაასრულა ჭიათურაში აგლომერაციის ქარხნის მშენებლობა. ქარხანა პირველად გამოსაცდელად გაიშვა 2019 წლის სექტემბერში და საცდელ რეჟიმში დარჩა 2020 წლის 31 დეკემბრამდე. აგლომერაციის ქარხანა გამოიყენება მანგანუმის მადნის წვრილმანისგან წიდას წარმოებისთვის, რომელიც მასალის სახით გამოიყენება ფეროშენადნობების წარმოებაში.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, ნახშირღელე.

ანგარიშგების წარმოდგენის ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარი, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

2 ჯგუფის საოპერაციოგარემო

საერთაშორისო გარემო. მანგანუმის (Mn) ფეროშენადნობთა ფასები ძალიან ცვალებადია და შეიძლება მნიშვნელოვნად იცვლებოდეს წლის განმავლობაში. ექსპორტი განპირობებულია ფოლადის წარმოებაში მანგანუმის ფეროშენადნობთა მოხმარების დონით, როგორც წესი, ზამთრის სეზონის განმავლობაში, მოთხოვნა მცირდება და ფასებ ეცემა. მაწგანუმის ფეროშეწადნობთა საშუალო ფასი გლობალურად 5% -ით შემცირდა, რაზეც მნიშვნელოვნად იმოქმედა Covid-19 პანდემიამ.

ადგილობრივი გარემო. განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები, როგორიცაა, საქართველო, სწრაფ ცვლილებას განიცდის და მგრძნობიარეა გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიმართ. აღნიშნულის შედეგად, ოპერაციები საქართველოში შეიძლება ექვემდებარებოდეს გარკვეულ რისკებს, რომლებიც როგორც წესი, არაა დაკავშირებული განვითარებულ ბაზრებზე არსებულ რისკებთან. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რიგი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთო საინვესტიციო კლიმატზე.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა Covid-19 პანდემია. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის, ჯგუფის საქმიანობაზე. კომპანიის მმართველობამ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, რათა შეემცირებინა პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ადმინისტრაციული სამსახური გადავიდა დისტანციურ რეჟიმში, ხოლო საწარმოში საოპერაციო პროცესი შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით.

მმართველობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის განვითარება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბიზნეს სექტორზე და ეართო ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენას მოახდენს ისინი ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მმართველობა მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ისტორიული ღირებულების კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. იხილეთ შენიშვნა 5.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული აღრიცხვის შეფასების გამოყენებას. ის აგრეთვე მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ მიმართოს საკუთარ შეფასებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. შეფასების უფრო მაღალ ხარისხისთან ან კომპლექსურობასთან დაკავშირებული სფეროები, ან ის სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, მოცემულია შენიშვნა 4-ში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები. შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ინვესტირების ობიექტებს, სტრუქტურირებული კომპანიების ჩათვლით, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი, რადგანაც ჯგუფს (i) აქვს უფლებამოსილება ხელმძღვანელობა გაუწიოს ინვესტირების ობიექტების შესაბამის საქმიანობას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ შემოსავალზე, (ii) ექვემდებარება ან უფლება აქვს მიიღოს ცვალებადი შემოსავლები ინვესტირების ობიექტებთან ურთიერთობიდან და (iii) შეუძლია ინვესტირების ობიექტებზე თავისი ძალაუფლება გამოიყენოს ინვესტორის მოგებაზე ზემოქმედების მოსახდენად. მატერიალური უფლებების, მათ შორის, მატერიალური პოტენციური ხმის მიცემის უფლებების არსებობა და ზემოქმედება, მხედველობაში მიიღება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს ძალაუფლება სხვა კომპანიაზე. იმისთვის, რომ უფლება მატერიალური იყოს, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს ამ უფლების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა მაშინ, როცა საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება ინვესტირების ობიექტის შესაბამისი საქმიანობის ხელმძღვანელობის შესახებ. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე მაშინაც კი, თუ ის ინვესტირების ობიექტში ხმის უფლების უმრავლესობაზე ნაკლებს ფლობს. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი აფასებს თავისი ხმის უფლებების მოცულობას ხმის უფლების მქონე სხვა პირთა ხმების მოცულობასა და გავრცელებასთან მიმართებაში იმის განსაზღვრისთვის, აქვს თუ არა მას ფაქტიური ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე. სხვა ინვესტორების დაცვითი უფლებები, როგორიცაა, უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირების ობიექტის საქმიანობის ფუნდამენტურ ცვლილებებთან ან რომლებიც მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში გამოიყენება, არ აფერხებს ჯგუფის მიერ ინვესტირების ობიექტის კონტროლს. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია იმ თარიღიდან, როცა კონტროლი გადაეცემა ჯგუფს (შეძენის თარიღი) და დეკონსოლიდირებულია კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი კომპანიების შეძენის აღსარიცხავად. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და ნაკისრი გაუთვალისწინებელი ვალდებულებები ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით და შეძენის თარიღის მდგომარეობით, განურჩევლად აქციათა არასაკონტროლო პაკეტის მოცულობისა.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფი განსაზღვრავს აქციათა არასაკონტროლო პაკეტს, რომელიც წარმოადგენს ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას და მფლობელს ანიჭებს უფლებას წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე ლიკვიდაციის შემთხვევაში, რიგ თანმიმდევრულ გარიგებებთან მიმართებაში: (ა) სამართლიანი ღირებულებით ან (ბ) შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე აქციათა არასაკონტროლო პაკეტში. აქციათა არასაკონტროლო პაკეტი, რომელიც არ წარმოადგენს ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას, განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით.

გუდვილი განისაზღვრება შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების გაქვითვით შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული მთლიანი თანხიდან, შესაძენ კომპანიაში აქციათა არასაკონტროლო პაკეტის თანხიდან და შესაძენ კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებიდან, რომელსაც ფლობს უშუალოდ შეძენის თარიღამდე. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „ხელსაყრელი შეძენა") აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა გადაამოწმებს, განსაზღვრა თუ არა მან ყველა შეძენილი აქტივი და პასივი და ნაკისრი გაუთვალისწინებელი ვალდებულებები და განიხილავს მათი შეფასების მიზანშეწონილობას.

შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული თანხა ფასდება დათმობილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გაცემული წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტებითა და წარმოშობილი ან ნაკისრი ვალდებულებებით, პირობითი ანაზღაურების შესახებ შეთანხმებებიდან აქტივების ან პასივების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ მოიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა, საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასებითი და მსგავსი პროფესიული მომსახურების. შეძენასთან დაკავშირებული და წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების გაცემისას გაწეული ხარჯები იქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში სასესხო ვალდებულებების გაცემისას გაწეული საოპერაციო ხარჯები იქვითება სესხის საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა საოპერაციო ხარჯი ჩამოწერილია ხარჯების სახით.

კომპანიათაშორისი გარიგებები, ბალანსები და არარეალიზებული მოგება ჯგუფის კომპანიებს შორის გარიგებებიდან ლიკვიდირებულია; ასევე ლიკვიდირებულია არარეალიზებული დანაკარგი, სანამ ხარჯი არ იქნება ანაზღაურებული. კომპანია და ყველა მისი შვილობილი კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის ერთიან პოლიტიკას, რომელიც შესაბამისობაშია ჯგუფის პოლიტიკასთან.

აქციათა არასაკონტროლო პაკეტი წარმოადგენს საბოლოო შედეგებისა და შვილობილი კომპანიის საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია აქციათა პაკეტთან, რომელსაც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ ფლობს კომპანია. აქციათა არასაკონტროლო პაკეტი ქმნის ჯგუფის საკუთარი კაპიტალის ინდივიდუალურ კომპონენტს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები - ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. კომპანია, ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, აღრიცხავს როგორც ხარჯს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში. დივიდენდები შვილობილ კომპანიებში აღიარებულია კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მოგებასა ან ზარალში, იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია მის მიერ დივიდენდების მიღების უფლება.

უცხოური ვალუტის გადაყვანა ეროვნულ ვალუტაში. ჯგუფის საოპერაციო ვალუტა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს. ჯგუფის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („GEL“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL“), რომელიც ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. არაფულადი აქტივები და პასივები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში და მითითებულია საწყისი ღირებულებით, გადაყვანილ იქნება ლარში გარიგების თარიღის მდგომარეობით მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. არაფულადი აქტივები და პასივები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში და მითითებულია სამართლიანი ღირებულებით, გადაყვანილ იქნა ლარში მათი სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღების მდგომარეობით მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ფულადი აქტივებისა და პასივების გადაყვანა ხდება ჯგუფის საოპერაციო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, ანგარიშგების პერიოდის შესაბამისი დასრულებისას. უცხოური ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი, რომელიც გარიგებების შესრულებიდან გამომდინარეობს და ფულადი აქტივებისა და პასივების ჯგუფის საოპერაციო ვალუტაში გადაყვანიდან წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, წარმოდგენილია ჯამური შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშის ნაწილში „ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები". უცხოური ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული ყველა სხვა მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგება-ზარალისა ან სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშის ნაწილში „ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები".

გადაყვანა სხვა ვალუტაში წლის ბოლოს მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელიც განისაზღვრება საწყისი ღირებულებით. არაფულადი მუხლები, რომელიც განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, წილობრივი შენატანების ჩათვლით, გადაყვანილ იქნება სხვა ვალუტაში გაცვლითი კურსის შესაბამისად, სამართლიანი

ღირებულების განსაზღვრის თარიღის მდგომარეობით. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზემოქმედება დაფიქსირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულების მოგების ან ზარალის ნაწილი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაგენილი ძირითადი გაცვლით კურსი, რომელიც უცხოური ვალუტის ბალანსების გადასაყვანად გამოიყენებოდა, შეადგენდა 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარს, ხოლო 1 ევრო = 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარს, ხოლო 1 ევრო = 3.2095 ლარს).

ქართული ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ უმეტეს ქვეყნებში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია საბალანსო ღირებულებით, საჭიროებისამებრ, დარიცხული საამორტიზაციო ანარიცხებისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

შემდგომი ხარჯები გათვალისწინებულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ინდივიდუალურ აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ საგანთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური შეღავათები გამოყენებულ იქნება ჯგუფის მიმართ და საგნის ღირებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული. მცირე რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯები ჩამოიწერება მათი გაწევისას. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზებულია, ხოლო შეცვლილი ნაწილი - მოცილებული.

ყოველი ანგარიშგების პერიოდის დასასრულს, ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშნები. ამგვარი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ანაზღაურებელ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის სამართლიანი ღირებულების უმეტესი ოდენობა, მისი გაყიდვის ხარჯებისა და სამომხმარებლო ღირებულების გამოკლებით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად თანხამდე, ხოლო გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი საჭიროებისამებრ იცვლება, თუ ადგილი ჰქონდა გაანგარიშებული პარამეტრების ცვლილებას, რომლებიც გამოიყენება აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

მოგება და ზარალი რეალიზაციიდან განისაზღვრება ამონაგების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლისა ან ხარჯების ნაწილში.

ცვეთა. მიწა, მიმდინარე მშენებლობის ობიექტები და დაუმონტაჟებელი მოწყობილობა არ იცვითება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვადასხვა ნაწილებზე ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდი, აქტივების სხვადასხვა კლასისთვის სხვადასხვა კოეფიციენტების გამოყენებით. ცვეთის ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულების გამრავლებით აქტივის შესაბამისი კლასის ცვეთის კოეფიციენტზე. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის ძირითადი კლასების ცვეთის კოეფიციენტები შემდეგია:

	ცვეთის კოეფიციენტები:
შენობები:	3%
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	8%-10%
სატრანსპორტო საშუალებები	10%
საოფისე და სხვა ტექნიკა	8%-20%

აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან, რეალიზაციის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე იყო იმ ასაკისა და იმ მდგომარეობაში, რომელიც მოსალოდნელი იყო მისი ექსპლუატაციის პერიოდის ბოლოს. აქტივების სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის კოეფიციენტები განიხილება და საჭიროებისამებრ, კორექტირდება ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. ინდივიდუალურად შეძენილი არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება საწყისი აღიარებისას, თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აისახება ღირებულებით, დარიცხული საამორტიზაციო და დარიცხული გაუფასურების ზარალის გარეშე.
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხორციელდება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. არამატერიალური აქტივების ძირითადი კლასების ამორტიზაციის კოეფიციენტები შემდეგნაირად გამოიყურება:

	ამორტიზაციის კოეფიციენტები::
ლიცენზიები	20%
სხვა არამატერიალური აქტივები	20%

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში და გაუფასურებაზე შეფასება ხდება ნებისმიერ დროს, როცა არსებობს იმის ნიშნები, რომ არამატერიალური აქტივი შეიძლება გაუფასურებულ იქნას. შეზღუდული ექსპლუატაციის ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი განიხილება როგორც მინიმუმ ანგარიშგების ყოველი პერიოდის დასასრულს. აქტივის მოსალოდნელი ექსპლუატაციის ვადის ან აქტივში გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური შეღავათების გამოყენების მოსალოდნელი სქემის ცვლილებები მხედველობაში მიიღება ამორტიზაციის პერიოდის ან საჭიროებისამებრ, ამორტიზაციის მეთოდის მოდიფიცირებისთვის და განიხილება, როგორც ცვლილებები საბუღალტრო გაანგარიშებებში. შეზღუდული ექსპლუატაციის ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარებულია ჯამური შემოსავლის ანგარიშში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების ნაწილში, რომელიც

შესაბამისობაშია არამატერიალური აქტივების ფუნქციასთან.
არამატერიალური აქტივის ბალანსიდან ჩამოწერიდან გამომდინარე მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც სხვაობა რეალიზაციიდან შემოსულ წმინდა თანხასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში, როცა ხდება აქტივის ბალანსიდან ჩამოწერა.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომელსაც ფლობს ჯგუფი შემოსავლის მისაღებად საიჯარო შემოსავლიდან ან კაპიტალის ღირებულების ზრდიდან ან ორივედან და რომელიც არ არის დაკავებული ჯგუფის მიერ. საინვესტიციო ქონება მოიცავს მიწას და საოფისე შენობებს.

საინვესტიციო ქონება აისახება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ საინვესტიციო ქონება შეიძლება გაუფასურდეს, ჯგუფი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებად ყველაზე მაღალს აქტივის სამომხმარებლო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, ჩამოწერის ხარჯების გამოკლებით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია ანაზღაურებად ღირებულებამდე წლიურ მოგებასა ან ზარალზე დარიცხვის მეშვეობით. წინა წლებში აღიარებული გაუფასურებით მიღებული ზარალი ანაზღაურებულია თუ შედეგად მოხდა ცვლილება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსასაზღვრავად გამოყენებულ შეფასებებში.

საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხორციელდება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. საინვესტიციო ქონების ძირითადი კლასების ამორტიზაციის კოეფიციენტები შემდეგნაირად გამოიყურება:

	ცვეთის კოეფიციენტები:
შენობები	3%

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ საგანთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური შეღავათები გამოყენებულ იქნება ჯგუფის მიმართ და საგნის ღირებულება შეიძლება რეალურად იქნას შეფასებული. ყველა სხვა რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები ჩამოიწერება მათი გაწევისას. თუ საინვესტიციო ქონება ოკუპირდება მფლობელის მიერ, ხდება მისი გადაკლასიფიცირება ქონებად, მოწყობილობებად და აღჭურვილობად.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება: აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, მოწმდება გაუფასურებაზე იმ შემთხვევებში, როდესაც არსებულ ვითარებაში განვითარებული მოვლენები ან ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ დაექვემდებაროს ანაზღაურებას. გაუფასურებით გამოწვეულ დანაკარგად აღიარებულია თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მისი ანაზღაურების ღირებულებას. ანაზღაურების ღირებულება წარმოადგენს აქტივის ყველაზე მაღალ სამართლიან ღირებულებას, ჩამოწერის ხარჯის და გამოყენების დროს მისი ღირებულების გამოკლებით. გაუფასურების შეფასებისთვის აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეებზე, რომელთათვისაც ხდება მნიშვნელოვანწილად დამოუკიდებელი ფულადი სახსრების შემოდინებები (ფულადის სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების წინა გაუფასურებები („გუდვილის“ გარდა) ანალიზდება შესაძლო ინვერსიაზე ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები-შეფასების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიღებულ იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილ იქნება პასივის გადასაცემად შეფასების თარიღს ბაზრის მონაწილეთა შორის ჩვეულებრივ გარიგებაში. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი წარმოადგენს ბაზარს, რომელზეც აქტივთან ან პასივთან დაკავშირებული გარიგებები ხორციელდება საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, ფასების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად მიმდინარე რეჟიმში.

აქტიურ ბაზარზე საბრუნავი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ფასდება, როგორც ინდივიდუალურიული აქტივისა ან პასივისთვის გამოცხადებული ფასისა და კომპანიის მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ნამრავლი. ეს ასე ხდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არაა საკმარისი არსებული რაოდენობის დასაფარად და დაკვეთების განხორციელებას ერთ გარიგებაში პოზიციის გასაყიდად შეუძლია გავლენის მოხდენა გამოცხადებულ ფასზე.

შეფასების ტექნიკა, როგორიცაა, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები ან ბოლოდროინდელ საბაზრო გარიგებებზე დაფუძნებული მოდელები ან ინვესტირების ობიექტების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, რომელთათვისაც გარე ბაზრის ფასების შესახებ ინფორმაცია არაა ხელმისაწვდომი. სამართლიანი ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება სამართლიან ღირებულებათა იერარქიაში დონის მიხედვით, შემდეგნაირად: (i) პირველი დონე არის შეფასებები გამოცხადებული ფასებით (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა ან პასივებისთვის, (ii) მეორე დონე არის შეფასების ტექნიკა ყველა მატერიალური ხარჯით, რომელიც ფიქსირდება აქტივისთვის ან პასივისთვის, პირდაპირ (ანუ, ფასების სახით) ან ირიბად (ანუ, ფასებიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონის შეფასებები წარმოადგენს შეფასებებს, რომლებიც არაა დაფუძნებული მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე (ანუ, შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან არადაკვირვებად საწყის მონაცემებს).

საოპერაციო ხარჯები წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ განპირობებულია ფინანსური ინსტრუმენტის შეძენით, გაცემით ან განკარგვით. დამატებითი ხარჯი წარმოადგენს ხარჯს, რომელიც არ იქნებოდა გაწეული, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც სავაჭრო აგენტების ფუნქციას ასრულებენ), მრჩევლებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მიერ დაწესებულ მოსაკრებლებს და გადაცემასთან დაკავშირებულ გადასახადებსა და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს სასესხო პრემიებს ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება ("AC") წარმოადგენს თანხას, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარებისას, ძირითადი თანხის დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივებისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანაზღაურების ("ECL") გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებულია თავდაპირველი აღიარებისას და ნებისმიერი პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას, სესხის დაფარვის თანხამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი და დარიცხული პროცენტების ხარჯი, დარიცხული კუპონისა და ამორტიზებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული გადასახდელების ჩათვლით, არსებობის შემთხვევაში), არაა ინდივიდუალურად წარმოდგენილი და გათვალისწინებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დაკავშირებულ საგნების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს შესაბამისი პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი და დარიცხული პროცენტების ხარჯის განაწილების მეთოდს, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღწევად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს გაანგარიშებული სამომავლო ნაღდი ფულის გადახდებისა ან მიღების დისკონტირებას (სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით), ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მოძრაობის დისკონტირებას პროცენტის მომდევნო ფასების გადახედვის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს საკრედიტო მარჟას ინსტრუმენტში მითითებული არაფიქსირებული განაკვეთით ან სხვა ცვალებადი მაჩვენებლებისა, რომლებიც არაა გადაყვანილი საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიებისა ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი ვადის განმავლობაში. ამჟამინდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს კონტრაქტის მხარეთა შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახდელს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საკრედიტო რისკით გაუფასურებული შეძენილი ან წარმოშობილი აქტივებისთვის („POCI“) თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება საკრედიტო რისკის გათვალისწინებით, ანუ ის ითვლება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებისას და არა სახელშეკრულებო გადახდებიდან გამომდინარე.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფიქსირდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად ფიქსირდება სამართლიანი ღირებულებით პლიუს საოპერაციო ხარჯები. სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება გარიგების ფასით. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას ფიქსირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გაყიდვის ფასს შორის არსებობს სხვაობა, რაც შეიძლება დადასტურდეს სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით იმავე ინსტრუმენტში ან შეფასების ტექნიკით, რომლის საწყისი მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ხდება ECL რეზერვის აღიარება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით და ინვესტიციებისთვის დებიტორულ ინსტრუმენტებში, რომლებიც ფასდება FVOCI-თ, რაც იწვევს დაუყოვნებლივ ფინანსურ ზარალს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შეფასების შემდეგი კატეგორიებით: FVTPL, FVOCI და AC. დებიტორული ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს-მოდელზე, დაკავშირებული აქტივების პროტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოქმნის მიზნით - მიუხედავად იმისა, არის თუ არა ჯგუფის მიზანი: (i) აქტივებისგან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება (”ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით”) ან (ii)) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე იმ ფულადი ნაკადების შეგროვება, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების გაყიდვიდან (”ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით და გაყიდვა”), ან,თუ არც (i) და არც (ii) არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც "სხვა" ბიზნეს-მოდელის ნაწილი და იზომება FVTPL- ით.

ბიზნესის მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) მოქმედებების ყველა იმ შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე, რომლებსაც ჯგუფი ახორციელებს შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი პორტფელისთვის

დადგენილი მიზნის მისაღწევად. ჯგუფის მიერ ბიზნეს-მოდელის განსასაზღვრავად გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, დაკვირვებული აქტივებისთვის ფულადი სახსრების ნაკადების შეგროვების, რისკების შეფასების და მართვის, აქტივების ეფექტურობის შეფასების და მენეჯერების ანაზღაურების წარსულ გამოდილებას. ჯგუფის მიერ საკუთარი ფინანსური აქტივების ბიზნეს-მოდელების განსაზღვრისას გამოყენებული კრიტიკული განხილვები იხილეთ შენიშვნა 4- ში.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადის მახასიათებლები. თუ ბიზნეს-მოდელის აქტივების ფლობის მიზანი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებაა, ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობა და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს, წარმოადგენს თუ არა ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს („SPPI“). წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიანი ფინანსური აქტივები განიხილება მთლიანობაში, როდესაც დგინდება თუ რამდენად შეესაბამება მათი ფულადი სახსრები SPPI ფუნქციებს. ამ შეფასების განხორციელებისას, ჯგუფი ითვალისწინებს, შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ძირითად საკრედიტო შეთანხმებებს, ანუ პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა ძირითადი საკრედიტო რისკებისა და მოგების მარჟის გათვალისწინებას.

3. ზუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ სახელშეკრულებო პირობები ქმნის რისკის ან არასტაბილურობის საფრთხეს, რაც არ შეესაბამება თანხის ძირითადი სესხის შეთანხმებებს, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და იზომება FVTPL-ში. SPPI-ს შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი გადაფასება. ჯგუფის მიერ საკუთარი ფინანსური აქტივების SPPI შეფასების განხორციელებისას გამოყენებული კრიტიკული განხილვები იხილეთ შენიშვნა 4-ში.

ფინანსური აქტივები- რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიცირება ხდება მხოლოდ პორტფელის მართვის მოდელის მთლიანად შეცვლის შემთხვევაში. რეკლასიფიკაციას აქვს სავარაუდო ეფექტი და ხორციელდება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც მოსდევს ბიზნეს-მოდელის ცვლილებას. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარებითი პერიოდის განმავლობაში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაციები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ELC საკრედიტო ზარალის ანაზღაურება ჯგუფს აქვს სამი ტიპის ფინანსური აქტივი, რომლებიც ექვემდებარება ECL მოდელს - სავაჭრო დებიტორული დავალიანება, გაცემული სესხები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ჯგუფი მიმართავს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი“ 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც იყენებს სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და გასული დღეების მიხედვით.

შენიშვნა 26 მოიცავს ინფორმაციას შემავალი მონაცემების, დაშვებების და შეფასების მეთოდების შესახებ, რომლებიც გამოყენებულია ECL შეფასებისას, მათ შორისაა განმარტება, თუ როგორ ურთავს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას ECL მოდელებს.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც ჯგუფია ამოწურავს აღდგენის ყველა პრაქტიკულ მცდელობას და ასკვნის, რომ არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების გაუქმების მოვლენას. ჯგუფს შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო საქმიანობას როდესაც ჯგუფი ცდილობს გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები, თუმცა, არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - ბალანსიდან ჩამოწერა. ჯგუფი ბალანსიდან ჩამოწერს ფინანსურ აქტივებს, როდესაც (ა) აქტივები იქნება გამოსყიდული ან აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებების ვადა სხვაგვარად ამოიწურება ან (ბ) ჯგუფი გადასცემს უფლებებს ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე ან დადებს საკვალიფიკაციო სატრანზიტო შეთანხმებას, ამავდროულად (i) აქტივების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უპირატესობის არსებითად გადაცემით ან (ii) საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უპირატესობის გადაცემისა და შენარჩუნების გარეშე, მაგრამ კონტროლის შენარჩუნების გარეშე.
კონტროლის შენარჩუნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარეს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა მიჰყიდოს აქტივი მთლიანად არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ზოგჯერ ჯგუფი ახორციელებს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების გადახედვას ან სხვაგვარ მოდიფიცირებას. შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით, ჯგუფი აფასებს, არსებითია თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგალითად, მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული შემოსავალი), მნიშვნელოვანი ცვლილება საპროცენტო განაკვეთში, ცვლილება ვალუტის დენომინაციაში, ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის

გაზრდა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტიუმთან ასოცირებულ კრედიტის რისკზე ან კრედიტის მნიშვნელოვნად გახანგრძლივება, როდესაც მსესხებელი არ განიცდის ფინანსურ სირთულეებს.

თუ შეცვლილი პირობები არსებითად განსხვავდებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი სახსრების მოძრაობის უფლება იწურება, ჯგუფი წყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და აღიარებს ახალ აქტივს მისი სამართლიანი ღირებულებით. ხელმეორე გადახედვის თარიღად ითვლება საწყისი აღიარების თარიღი გაუფასურების გაანგარიშების შემდგომი მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას (SICR). ჯგუფი ასევე აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ახალი სესხი ან სასესხო ინსტრუმენტი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) კრიტერიუმს. ნებისმიერი სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი საწყისი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, არსებითად მოდიფიცირებული აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაობა მიეკუთვნება მფლობელებთან გარიგებას კაპიტალთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადახედვა განპირობებული იქნა მეორე მხარის ფინანსური სირთულეებისა და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების შეუძლებლობის გამო, ჯგუფი ადარებს თავდაპირველ და შესწორებულ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან, რათა განსაზღვროს აქტივის რისკები და სარგებელი არსებითად განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან სახელშეკრულებო მოდიფიკაციის გამო. ხელშეკრულების მოდიფიკაცია. თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, შეცვლილი აქტივი არსებითად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისაგან და მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფი

3. ზუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

ახდენს მთლიანი საბალანსო ღირებულების გადაანგარიშებას შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირების საშუალებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტის გათვალისწინებით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთით POCI ფინანსური აქტივებისთვის) და აღიარებს მოდიფიკაციით განპირობებულ სარგებელს ან ზარალს მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში AC- ს მიხედვით შეფასებული, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებებისა FVTPL–ში: აღნიშნული კლასიფიკაცია გამოიყენება დერივატივებისთვის, ვაჭრობისთვის დაკავებულ ფინანსური ვალდებულებებისთვის (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიციები), შემსყიდველის მიერ ბიზნეს-კომბინაციაში აღიარებული პირობითი ანაზღაურებისთვის და სხვა ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ამგვარადაა დადგენილი თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სესხის ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - ბალანსიდან ჩამოწერა. ფინანსური ვალდებულებები ბალანსიდან ჩამოიწერება მათი ამოწურვისთანავე (ე.ი. როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმებულია ან ამოწურულია).

ჯგუფსა და თავდაპირველ კრედიტორებს შორის სასესხო ინსტრუმენტების გაცვლა არსებითად განსხვავებული პირობებით, აგრეთვე არსებული ფინანსური ვალდებულებების ვადებისა და პირობების არსებითი შეცვლა, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავდება იმ შემთხვევაში თუ ახალი პირობების შესაბამისად, ფულადი სახსრების ნაკადების ფასდაკლებული წარდგენილი ღირებულება, მათ შორის, ნებისმიერი ნეტო მოსაკრებელი ორიგინალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მიღებულ და ფასდაკლებულ ნებისმიერი გადასახადებზე, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ნარჩენი ფულადი სახსრების ნაკადების წარდგენილი ფასდაკლებული ღირებულებისგან. ამასთან, გათვალისწინებულია სხვა თვისებრივი ფაქტორები, მაგალითად ვალუტა, რომელშიც დენომინირებულია ინსტრუმენტი, საპროცენტო განაკვეთის ტიპში ცვლილებები, ინსტრუმენტზე მიმაგრებული ახალი კონვერტაციის თვისებები და საკრედიტო შეთანხმებებში ცვლილებები. თუ დებიტორული ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა ითვლება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია როგორც დაფარვის მოგების ან ზარალის ნაწილი. თუ გაცვლა ან მოდიფიკაცია არ არის აღრიცხული, როგორც დაფარვა, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადახდილი გადასახადი აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება შეცვლილი ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.
ვალდებულებების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება როგორც ცვლილება გამოთვლაში, კუმულატიური მიახლოების მეთოდით, მოგებასა და ზარალში აღიარებული ნებისმიერი მოგებითა ან ზარალით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებში სხვაობის ეკონომიკური შინაარსი მიეკუთვნება კაპიტალთან დაკავშირებულ გარიგებებს მფლობელებთან.

FVTLV-ში მითითებული ფინანსური ვალდებულებები ჯგუფს, FVTPL-ს მიხედვით, შეუძლია მიუთითოს გარკვეული ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას. ასეთ ვალდებულებებზე მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში, გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობისა, რომელიც განპირობებულია ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით (განისაზღვრება როგორც ის ოდენობა, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს საბაზრო პირობების ცვლილებებს, რომლებიც ზრდის საბაზრო რისკს), რომელიც აღირიცხება OCI– ში და შემდგომში არ ხდება მისი რეკლასიფიცირება მოგებად ან ზარალად. აღნიშნული ხორციელდება თუ ასეთი პრეზენტაცია არ შექმნის ან არ გაზრდის საბუღალტრო შეუსაბამობას, რომელ

შემთხვევაშიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებთან დაკავშირებული მოგება და ზარალი ასევე წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთჩათვლას ექვემდებარება და წმინდა თანხა დაფიქსირდება მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს აღიარებული თანხების ჩათვლის იურიდიულად დაცული უფლება და არსებობს ურთიერთჩათვლის განხორციელების ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულების დაფარვის განზრახვა. ამგვარი ჩათვლის უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიული ძალა უნდა ჰქონდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობისას, (ii) მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს, მოთხოვნამე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს თავდაპირველი დაფარვის ვადით სამი თვე ან ნაკლები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით (AC), რადგან: (i) ისინი იმართება სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადების შეგროვებისთვის და ეს ფულადი სახსრების ნაკადები წარმოადგენს SPPI- ს, და (ii) ისინი არ არის მითითებული FVTPL–ში. მხოლოდ ისეთი კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციები, როგორიცაა რესტრუქტურიზაციის შესახებ კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, არ ახდენს გავლენას SPPI ტესტზე, თუ ისინი იმგვარად არაა შესული ხელშეკრულების პირობებში, რომ აღნიშნულმა ფუნქციამ იმოქმედოს კანონმდებლობაში შემდგომი ცვლილებების შემთხვევაშიც.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით (AC), ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება. სავაჭრო საკრედიტო დავალიანების დარიცხვა ხდება, როცა მეორე მხარე შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის მოვალეობებს და როცა ეს დავალიანება თავდაპირველად აღიარებულ იქნება სამართლიანი

სესხები და კრედიტები. სესხები და კრედიტები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, გაწეული საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საშემოსავლო გადასახადები. საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში ანგარიშგების პერიოდის დასასრულს ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელთა მიხედვითაც კომპანიებს (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვეო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ღომბარდებისა) არ მოუწევთ მოგებაზე საშემოსავლო გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ აღნიშნული მოგება განაწილებულია ან ითვლება განაწილებულად დივიდენდის ფორმით. საშემოსავლო გადასახადის 15% გადახდა ხდება მთლიან ღირებულებაზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები გაერთიანებული უნდა იქნას 5% დაკავებული გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაყოფილი იქნას 0.85-ზე), ფიზიკური პირებისთვის და არა-რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდების გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადებისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მიღებულ შემოსავალზე დარიცხული დივიდენდები ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადის დარიცხვას მთლიან ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც გამოცხადებული ან დასაბეგრ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის წილი იმავე პერიოდის ჯამურ წმინდა მოგებასთან შედარებით, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაკისრებულ ფაქტიურ საშემოსავლო გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება საშემოსავლო გადასახადის ხარჯის სახით იმ პერიოდში, როცა გამოცხადდება დივიდენდები, განურჩევლად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი ექვემდებარება გადახდას გაწეულ ხარჯებსა და სხვა გადახდილ თანხებზე, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივებისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა საავანსო თანხა, გადახდილი კომპანიებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულია იმ იურისდიქციებში, რომლებსაც შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი აქვთ და სხვა გარკვეული ოპერაციები ამგვარ კომპანიებთან, ასევე ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხები დაუყოვნებლივ იბეგრება. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლისგანაც გაქვითულია საგადასახადო შეღავათები, რომლებიც მოთხოვნილია აქტივებზე ან იმ კომპანიებისთვის გადახდილი საავანსო თანხების სანაცვლოდ მიღებულ მომსახურებაზე, რომლებიც რეგისტრირებულია იმ

იურისდიქციებში, რომლებსაც შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი აქვთ ან ფიზიკური პირებისა ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხების დაბრუნება ფიქსირდება გადასახადებში, გარდა საშემოსავლო გადასახადისა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების ხელახალი შეფასება ხდება ხელმძღვანელობის მიერ ყოველი ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. ვალდებულებები ფიქსირდება საშემოსავლო გადასახდის პოზიციებისთვის, რომლებიც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომლებიც მეტი ალბათობით გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ პოზიციები ეჭვქვეშ უნდა ყოფილიყო დაყენებული საგადასახადო ორგანოების მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედებულია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების პერიოდის დასასრულს და ამგვარ საკითხებზე სასამართლოს ან ნებისმიერ სხვა ცნობილ გადაწყვეტილებას. პასუხისმგებლობა ჯარიმებზე, პროცენტსა და გადასახადებზე, გარდა საშემოსავლო გადასახადისა, აღიარებულია ანგარიშგების პერიოდის დასასრულს ვალდებულებების დასაფარად საჭირო დანახარჯების ხელმძღვანელობის საუკეთესო გაანგარიშებაზე დაყრდნობით. გაურკვეველი საშემოსავლო პოზიციების კორექტირებები ფიქსირდება საშემოსავლო გადასახადის ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. პროდუქციის რეალიზაციისას დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან, ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას მომხმარებლებისთვის საქონლისა ან მომსახურების მიწოდებისას. პროდუქციის რეალიზაციისას დამატებული ღირებულების გადასახადი, როგორც წესი, ანაზღაურებადია პროდუქციის რეალიზაციისას დამატებული ღირებულების მიმართ, დღგ ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს დაფარვის ნებას რთავენ ურთიერთჩათვლის საშუალებით. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებული და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ურთიერთჩათვლის საშუალებით. თუ გათვალისწინებულია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი ფიქსირდება მევალის მთლიანი თანხისთვის, დღგ ჩათვლით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები მითითებულია ღირებულებასა და რეალიზაციის წმინდა ღირებულებას შორის უმცირესი ოდენობით. ინვენტარიზაციის ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მნიშვნელობის საფუძველზე. მზა პროდუქციის ღირებულება მოიცავს შესყიდვის ხარჯებსა და შესყიდვის ფასს, საიმპორტო მოსაკრებელსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დამუშავების ხარჯებს და ნებისმიერ სხვა პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს,

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო ფასდაკლებების, შეღავათებისა და მსგავსის გამოკლებით, რომელიც გაწეულია სასაქონლო-მატერიალური მარაგების მიტანისას მათ ამჟამინდელ ადგილსა და მდგომარეობაში.

ყოველი ანგარიშგების თარიღისას, ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისას, საბალანსო ღირებულება მცირდება მის რეალიზაციის წმინდა ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურებით გამოწვეული ზარალი დაუყოვნებლივ იქნება აღიარებული მოგებასა ან ზარალში.

წინსწრებით გადახდები. წინსწრებით გადახდები ხორციელდება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინსწრებით გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც არა-მიმდინარე, თუ წინსწრებით გადახდასთან დაკავშირებული საქონლისა ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ ან თუ წინსწრებით გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავად იქნება კლასიფიცირებული, როგორც არა-მიმდინარე, თავდაპირველი აღიარებისას. წინსწრებით გადახდები აქტივების შესაძენად გადაირიცხება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მიღების შემდეგ და არსებობს იმის ალბათობა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური პრივილეგიები მიენიჭება ჯგუფს. სხვა წინსწრებით გადახდების ჩამოწერა ხდება მოგებასა ან ზარალზე, როცა მიღებულია წინსწრებით გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ წინსწრებით გადახდებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, წინსწრებით გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოწერილია, ხოლო გაუფასურებით გამოწვეული შესაბამისი ზარალი აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. ჯგუფის გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის პარტნიორების მიერ. ცვლილებები ჯგუფის გამოცხადებულ კაპიტალში შეტანილ იქნება მხოლოდ ჯგუფის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები ფიქსირდება დავალიანების სახით და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან ინ პერიოდში, როცა ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ანგარიშგების პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად უფლებამოსილების მინიჭებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი მითითებულია შემდგომ მოვლენათა შენიშვნაში (შენიშვნა30).

რეზერვები ვალდებულებებისა და დარიცხვებისთვის. ვალდებულებისა და დარიცხვების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროის და ოდენობის არაფინანსური ხასიათის ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება, არსებობს ალბათობა იმისა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის საიმედო შეფასების განხორციელება. რეზერვები ფასდება ხარჯების მიმდინარე სიდიდით, რომელთა გაღებაც მოსალოდნელია, რომ საჭირო

გახდება ვალდებულების დასაფარად გადასახადის გადახდამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. რეზერვის ზრდა დროის განმავლობაში აღიარებულია, როგორც გასავალი ფინანსურ ხარჯებში.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი წარმოადგენს ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის დროს შემოდინებულ თანხას. შემოსავალი აღიარებულია გარიგების ფასის ოდენობით. გარიგების ფასი არის იმ ანაზღაურების ოდენობა, რომლის მიღების უფლებას ჯგუფი ვარაუდობს მომხმარებლისთვის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარეების სახელით შეგროვებული თანხების გამოკლებით.

შემოსავლის აღიარება ხდება ფასდაკლების, დაბრუნებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

საქონლის გაყიდვები. გაყიდვების აღიარება ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემის მომენტში, როდესაც საქონელი მიწოდება მომხმარებელს ან გადამზიდავს, მომხმარებელს აქვს საქონლის სრულად განკარგვის უფლება, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. საქონელი ითვლება ადგილზე მიტანილად, როდესაც საქონელი ტრანსპორტირებულია კონკრეტულ ადგილზე ან მიწოდებულია გადამზიდავისთვის, შეფერხებისა და ზარალის რისკი გადაცემულია მომხმარებლისთვის, ან როდესაც მომხმარებელმა მიიღო საქონელი ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების შესახებ დებულებებმა ძალა დაკარგა, ან ჯგუფს აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

არ ითვლება რომ წარმოდგენილია დაფინანსების ელემენტი, ვინაიდან გაყიდვები ხორციელდება 30-დღიანი ვადის მქონე საკრედიტო პერიოდში, რაც შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას. დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება ტვირთის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, რადგან გადახდის ვადის დადგომას მხოლოდ დრო აშორებს.

მომსახურების გაყიდვა. ჯგუფი ახორციელებს მომსახურებას ფიქსირებული და ცვლადი ფასების ხელშეკრულებების საფუძველზე. მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომლის დროსაც ხდება მომსახურების გაწევა. ფიქსირებული ფასის ხელშეკრულებებისთვის შემოსავალი აღიარებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მიწოდებული ფაქტობრივი მომსახურების საფუძველზე, მთლიანი გასაწევი მომსახურების პროპორციულად, რადგან მომხმარებელი იღებს და იყენებს სარგებელს ერთდროულად. აღნიშნული განისაზღვრება მოსალოდნელ სამუშაო საათებთან შედარებით ფაქტიურად გახარჯული სამუშაო საათების საფუძველზე.

როდესაც კონტრაქტები მოიცავს მრავალჯერადი შესრულების ვალდებულებებს, გარიგების ფასი გამოიყოფა თითოეული ცალკეული

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

შესრულების ვალდებულებაზე, ცალკეული გაყიდვების ფასების საფუძველზე. იქ, სადაც ეს უშუალოდ არ შეინიშნება, ისინი ფასდება მოსალოდნელი ღირებულების და ფასს პლიუს მარჟის საფუძველზე.

თუკი გარემოებები შეიცვლება, შემოსავლების, ხარჯების ან შესრულების პროგრესის ხარისხი გადაიხედება დასრულებამდე. შემოსავლის ან ხარჯების ნებისმიერი გამოწვეული ზრდა ან შემცირება აისახება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გადახედვის საჭიროების წარმომქმნელი გარემოებები ცნობილი ხდება მენეჯმენტისთვის.

ფიქსირებული ფასის ხელშეკრულების შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ თანხას გადახდის გრაფიკის საფუძველზე. თუ ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურებები აღემატება გადახდას, ხდება სახელშეკრულებო აქტივის აღიარება. თუ გადახდები აღემატება გაწეულ მომსახურებას, ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება.

თუ ხელშეკრულებაში შედის საათობრივი გადასახადი, შემოსავალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლის ინვოისის სახით წარდგენის უფლებაც აქვს ჯგუფს. მომხმარებლებს ინვოისი ეგზავნებათ ყოველთვიურად, ხოლო ანაზღაურების გადახდა ხდება ინვოისის წარდგენის შემდეგ.

თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს ცვალებად ანაზღაურებას, შემოსავალი აღიარდება მხოლოდ იმ ხარისხით, რომლითაც სავარაუდოა, რომ არ მოხდება ამგვარი ანაზღაურების მნიშვნელოვანი უკუქცევა.

ანაზღაურებები თანამშრომლებისთვის. ხელფასი, საქართველოს საპენსიო ფონდში შესატანი თანხები, წლიური შვებულებისა და ბიულეტენის თანხა, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, რომელშიც ხდება ჯგუფის შესაბამისი თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურების გაწევა. ჯგუფს არ აქვს იურიდიული ან ტრადიციული ვალდებულება პენსიის ან მსგავსი დახმარების გადახდაზე. გარდა კანონით დადგენილი შენატანების სქემის გადასახადებისა.

ფინანსური ანგარიშების შესწორება მათი გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ამ ფინანსურ ანგარიშებში გამოშვების შემდეგ საჭიროებს ჯგუფის ხელმძღვანელობის თანხმობას, რომელიც ანიჭებს უფლებასმოსილებას ამ ფინანსური ანგარიშების გამოშვებაზე.

4. კრიტიკული საბუღალტრო გაანგარიშებები და მსჯელობები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს გაანგარიშებებსა და ვარაუდებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. გაანგარიშებები და მოსაზრებები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, სამომავლო მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, რომლებიც მიჩნეულია გონივრულად მოცემულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე გამოთქვამს გარკვეულ მოსაზრებებს, გარდა იმისა, რაც მოიცავს გაანგარიშებებს, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და გაანგარიშება, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

ECL-ის (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის) შეფასება. ECL-ის შეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან გათვლას რომელიც მოიცავს განსაზღვრის მეთოდოლოგიას, მოდელებს და მონაცემთა შეყვანას. ECL-ის შეფასების მეთოდოლოგია გამჟღავნებულია შენიშვნა 26- ში. საკრედიტო ზარალის რეზერვზე ძირითად გავლენას ახდენენ შემდეგი კომპონენტები: დეფოლტის განსაზღვრა და SICR. ჯგუფი რეგულარულად იხილავს და ამოწმებს მოდელებს და მათ შემავალ მონაცემებს, რათა შემცირდეს სხვაობები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და პრაქტიკაში არსებულ ფაქტიურ საკრედიტო ზარალს შორის. ჯგუფმა გამოიყენა დამტკიცებული საპროგნოზო ინფორმაცია ECL-ის შეფასებისთვის, პირველ რიგში, საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის შედეგი. ვინაიდან კომპანია საქონლის უმეტეს ნაწილს ექსპორტზე აგზავნის სხვადასხვა ქვეყნებში, საპროგნოზო შეფასებას არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ECL-ზე.

ბიზნეს-მოდელის შეფასება. ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ხელმძღვანელობამ, ბიზნეს-მოდელის შეფასებისას გამოიყენა მსჯელობა ფინანსური პორტფელების აგრეგირების დონის განსაზღვრისას. გაყიდვის გარიგებების შეფასებისას, ჯგუფმა გაითვალისწინა მათი ისტორიული სიხშირე, ვადები და ღირებულება, გაყიდვების მიზეზები და მოლოდინები სამომავლო გაყიდვებიდან. კრედიტუნარიანობის გაუარესების გამო პოტენციური ზარალის მინიმიზაციისკენ მიმართული გაყიდვების გარიგებები ითვლება ბიზნეს-მოდელის „აქტივების დაკავება ფულადი სახსრების მიღებისთვის“ შესაბამისად. სხვა გაყიდვები დაფარვის ვადამდე, რომლებიც არ არის დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვასთან, ასევე შეესაბამება ბიზნეს-მოდელს „აქტივების დაკავება ფულადი სახსრების მიღებისთვის“, იმ პირობით, რომ ისინი ისინი არ არის ხშირი ან უმნიშვნელო ღირებულებისაა როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლიობაში. ჯგუფი აფასებს გაყიდვების გარიგებების მნიშვნელოვნებას გაყიდვების ღირებულების შედარებით პორტფელის ღირებულებასთან, ამ უკანასკნელის საშუალო მოქმედების ვადის განმავლობაში ბიზნეს-მოდელის შეფასების გათვალისწინებით. ამასთან, ფინანსური აქტივების გაყიდვები, რომლებიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესული სცენარის განვითარების პირობებში, ან იმ ცალკეული მოვლენის საპასუხოდ, რაც ჯგუფის კონტროლის ფარგლებს სცილდება, არ მეორდება და არ შეიძლება მოსალოდნელი იყოს ჯგუფისთვის, ბიზნეს-მოდელის მიზნისთვის განიხილება როგორც შემთხვევითი და არ ახდენს გავლენას შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

4. კრიტიკული საბუღალტრო გაანგარიშებები და მსჯელობები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას

ბიზნეს-მოდელი „აქტივების დაკავება ფულადი სახსრების მიღებისთვის" ნიშნავს, რომ აქტივები კავდება ფულადი ნაკადების მისაღებად, მაგრამ გაყიდვა ასევე განუყოფელი ნაწილია ბიზნეს-მოდელის მიზნის მისაღწევად, როგორიცაა ლიკვიდურობის საჭიროებების მართვა, გარკვეული შემოსავლიანობის მიღწევა ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევა იმ ვალდებულებების ხანგრძლივობაზე, რომლებიც აფინანსებს აღნიშნულ აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებული იქნა, როგორც დაკავებულები ფულადი სახსრების მისაღებად.

ძირითადი საწარმოო საშუალებების და მოწყობილობის ექსპლუატაციის ვადა. ძირითადი საწარმოო საშუალებებისა და მოწყობილობის ექსპლუატაციის ვადის გაანგარიშება განხილვის საგანს წარმოადგენს მსგავსი აქტივებით გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენების საშუალებით ხორციელდება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ ექსპლუატაციის ვადას აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ სავარაუდო პერიოდის შესაბამისად, რომელშიც მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანს ჯგუფს. გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე, და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება;

თუ სავარაუდო ექსპლუატაციის ვადები 10%-ით განსხვავდება ხელმძღვანელობის გაანგარიშებებისგან, ზემოქმედება ამორტიზაციაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, იქნება მისი გაზრდა/შემცირება 162,328 ლარით (2019: 141,55 ლარით).

5. განახლებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

COVID-19–თან დაკავშირებული ქირავნობის შეღავათები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 16-ის შესწორება, რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც 2020 წლის 1 ივნისს ან მას შემდეგ იწყება. შესწორება მოიჯარეობას ათავისუფლებს სურვილისამებრ გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, არის თუ არა COVID-19– თან დაკავშირებული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარეებს შეუძლიათ აირჩიონ ქირაზე შეღავათების აღრიცხვა ისევე, როგორც ეს არ იქნება იჯარის ცვლილებები. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ ქირაზე შეღავათებზე, რომლებიც წარმოიქმნება COVID-19 პანდემიის უშუალო შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: იჯარის გადახდის ცვლილება იწვევს იჯარის შესწორებულ ანაზღაურებას, რაც არსებითად იგივეა, ან ნაკლებია, იჯარის ანაზღაურებაზე ცვლილების წინ უშუალოდ; იჯარის გადახდის ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისამდე ან ადრე გადახდაზე; და არ ხდება არსებითი ცვლილება იჯარის სხვა ვადებსა და პირობებში.

2020 წელს ჯგუფს არ ქონდა COVID-19–ით დაკავშირებული ქირა, რის გამოც ცვლილებების გამოყენებამ არ იქონია გავლენა როგორც საიჯარო ვალდებულებაზე, ასევე სარგებლობის უფლებით აქტივზე.

შემდეგი შესწორებული სტანდარტები ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არ აქვს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფზე:

- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოში (გამოქვეყნებულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- ბიზნესის განმარტება - ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3 (გამოქვეყნებულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შესყიდვებისათვის წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- მატერიალურობის განმარტება - ცვლილებები IAS 1-სა და IAS 8-ში (გამოქვეყნებულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ).
- საპროცენტო განაკვეთის საორიენტაციო რეფორმა - ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9, IAS 39 და ფინანსური ანგარიშგებიის საერთაშორისო სტანდარტი 7 (გამოქვეყნებულია 2019 წლის 26 სექტემბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ

6 სიახლეები ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში

გამოშვებულ იქნება გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მოგვიანებით და რომელიც ჯგუფს ადრე არ მიუღია.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის პარტნიორს და მასთან დაკავშირებულ ან ერთობლივი საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოიცა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შედის სსბსტ-ს მიერ განსაზღვრული თარიღით ან მოგვიანებით დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს შესწორებები მიმართულია ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობების აღმოფხვრისკენ, ინვესტორსა და მის ასოციებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვისას ან კონტრიბუციისას. შესწორების მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ სრული მოგების ან ზარალის აღიარება ხდება, როდესაც ოპერაციაში ჩართულია ბიზნესი. ნაწილობრივი ზარალი ან მოგება აღიარებულია, როცა ოპერაცია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, როდესაც მათი მფლობელი შვილობილი კომპანიაა. ჯგუფი მიმდინარე პერიოდში აფასებს შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17, "სადაზღვევო კონტრაქტები" (გამოშვებული 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია პერიოდებისთვის, რომლებიც 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ იწყება). ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17 ანაცვლებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს 4, რომელმაც კომპანიებს მისცა ნებართვა განახორციელონ ბუღალტრული აღრიცხვა სადაზღვევო კონტრაქტებისთვის არსებული პრაქტიკის გამოყენებით. ამის შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო სხვადასხვანაირად შეგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17 წარმოადგენს ერთიან პრინციპზე დაფუძნებულ სტანდარტს ყველა ტიპის სადაზღვევო
კონტრაქტების აღრიცხვისთვის, გადაზღვევის კონტრაქტების ჩათვლით, რომლებიც მზღვეველს აქვს. სტანდარტი ითვალისწინებს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების აღიარებასა და შეფასებას: (i) სამომავლო ფულადი საშუალებების (შესრულების ფულადი საშუალებების) რისკებზე კორექტირებული ამჟამინდელი ღირებულებით, რომელიც მოიცავს მთელ ხელმისაწვდომ ინფორმაციას შესრულების ფულადი საშუალებების შესახებ უტყუარ საბაზრო ინფორმაციასთან შესაბამისობაში; პლუს (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან მინუს (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს მიუღებელ მოგებას კონტრაქტების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფიდან მათ მიერ სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფის პერიოდის განმავლობაში და როცა ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან გახდება ზარალის გამომწვევი, ორგანიზაცია დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურაში შეტანილი შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). შესწორებული კონცეპტუალური სტრუქტურა მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებებს; გაუმჯობესებულ განსაზღვრებებს და სახელმძღვანელო მითითებებს - კერძოდ, ვალდებულების განსაზღვრას; და განმარტებებს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა მართვის, სიფრთხილის და შეფასების განუსაზღვრელობის როლი ფინანსურ ანგარიშგებაში

ბიზნესის განსაზღვრება - ფასს 3-ის შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). შესწორებები განიხილავს ბიზნესის განსაზღვრებას. ბიზნესში უნდა ფიგურირებდეს წარმოების ხარჯები და არსებითი პროცესი, ხოლო ორივემ ერთად შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი შედეგის მიღწევაში. ახალი სახელმძღვანელო მითითებები უზრუნველყოფს საფუძველს იმისათვის, რომ განისაზღვროს თუ როდის აქვს ადგილი საწარმოო ხარჯებსა და არსებით პროცესს, მათ შორის ახლად ჩამოყალიბებული კომპანიებისთვის, რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ შედეგისთვის. იმ შემთხვევაში თუ ჯერ არ მიღწეულა შედეგი, ორგანიზებული სამუშაო ძალა უნდა იყოს წარმოდგენილი ბიზნესად კლასიფიკაციის პირობად. ტერმინი „შედეგი“ შეზღუდულად არის განსაზღვრული, რათა ყურადღება გამახვილდეს მომხმარებლისთვის მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებებზე, რომლებიც ქმნიან საინვესტიციო და სხვა შემოსავალს, და ეს გამორიცხავს შემოსავლებს ქვედა ხარჯების და სხვა ეკონომიკური სარგებელის სახით. ასევე, აღარ წარმოადგენს აუცილებლობას იმის შეფასება, შეუძლიათ თუ არა ბაზრის მონაწილეებს ნაკლული ელემენტების ჩანაცვლება ან საქმიანობების შეძენილი სახეობების და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს „ტესტი კონცენტრირებაზე“. შეძენილი აქტივები ვერ წარმოადგენენ ბიზნესს თუ შეძენილი მთლიანი აქტივების პრაქტიკულად ყველა სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). შესწორებები პერსპექტიულია და ჯგუფი გამოიყენებს მათ და შეაფასებს მათ გავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

მატერიალურობის განსაზღვრება - ბასს 1-ის და ბასს 8-ის შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). შესწორებები განმარტავს მატერიალურობას და მისი გამოყენების საშუალებებს, განსაზღვრების სახელმძღვანელო მითითებებში შეტანით, რომელიც ფასს-ის სხვა ნაწილებში აქამდე ყველგან ფიგურირებდა. ამასთან, განსაზღვრების თანმხლები განმარტებები გაუმჯობესდა. საბოლოოდ, ჩასწორებები უზრუნველყოფენ მატერიალურობის განსაზღვრების შესაბამისობას ყველა ფასს სტანდარტთან. ინფორმაცია მნიშვნელოვანია, თუ მისი გამოტოვება, არასწორი გადმოცემა ან ბუნდოვანება სავარაუდოდ დასაბუთებულად მოახდენს გავლენას გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებენ ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების ძირითადი მომხმარებლები იმ ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ. ჯგუფი ამჟამად აფასებს

7 **ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ**
[illegible]ორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

. **სიაბლეებიბენჩმარკის რეფორმა (გაგრძელება)**

[illegible]პროცენტო განაკვეთის ბენჩმარკების რეფორმა - ფასს 9-ის, ბასს 39-ის, ფასს 7-ის შესწორებები (გამოშვებულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). შესწორებების განხორციელება განპირობებული იქნა ბენჩმარკის საპროცენტო განაკვეთების შეცვლით, როგორიცაა LIBOR და სხვა ბანკთაშორისი შეთავაზებული საპროცენტო განაკვეთები ("IBORs"). შესწორებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებას ჰეჯირების ურთიერთობებზე, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR რეფორმა. ფულადი სახსრების მოძრაობის ჰეჯირების აღრიცხვა, როგორც ფასს 9-ის, ასევე ბასს 39-ის თანახმად, მოითხოვს, რომ მომავალი ჰეჯირებული
ფულადი ნაკადები იყოს „მაღალი ალბათობით სავარაუდო". როდესაც ეს ფულადი სახსრები დამოკიდებულია IBOR-ზე, შესწორებებით გათვალისწინებული შეღავათი მოითხოვს სუბიექტისგან ვარაუდს, რომ საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ემყარება ჰეჯირებული ფულადი ნაკადები, არ იცვლება რეფორმის შედეგად. ბასს 39 და ფასს 9 საჭიროებს პერსპექტიული შეფასების შეფასებას ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი სახსრების ნაკადები IBOR და IBOR ჩანაცვლების კურსის თანახმად, ამჟამად ექვივალენტურია, რაც მინიმუმამდე ამცირებს არაეფექტურობას, შესაძლოა ეს აღარ მოხდეს, რადგან რეფორმის თარიღი მიახლოვდება. ცვლილებების თანახმად, ერთეულმა შეიძლება გაითვალისწინოს, რომ IBOR-ის რეფორმა არ შეცვლის საპროცენტო განაკვეთის ნიშნულს, რომელსაც ემყარება ჰეჯირებული საგნის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები. მაშინ, როდესაც მიმდინარე პერიოდში მოსალოდნელია, რომ ფულადი სახსრების ნაკადები IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების კურსის მიხედვით, მთლიანობაში ექვივალენტური იქნება, რაც მინიმუმამდე ამცირებს არაეფექტურობას, შესაძლოა აღნიშნულს ადგილი აღარ ჰქონდეს, რადგან ახლოვდება რეფორმის თარიღი. შესწორებების თანახმად, საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ IBOR-ის რეფორმა არ შეცვლის საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკს, რომელსაც ემყარება ჰეჯირებული საგნის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები. IBOR–ის რეფორმამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს ჰეჯირების ბასს 39–ით გათვალისწინებული რეტროსპექტიული ტესტის მიერ მოთხოვნილი 80–125%–იანი დიაპაზონის ფარგლებს გარეთ მოხვედრა. შესაბამისად, ბასს 39–ში შევიდა შესწორებები, რეტროსპექტიული ეფექტურობის ტესტისთვის გამონაკლისის უზრუნველსაყოფად, რომლის მიხედვით, ჰეჯირება არ წყდება IBOR–თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდში, მხოლოდ იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა ამ დიაპაზონს სცილდება. ამასთან, ჰეჯირების აღრიცხვის სხვა მოთხოვნები, მათ შორის სავარაუდო შეფასებისაც, მაინც უნდა დაკმაყოფილდეს. ზოგიერთ ჰეჯირებაში, ჰეჯირების ობიექტი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR-ის რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ნახსენები ხელშეკრულებაში. იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას ჰეჯირების აღრიცხვა, ფასს 9 და ბასს 39 მოითხოვს, რომ განსაზღვრული რისკის კომპონენტი იყოს ცალკე იდენტიფიცირებადი და საიმედოდ გაზომვადი. შესწორებების თანახმად, რისკის კომპონენტი ცალკე იდენტიფიცირებადი უნდა იყოს მხოლოდ თავდაპირველი ჰეჯირებისას და არა მუდმივად. მაკროჰეჯირების კონტექსტში, როდესაც საწარმო ხშირად ახდენს ჰეჯირების ურთიერთობის გადატვირთვას, გამოთავისუფლება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ჰეჯირების ობიექტი თავდაპირველად განისაზღვრება ამ ჰეჯირების ურთიერთობაში. ჰეჯირების ნებისმიერი არაეფექტურობა კვლავ აღირიცხება მოგებასა და ზარალში, ბასს 39–ისა და ფასს 9–ის თანახმად. ცვლილებები ადგენს პირობას იმისა თუ როდის უნდა დასრულდეს გამოთავისუფლება, რაც, მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის უკვე აღარ არსებული რეფორმიდან გამომდინარე გაურკვევლობას. შესწორებები მოითხოვს საწარმოსგან, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს დამატებითი ინფორმაცია ინვესტორებისთვის მათი ჰეჯირების ურთიერთობების შესახებ, რომლებზეც უშუალო გავლენას ახდენს აღნიშნული გაურკვევლობები, მათ შორის, ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური სიდიდე, რომლისთვისაც მოქმედებს ლგოტები, ნებისმიერი მნიშვნელოვანი დაშვებები ან მსჯელობები ლგოტების გამოყენებისას, და ინფორმაციის ხარისხობრივი გამჟღავნებები იმის შესახებ თუ როგორ გავლენას ახდენს IBOR-ის რეფორმა საწარმოზე და როგორ ხელმძღვანელობს გადასვლის პროცესს. ჯგუფი მიმდინარე პერიოდში აფასებს შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიან ვალდებულებებად - ბასს 1-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის მიწურულს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არის გრძელვადიანი, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებითი უფლება აქვს გადადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. სახელმძღვანელო მითითებები აღარ საჭიროებს ასეთი უფლების უპირობობას. მენეჯმენტის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, გამოიყენებენ თუ არა შემდგომში ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების
უფლება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ საწარმო საანგარიშო პერიოდის ბოლოს შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს. ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, თუ პირობა დაირღვა საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ან მანამდე, მაშინაც კი, თუ ამ პირობაზე უარის მიღებულია გამსესხებლისგან საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ

როგორც გრძელვადიანი, თუ სესხის შეთანხმება დაირღვა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას სესხისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს საკუთარ კაპიტალში კონვერტაციით. "ანგარიშსწორება" განისაზღვრება, როგორც ვალდებულების დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებს. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთათვისაც კონვერტაციის ვარიანტი კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც ნაერთი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტი. ჯგუფი მიმდინარე პერიოდში აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სიახლეებიბუღალტრულიაღრიცხვისსფეროში (გაგრძელება)

შემოსავლები დაგეგმილ გამოყენებამდე, დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება, მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე- ბასს 16-ის, ბასს 37-ის და ფასს 3-ის ცვლილებები შესწორებები, და 2018-2020 ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები - ფასს 1-ის, ფასს 9-ს, ფასს 19-ის და ბასს 41-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის პოზიციის ღირებულებიდან იმ პოზიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გამოქვითვას, რომლებიც დამზადდა, როდესაც საწარმო ამზადებდა აქტივს დაგეგმილი გამოყენებისთვის. ამგვარი პოზიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების ღირებულებასთან ერთად, უკვე აღიარებულია მოგებასა ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული პოზიციების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს ტესტირებადი აქტივის ცვეთას, რადგან ის არ არის მზად დაგეგმილი გამოყენებისთვის.

ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 16 ასევე განმარტავს, რომ ორგანიზაცია ,,ამოწმებს, სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი", როცა ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ მწარმოებლურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არაა მნიშვნელოვანი ამ შეფასებისთვის. აქედან გამომდინარე, აქტივს შეიძლება უნარი ჰქონდეს იფუნქციონიროს იმ დანიშნულებით, რაც ხელმძღვანელობამ განსაზღვრა და ცვეთის გათვალისწინებით, სანამ ის მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ მოსალოდნელი საოპერაციო მაჩვენებლების დონეს.

ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 37 განმარტავს ,,კონტრაქტის შესრულების ხარჯებს". ცვლილება განმარტავს, რომ კონტრაქტის შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს კონტრაქტის შესრულების დამატებით ხარჯებს და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც უშუალოდ შესრულებასთანაა დაკავშირებული. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი კონტრაქტის ცალკე პირობის ჩამოყალიბებამდე, ორგანიზაცია აღიარებს ნებისმიერ საამორტიზაციო ზარალს, რომელიც დადგება კონტრაქტის შესრულებისას გამოყენებულ აქტივებთან მიმართებაში და არა ამ კონტრაქტისთვის განკუთვნილ აქტივებთან მიმართებაში.

